


K 234.757
3

ქსუდან გვერდწითელი



„წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში

ანჩისხატი



ხაჭაპურის ქველთა დაცვის დეპარტამენტი
თბილისი, 2001



რუსუდან გვერდწითელი
Rusudan Gverdtsiteli

,წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში

ანჩისხატი

Anchiskhati

The Church the Virgin in Tbilisi

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
თბილისი, 2001



ნაშრომის საფუძველის წარმოადგენს ანჩისხატის ბაზილიკისა და ამავე ეპოქის ძეგლების არქიტექტურული ფორმების, დეტალებისა და დეკორის შედარებითი ანალიზი. ასეთი მეთოდი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ჭეშმარიტი, მხოლოდ უძველესი ძეგლებისათვის დამახსიათებელი არქიტექტურული ფორმები, რომლებიც სრულად არ ცირკულირება.

მასალის შესწავლის შედეგების გამოქვეყნებით, იმდენ მაქს, გამდიდრდება არსებული წარმოდგენები წარსულის ძეგლებზე, რაც ერთგვარად კიდეც დაეხმარება მკვლევარებს, ხოლო მიღებული დასკვნები, გაზიარებული ან უარყოფილი სპეციალისტების მიერ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ჭეშმარიტების დასადგენად.

ავტორი


The work is based upon the comparative analysis of the architectural forms, details and decor of the Anchiskhati bazilika (6th century) and other monuments of the same period. Such method enables us to reconstruct original forms typical to the most ancient monuments. These forms were not completely preserved on any of them and have been ignored until quite recently. I hope to enrich existing ideas of the ancient monuments by publishing the results if investigated material, which to a certain extent will help researchers. The results will be accepted or denied by the specialists, that will not be less important in establishing the truth.

Author

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
დეპარტამენტის თავმჯდომარე - ლერი გემმარიაშვილი

რედაქტორები:

არქიტექტორ-რესტავრატორი - რუსულან გურამიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - ლიმიტრი თვალიშვილი



I. ტიცეასიზუვარება

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, კერძოდ, შათველის ქუჩაზე მდებარე N 5/7 სახლის ეზოში, დრომ შემოგვინახა ქართული არქიტექტურის უძველესი ძეგლი - ანჩისხატის ეკლესია.


უამთა სვლამ, თვით ადამიანებმა, უმოწყალოდ შეცვალეს მისი პირვანდელი სახე, ხოლო გასული საუკუნის არაერთგზის გადაკეთებამ და მიშენებამ საბოლოოდ დაამახინჯა ეს ოდესლაც ბრწყინვალე ძეგლი.

ჩვენამდე ძეგლმა იმდენად სახეშეცვლილმა მოაღწია, რომ მისი ნამდვილი სახის წარმოდგენა, საგანგებო გახსნის გარეშე შეუძლებელი იყო. მხოლოდ შენობის ტიპი და რამდენიმე დეტალი თუ მიუთითებდა მის სიძველეზე, და თუმცა ეკლესია დედაქალაქის ცენტრში დგას, მისი შესწავლა დიდი ხნით დაყოვნდა. ამისათვის, გარდა სურვილისა, აუცილებელი იყო რიგი ღონისძიებების ჩატარება, რომელთა რეალიზაცია სცილდებოდა არა მარტო ცალკეული პირების, არამედ სპეციალური დაწესებულებების შესაძლებლობებსაც.

მხოლოდ 1958 წლის, თბილისის 1500 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთ.სამართველოს სარესტავრაციო სამუშაო გეგმაში, სხვა ძეგლებთან ერთად, შეტანილ იქნა ანჩისხატის ეკლესიაც.

აქ განლაგებული კუსტარული ხელოსნობის მუზეუმი გადაიტანეს (ან გადავიდა) სხვა შენობაში, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დაიწყო ანჩისხატის შესწავლა.

იმ პერიოდში შესრულებული “ძეგლის შესწავლის ანგარიშის”, “რესტავრაციის პროექტის დასაბუთების”, “სარესტავრა-



ციო სამუშაოების ჩატარების ანგარიშის” საფუძველზე შეიქმნა ეს ნაშრომი.

როგორც დრომ გვიჩვენა, ძეგლის შესწავლის შედეგად შემუშავებული რესტავრაციის ძირითადი პრინციპები და მეთოდი სწორი აღმოჩნდა, ხოლო შემდგომში, სხვა ბაზილიკების და ამავე ეპოქის სხვა ტიპის ტაძრების შესწავლამ კიდევ უფრო გააძლიდრა ანჩისხატის გამოკვლევის შედეგად მიღებული მასალა; თანდათანობით წარმოჩნდა არა მხოლოდ ბაზილიკის, არამედ საქართველოს სხვა უძველესი შენობების ყველა ტიპისათვის დამახასიათებული არქიტექტურული სახე და დეტალებისა და ფორმების ნუსხა; ხანდახან კი იკვეთებოდა ამა თუ იმ არქიტექტურული ელემენტის გამოყენების დრო და განვითარების მიმართულება.

ეს მასალა უაღრესად აადვილებდა იმავე პერიოდის ყოველი შემდგომი აღსაღენი ძეგლის შესწავლას, გასაგებს ხდიდა ძეგლის იმ ნაწილებსაც, რომლებიც განადგურებული ან დამახინჯებული იყო გვიანდელი გადაკეთებებით და აღდგენებით. ვინაიდან არქიტექტორ-რესტავრატორის სამუშაო მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს და ყოველი ნაბიჯის ზედმიწევნით დასაბუთებას, ნათელი გახდა, რომ შეუძლებელია და დაუშვებელი ძეგლი აღადგინო ძველი არქიტექტურული ფორმების ღრმა შესწავლისა და ფაქტების გარეშე, მხოლოდ ზედაპირულად, ჰიპოთეზის საფუძველზე.

ძეგლის აღდგენა მოითხოვს უდიდეს შრომას. რესტავრატორ-მა ძეგლი უნდა გაიაზროს ბოლომდე, უმნიშვნელოვანეს წვრილ-მანამდე. ძეგლის ჩვენამდე მოღწეულ სახეში ჩარევის, ახალი მონაცემების საფუძველზე მისი შეცვლის აუცილებლობა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს რესტავრატორს. მას არა აქვს შეცდომის უფლება. ყოველი სიახლე ზუსტად უნდა იყოს დასა-

ბუთებული, ათასჯერ შემოწმებული და უზადოდ შესრულებული.


იმედია, ძეგლის შესწავლის შედეგების გამოქვეყნება, გაამდიდრებს არსებულ წარმოდგენებს წარსულის ძეგლებზე, რაც ერთგვარად კიდეც დაეხმარება მკვლევარებს, ხოლო მიღებული დასკვნები, გაზიარებული, ან უარყოფილი სპეციალისტების მიერ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ჭეშმარიტების დასაღვანად.

ამ შრომის საფუძველს წარმოადგენს ანჩისხატის ბაზილიკი-სა და ამავე ეპოქის სხვა ძეგლების არქიტექტურული ფორმების, დეტალებისა და დეკორის შედარებითი ანალიზი. ასეთი მეთოდი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ჭეშმარიტი, მხოლოდ უძველესი ძეგლებისათვის დამახსიათებელი არქიტექტურული ფორმები, რომლებიც სრულად არც ერთ მათგანზე არ შემოინახა და საერთოდ ბოლო დრომდე უგულვებელყოფილი იყო.

ამ სამუშაოს შესრულება მნიშვნელოვნად გააადვილა იმ ერთადერთმა პრივილეგიამ, რომელიც არქიტექტორ-რესტავრატორს გააჩნია - არქიტექტურული ძეგლის გახსნისა და ზონდაჟის, შურფებისა თუ ხარაჩოების მეშვეობით მისი შესწავლის უფლებამ.


არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამუშაოში ჩემი ახალგაზრდა კოლეგების მონაწილეობას, რომელიც არქიტექტორ-რესტავრატორს გააჩნია - არქიტექტურული ძეგლის აზომვაში, მისი ნამდვილი ფორმების ძიებაში, რესტავრაციის ხარისხისათვის ბრძოლაში. ისინი ყოველთვის მხარში მედგნენ, მეხმარებოდნენ საქმითა და რჩევით.

კპტორისაგან



II. ქაგლის მდგრადარაობა სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე

ეზო, საღაც ანჩისხატის ტაძარი დგას, ქალაქის ამ ნაწილისათვის შედარებით დიდია (ნახ. I). მას დასავლეთიდან შავთელის ჭურა ესაზღვრება, ეზოზე სამი მეტრით მაღლა განლაგებული. ჩრდილოეთით იგი შავთელის დაღმართზე გადის, სამხრეთით კი ამავე დასახლების შესახვევს ებჯინება. ტაძარს ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს. 1958 წლის სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე და



ნახ. I. ანჩისხატი. გენეგაზა.




უფრო გვიანაც, 1981 წლამდე, ეზოს აღმოსავლეთით მდებარე მოქალი ტერიტორია ერთ და ორსართულიანი სახლებით იყო განაშენიანებული, რომელიც თვით ტაძარსაც კი ებჯინებოდა.

დასავლეთით, საცხოვრებელ შენობებთან ერთ მწკრივში, დგას XVII ს. სამრეკლო. ამ უკანასკნელის თაღოვან გასასვლელში არის კიბე, რომელიც ეზოდან შავთელის ჭუჩაზე აღის (ფოტოები 1, 2).


ტაძრის დასავლეთის ფასადს ებჯინებოდა მეორე სამრეკლო, აგებული 1876 წ. ყოველი მხრიდან შენობებით გარემოცული ტაძარი არსაიდან ჩანდა და მხოლოდ ეზოში შესვლისას იყო შესაძლებელი მისი ფასადების ახლო მანძილიდან დათვალიერება (ფოტო 3,4,5,6).

ტაძარი აგებულია მოყვითალო ფერზიტური ტუფის სუფთად თლილი კვადრებით. აღდგენითი სამუშაოები განხორციელებულია ტაძრის ცალკეული ნაწილებიდან ჩამოშლილი ქვის ხელმეორედ გამოყენებით ან კიდევ სხვადასხვა ფორმისა და ზომის აგურით. >



ნახ. 2. ანჩისხატი. გეგმა.

ანჩისხატის ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს (ნახ. 2). მით სი შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და ფართოა აღმოსავლეთით იგი მთავრდება გეგმით ნალისებრი მოყვანილობის მქონე აფსიდით, რომელიც გარე კედლების მართულებრივია ჩაწერილი. აფსიდისაგან გამოყოფილ პასტოფორიუმებს შესასვლელები გვერდითი ნავებიდან აქვს. საღიაკვნე გეგმაში კვადრატულია, სამკვეთლო კი წაგრძელებული. იგი ჩრდილო ნავზე უფრო ფართოა და მისი გრძივი ლერძი ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებისაა.




ნახ. 3. ანჩისხატი. გრძივი განაკვეთი. სამხრეთი ხედი.

რაღიუსები და მოყვანილობა აქვს (ნახ. 3). თაღების დასავლეთის წყვილი ყველაზე მცირე ზომის მაღლით ხასიათდება. მისი დასავლეთი მონაკვეთი ნალისებრია, შემდეგ კი იგი ნახევარწრიული ხდება. თაღების ცენტრალური წყვილი ნახევარწრიულია და ოდნავ დაღაბლებული. მთავარი ნავისაკენ წყობა გაგანიერებულია და ეს გაგანიერება საბრჯენი თაღების პილასტრებს ერწყმის.

თაღების აღმოსავლეთ წყვილს აფსიდთან ნალისებრი მოყვანი-

ნავები გაყოფილია აგურის სვეტების ორი წყვილით. სვეტები შელესილია და ზეთის საღებავითაა შელებილი. იმის გამო, რომ განივი კედლებიდან მათი ღამორება არათანაბარია, თაღებს, რომლებიც ამ სვეტებს ეყრდნობა, განსხვავებული



ნახ. 4. ანჩისხატი. განივი ჭრილი. აღმოსავალეთი ხედი.


სივრცის ასოციაციას ტოვებს. მაგრამ ნავები სიგრძეზე კამარებითაა გადახურული. ცენტრალური კამარა შეისრული ფორმისაა, ხოლო გვერდითი კამარები ნახევარწრიული (ნახ.4). აფსიდა ცენტრალური ნავის კამარაზე გაცილებით დაბალია, ხოლო ნალისებრი მოყვანილობის მქონე ტრიუმფალური თაღის ზევით აღმართულია ვერტიკალური შუბლი, რომლის უკან, სავარაუდოა კონქის თავზე ბნელი სათავსის - სამალავის არსებობა (ფოტო 7).

გეგმით კვადრატული ქვის ტრაპეზი ძალიან არის წინ გამოწეული. აფსიდის სივრციდან წინ წამოწეული მდიდრულად მოჩუქურთმებული და მოოქროვილი ხის კანკელი, ქართული ტრადიციის საპირისპიროდ, ყრუ კედლით მიჯნავდა ამ უკანასკნელს ტაძრის მთავარი სივრ-

ლობა აქვს, რომელიც შემდგომია ეგ ნახევარწრიული ხდება. განივ კედელთან შერჩენილ იმპოსტებს თაროსი და სუსტი ბატიყელის პროფილი გააჩნია, თაღების კაპიტელები კი ამ უკანასკნელებზე ბევრად მაღალია და საკმაოდ რთული, ძლიერ დანაწევრებული პროფილი აქვთ.

ნამდვილი ბაზილიკებისათვის ესოდენ დამახასიათებელი სივრცის დანაწევრების თანაბარი რიტმი აქ მთლიანად დაკარგულია. სვეტების რაოდენობა და განლაგება უფრო გუმბათოვანი და არა ბაზილიკური

სივრცის ასოციაციას ტოვებს. მაგრამ ნავები სიგრძეზე კამარებითაა გადახურული. ცენტრალური კამარა შეისრული ფორმისაა, ხოლო გვერდითი კამარები ნახევარწრიული (ნახ.4). აფსიდა ცენტრალური ნავის კამარაზე გაცილებით დაბალია, ხოლო ნალისებრი მოყვანილობის მქონე ტრიუმფალური თაღის ზევით აღმართულია ვერტიკალური შუბლი, რომლის უკან, სავარაუდოა კონქის თავზე ბნელი სათავსის - სამალავის არსებობა (ფოტო 7).



ნახ. 5. ანჩისხატი. განვითარებული.
დასავლეთის ხედი.

ცისაგან. პირველი დამხრეთ, ჩრდილოეთ
და დასავლეთ შესასვლე-
ლებიდან ეს უკანასკნე-
ლი, დანარჩენებზე მეტად
ჰგავდა ძველებურს, რა-
ღან მის თავზე, შელესი-
ლობის ქვეშ, იკითხებო-
და ნალისებრი ლუნეტის
მოხაზულობა.


ხის პატრონიკე, მოწ-
ყობილი მთავარი ნავის
დასავლეთ კიდეში, იატა-
კიდან 6 მ-ის სიმაღლეზე,
გადიოდა XIX საუკუნის
სამრეკლოში განთავსებ-
ულ კიბეზე (ნახ. 3 და 5).

ეს გასასვლელი, შესაძლოა, მოწყობილი იყო მთავარი ნავის დასავ-
ლეთი სარკმლის ღიობში, რომელიც საგანგებოდ გააფართოვეს.

ტაძრის ინტერიერში კედლები და კამარები მოხატული იყო ზეთ-
ის საღებავით გაჭის შელესილობაზე. სამხრეთის, დასავლეთის და
ჩრდილოეთის კედლების სადა პანელის თავზე მოთავსებული დიდი
ზომის კომპოზიციების ქვედა რიგი სრულიად გაშავებული იყო და აქ
რაიმეს გარჩევა შეუძლებელი აღმოჩნდა (ფოტო 8,9,10, 11).

რამდენადმე უკეთესად შენახული სიუკუტები კედლების ზედა ნა-
წილში ბათოებითა და ღრაპირებით ერთ სისტემში იყო შეკრული.
ულტრამარინით შეფერილ კამარებზე ქერუბინები იყო გამოსახული.

ამ საკმაოდ მდარე ხარისხის მოხატულობის ხასიათი ძლიერ განს-
ხვავდება ძველქართული კედლის მოხატულობისაგან და სრულიად



ნახ. 6. ანჩისხატი. აღმოსავლეთი ფასადი.
ნ. სევეროვის ანაზომი.

უცხოა ტაძრის ინტერიეული
რიერისათვის. პირდაპირისა

ძალზე მაღალი პას-
ტოფორიუმები გადახუ-
რულია გაურკვეველი
ფორმის კამარებით,
რომლებიც რამდენადმე
მოვაგონებს ჯვრულ
კამარებს. პასტოფო-
რიუმების აღმოსავლე-
თის კედლებში, ისევე
როგორც საღიაკვნეს
შესასვლელის წინ, სამ-
ხრეთ კედელში, გვიან-
დელი იატაკის ზევით

შეიმჩნეოდა კედლის დიდი ზომის ნიშების ნალის მოყვანილობის მქო-
ნე ზედა ნაწილები.

ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში იატაკი და საფეხურები ცემენტის
მოზაკისა იყო, ხოლო იატაკის მთელი დანარჩენი ნაწილი გაწყობი-
ლი იყო ნაცრისტერი, წითელი და შავი ფერის შორენკეცებით.

ცრუსარქმლებიანი და სფერული სახურავის მქონე ცრუ გუმბათი
არაპროპორციულად პატარა და ბაზილიკისათვის უცხო იყო [1]. ტა-
ძრის გარე მასები საღა და ლაკუნიურია. ეს არის ბაზილიკისათვის
დამახასიათებელი აბრისი მაღალი მთავარი და ღაბალი გვერდითი ნა-
ვებით (ნახ. 6,7,8).

ნავები ცალ-ცალკე იყო გადახურული კრამიტის სახურავით, ცენ-
ტრალური - ორქანობიანით, გვერდითი ნავები კი - ერთქანობიანით
(ფოტო 4).

დასავლეთი ფასადის ცენტრალურ ნაწილს თითქმის მთლიანად



ნახ. 7. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადი.

პოზიციური გადაწყვეტის გაშიფრა. მხოლოდ ისლა მოხერხდა, რომ ძველი წყობის პატარა ფრაგმენტებს შორის გავვერჩია სამი უშველებელი სარკმელი, ამოშენებული XIX საუკუნის აგურით, შუა სარკმლის ქვეშ კი ერთი არაპროპორციულად მცირე ზომის შესასვლელი (ნახ. 8, ფოტო 5).


მთავარი ნავის ქვის ძველი წყობა კარგადაა შენახული მის აღმოსავლეთ კიდეში, დანარჩენ, აგურით ამოშენებულ ნაწილებში კი ქვები

ფარავდა XIX საუკუნეს მა-ლალი სამრეკლო (ნახ. 7). ამ ფასადის გვერდითი უბნები მთლიანად შეკეთებული იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურით (ფოტო 12). მაგრამ თუ კი კიბით სამრეკლოს ზედა სართულში ახვიდოდით, დაინახავდით ამ კედლის ძველი წყობის კარგად შენახულ უბნებს და “ჯვრის ამაღლების” რელიეფური კომპოზიციის ორ ფრაგმენტს, რომლებიც ჩართული იყო უფრო გვიანდელ წყობაში პატრონიკეს შესასვლელის თავშე (ფოტო 13).

სამხრეთი ფასადის წყობა დასავლეთისაზე უკეთესად შემოინახა, მაგრამ აქაც შეუძლებელი იყო მისი კომ-

ცალქეული ფრაგმენტების სახით მოჩანს (ნახ.8, ფოტო 14,15).

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ბაზილიკის აღმო-
სავლეთი ფასადი, რომელსაც შემორჩა როგორც ძველი წყობის ძირი-
თადი ნაწილი, ასევე ყველა ღიობი (ნახ.6). კარგად მორგებული თლი-
ლი ქვადრებით შესრულებული მისი წყობა ქმნის ქართული ძეგლები-
სათვის დამახასიათებელ ფასადის სიბრტყეს. აფსიდის უზარმაზარი სა-
რქმელი ნალისებური ზედა ნაწილითა და პარალელური ანკოლებით,
103 სმ-ის სიგანისა და 265 სმ. სიმაღლისაა. მის ზევით, ღიობის კიდი-



ნახ. 8. ანჩისხატი. სამხრეთი ფასადი.

დან ოდნავ მოშორებით ჩანს ნახევარწრიული მოყვანილობის თავსართის წყობის ნაშთები, რომელსაც მოკლე ჰორიზონტალური გადანაკეცები გააჩნია. ოდესლაც კედლის სიბრტყიდან გამოწული, დღეს იგი სრულიად მონგრეულია და მის არსებობაზე მხოლოდ წყობის ნახატი თუ მიგვანიშნებს. უნდა ვივარულოთ, რომ მას თავისი დროისათვის დამახასიათებელი დეკორი ჰქონდა. მის ორივე მხარეს განლაგებული პასტოფორიუმების სარკმლები ნახევარწრიული ზედა ნაწილითა და პარალელური ანყოლებით ხასიათდება (ფოტო 6).

ჩრდილოეთის ფასადი სხვებზე მეტად არის დაზიანებული. თითქმის მთელი მისი სიბრტყე აგურითაა შეკეთებული და მხოლოდ აქა-იქ მოჩანს ძველი ქვები.

აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადების ძირის გასწვრივ დაწყობილი იყო დიდი ქვები, რომლებიც ცოკოლისმაგვარ წარმონაქმნს ქმნიდა (ნახ. 6 და 8).

(ტაძრის კედლებს აგვირგვინებდა აგურის ლავგარდანი, ესოდენ დამახასიათებელი გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებისათვის. გარედან ტაძარი მთლიანად იყო შელესილი კირის ხსნარით.)

ასე გამოიყურებოდა ძეგლი 1958 წლის სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე.

III. ქაგლის გახსნა და გამოკვლევა

ბუნებრივია, ძეგლის სრული შეუსწავლელობის პირობებში სააღმშენებლო სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს მისი გახსნა და გამოკვლევა. საიუბილეო ზეიმამდე იმდენად მცირე დრო ჩატარდა, რომ იძულებლი ვიყავით ერთდროულად გვეწარმოებინა ძეგლის გახსნა, მხატვრულ და ისტორიულ ღირებულებას მოკლებული დანაბატების დაშლა, ზოგიერთი სარემონტო-გასამაგრებელი ღონისძიებების განხორციელება, რისი აუცილებლობაც ცხადი იყო კვლევითი სამუშაოების შედეგებისაგან დამოუკიდებლად. ასევე მოხდა ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაც.

ჯერ კიდევ 1958 წლის სამუშაოების დაწყებამდე, ანჩისხატის ბაზილიკაში ზოგადად სამი ძირითადი სააღმშენებლო ფენის გარჩევა იყო შესაძლებელი:


I. ბაზილიკის ფენა, რომელიც VII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება;

2. XVII საუკუნის მეორე ნახევრის სარესტავრაციო სამუშაოების ფენა;

3. XIX საუკუნის დანამატები და მინაშენები

მაგრამ მათ შორის საზღვრების დადგენა, განსაკუთრებით ორი უძველესი სააღმშენებლო ფენისათვის, და იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, შეუძლებელი იყო, თუ კი არ მოიხსენებოდა გაჯის შელესვა ინტერიერის კედლებიდან; არ მოსცილდებოდა კირის ფენა ფასაღებს, არ მოხდებოდა ძეგლის შიგნით იატაკის დადაბლება, ხოლო გარეთ - მიწის ფენის მოხსნა პირვანდელ დონეზე; არ მოსცილდებოდა ძეგლს გვიანდელი დანამატები, რომებიც ფარავდა ან ამასინჯებდა VI საუკუნის ბაზილიკის უძველეს ნაწილებს.

საბოლოო ჯამში, დროის სიმცირის გამო, იძულებული გაგხდით ერთდროულად გვეწარმოებინა ძეგლის დეტალური აზომვა [2], შურ-



ნახ. 9. ანჩისხატი. იატაკი ტომეტის ფილების დონეზე.


ფირება და ზონდირება [3], გვიანდელი მინაშენების დაშლა და კრა-მიტის სახურავის შეკეთება.

ღროის დეფიციტის გამო, ღარღვეული იყო სხვადასხვა სახის სა-მუშაოების ნორმალური თანამიმდევრობა. ამიტომ, ძეგლზე სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად, უფრო მიზანშეწონილია განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მოხდა იატაკის წინასწარი აზომვა ტომეტის ფილების დონეზე (ნახ. 9).

შურფებისათვის უბნები შეირჩა იმ გაანგარიშებით, რომ მათ მინი-მალურ რაოდენობას მაქსიმალური ინფორმაცია მოეწოდებინა; მაგრამ მრავალრიცხვანი სამარხები, განლაგებული ძეგლის შესწავლისა-თვის მეტად მნიშვნელოვან უბნებში, სადაც, ჩვენი ვარაუდით, უნდა ყოფილიყო ნავთაშორისი ბოძები, ძალზე აფერხებდა სამუშაოებს.


ტაძრის შიგნით გაყვანილმა შვიდი შურფისაგან შემღვარმა პირ-



ნახ. 10. ანჩისხატი. შურვების გეგმა.

ველმა სერიამ მოგვცა მნიშვნელოვანი მასალა ბაზილიკის პირვანდელი გეგმის დასაზუსტებლად (ნახ. 10) და კვლევითი სამუშაოების გაგრძელების გზის შესარჩევად.

აღმოჩნდა, რომ ტომეტის ფილების ქვეშ დაგებული იყო ნაცრისფერი ბაზალტის დიდი ფილებით გაწყობილი უფრო ძველი იატაკი (ნახ. II. ფოტო 16). დაახლოებით 1 მ-ის სიღრმის მქონე მთელი სივრცე, განლაგებული ამ უკანასკნელის ქვეშ, ამოვსებული იყო მშრალი ყავისფერი მიწით, ფსკერთან ახლოს გარეული კირის ხსნარის ნაჭრებით, დამსხვრული აგურით და რიყის ქვით, ხოლო 10-16 სმ-ის სიღრმეზე გამოჩნდა გასქელებული კედელი, აგებული უხეშად ნათალი ისეთივე ქვით, რომლითაც ტაძრის კედლები. დაახლოებით იმავე ღონებზე, იქ, საღაცჩვენი ვარაუდით უნდა მდგარიყო ჩრდილოეთი რიგის აღმოჩნდა ღია ფერის, დიდი, უხეშად თლილი ქვების წყობა, რომელიც, შესაძლოა, ამ ბოძის საძირკვე-



ნახ. 11. ანჩისხატი. იატაკი ქვის ფილების დონეზე.

ლი იყო (ნახ. 10, შურფი N 2). იმ უბანზე, საღაც უნდა მდგარიყო სამხერეთი რიგის ბოძი N 4 შურფში, ზევით აღწერილი ანალოგიური საძირკვლის წყობის გარდა, დამატებით აღმოჩნდა ძველი ბოძის ბაზაც, ზომით $140 \times 140 \times 45$ სმ, დაფარული აგურის ნაფხვენშერეული კირის ხსნარის სქელი ფენით, რომელზედაც დგას XVII საუკუნის ლეკალური აგურით ნაგები სვეტი. ასეთივე სურათი მოგვცა ჩრდილოეთის რიგის დასავლეთი ბოძის გახსნამ (შურფი N 5, ფოტო 17).

სამხერეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხერეთ-აღმოსავლეთის ფრთაში, შესასვლელის წინ გაიხსნა ნიშა - ნალისებრი მოყვანილობის დაგვირვენებით, რომლის ზედა ნაწილი გახსნადე სრულიად არაბუნებრივად იყო ამოჩრილი იატაკიდან (შურფი N 7, ნახ. 17, ფოტო 18).

ასევე გაიხსნა მაღალი ნიშები პასტოფორიუმის აღმოსავლეთ კედლებში ნალისებრი მოყვანილობის ზედა ნაწილით. სამკვეთლოს ნიშ-

ის უკანა კედელი აგებული იყო საკმაოდ თხელი ქვის ფილებით, რომელიც
მელთა წყობა არ ერწყმოდა კედლების წყობას. სადიაკვნეში ნიშის უკ-
ანა კედელი აგურით იყო ნაგები. ნიშების ანყოლების წყობა უწყვეტ
რიგებად გამოდიოდა გარეთ. ნათელი გახდა, რომ ეს ნიშები გადაკე-
თებული გასასვლელებია და წარმოადგენს ძალზე იშვიათ მოვლენას,
რაც სულ რამოდენიმე ძეგლში გვხვდება - მაგალითად, ძველი გავაზ-
ის გუმბათოვან ეკლესიაში და ვაჩაძიანის სამეკლესიიან ბაზილიკაში
[4. 217, 182, 183]; (ფოტო 19,20,21).


ამით დასრულდა ძეგლის შიდა გეგმის წინასწარი გახსნა.

მიღებულმა მასალამ საფუძველი მოგვცა საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდსაბჭოს წინაშე დაგ-
ვეყენებინა ძეგლის სრული გახსნის აუცილებლობის საკითხი [5].

ეს საკითხი დადგებითად გადაწყდა ბაზილიკის კედლების დაფარუ-
ლი ნაწილებისა და საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის დამა-
ტებითი შესწავლისა და ძეგლის ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური
კვლევის პირობით.

ახალმა შუროვებმა გვიჩვენა, რომ: I. ტაძრის საძირკვლების მდგო-
მარეობა საუკეთესოა, მათი განლაგების სილრმე 1,8 მ-ის ტოლია, ის-
ინი აგებულია დიდი ზომ-

ის ფილებით, რომლებიც
კირის სნარჩევა დაწყობი-
ლი; 2. საძირკვლების ქვეშ
დევს მსხვილი სუფთა რი-
ყის ქვის სქელი ფენა, რო-
მელშიაც ნესტი ვლინდება
მხოლოდ 30 სმ-ის სილრ-
მიდან (ნახ. 12) [6]; 3.
დროთა განმავლობაში
აწყული მიწის დონის ქვე-




ნახ. 12. ანჩისხატი. საძირკვლის სტრუქტურა.

მოთ არსებული კედლების რიგების წყობა უკეთაა დაცული, ვიღორე მიწისზედა ნაწილისა. ამგვარად, ნათელი გახდა რომ არც კედლებისა და საძირკვლების მდგომარეობა, არც გრუნტის წყლების დონე არ ეწინააღმდეგება შენობის შიგნით იატაკის დონის დაღაბლებას და მის გარეთ მიწის ზედმეტი ფენის მოხსნას.

შემდგომში შურფების ამოლება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელი იყო ძეგლის გახსნა ახალი, უკვე დაწეული, დონის ქვევით.

ნავთაშორისი ბოძების საძირკვლების სრულ გახსნამდე გამოჩნდა აკლდამები (ნახ. 13) იატაკის ორივე ფენაში განლაგებული საფლავის ქვებით. ზოგიერთ საფლავს ჰქონდა მესამე საფლავის ქვაც, ჩაშენებული ახლომდებარე კედელში.

იატაკის სრული გახსნის შემდეგ გამოჩნდა ნავთაშორისი ბოძების სამი წყვილის საძირკვლები, ამასთანავე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასავლეთის წყვილზე ბაზისებიც იყო შერჩენილი (ნახ. 14).




ნახ. 13. ანჩისხატი. სამარხების გეგმა.

რამდენადაც ტომეტის ფილები, როგორც იატაკის მასალა, მიუკუჭებელებია ქართული ტაძრის ინტერიერისათვის, გადავწყვიტეთ, გამოგვეყნებინა უშუალოდ უკანასკნელთა ქვეშ განლაგებული დიდი ზომის ბაზალტის ფილები.

იატაკის დადაბლება დავიწყეთ სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან დიაგონალური მიმართულებით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რათა ერთი უბნიდან აღებული ფილების აზომვის, მარკირებისა და გარკვეული თანმიმდევრობითი დალაგების შემდეგ, შეუფერხებლად დაგვეგო ისინი ახალ, უკვე დადაბლებულ უბანზე.

სამუშაოს ასეთმა ორგანიზებამ საშუალება მოგვცა დაგვემთავრებინა იგი ყოველგვარი გართულებების გარეშე, თანაც ძალზე შემჭიდროებულ ვაღებში, მაგრამ სამუშაოთა წარმოების ასეთი მეთოდი რესტავრაციაში დაუშვებელია, რაღაც ამ შემთხვევაში რესტავრატორები იძულებული ხდებიან გადაწყვეტილებები მიიღონ ძეგლის




ნახ. 14. ანჩისხატი. გეგმა სრული განსნის შემდეგ.

სრულ გახსნამდე, მონაცემების მხოლოდ ნაწილის ანალიზის საფუძველზე. ეს, როგორც წესი, იწვევს გამოუსწორებელ შეცდომებს, მხოლოდ ქედის სრული გახსნა აძლევს სამუალებას რესტავრატორს თვალწინიშვილის მთლიანი სურათი, გაიაზროს და გაიგოს ყველა მონაცემი და, ამგვარად, მივიღეს სწორ დასკვნამდე, მნახველს მიაწოდოს ის ძირითადი, რაც ჩვენების ღირსია და არასპეციალისტებისათვისაც კი გასაგები გახადოს ქედი.

ამ კერძო შემთხვევაში კი, იატაკის დაღაბლების ნიშნული შერჩეულ იქნა იმ დროისათვის უკვე გახსნილ შესასვლელთა ძეელი ზღურბლების, კედლების გასქელების ღონეების, ბაზისებისა და საძირკვლების განლაგების შეჯრების საფუძველზე (კედლების გაგრძელება, სვეტების ბაზისები და საძირკვლები იმ დროისათვის აგრეთვე შესწავლილი იყო შურთების და იატაკის დასავლეთი ნაწილის საერთო გახსნის მონაცემებით). მაგრამ, რამდენადაც მათ არ შეინარჩუნეს კედლებთან იატაკის მიბჯენის არავითარი კვალი, მისი სავარაუდო ღონე 20-25 სმ-ის ღიაპაზონში მერყეობდა. საბოლოოდ დაღაბლებული იატაკისათვის შერჩეულ იქნა ღონე, განლაგებული ტომეტის ფილაქნების იატაკზე I, 25 მ-ით დაბლა, ხოლო აფსიდის იატაკი - ორი საფეხურით უფრო მაღლა უნდა ყოფილიყო განლაგებული.

ამ დიდი სამუშაოს დასასრულს, როცა მიწა უკვე ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ითხრებოდა, იატაკის დანარჩენი ნაწილი კი დაგებული იყო, სამკვეთლოში, შესასვლელის წინ გაიხსნა ძეელი იატაკის



ნაზ. 15. ანჩისხატი. უძველესი იატაკის ნაშთი.

სასწაულებრივად გადარჩენილი ფრაგმენტი, რომელიც შედგებოდა შვიდი მოზრდილი, ღია ფერის ძალზე დაზიანებული ფილისაგან და 23 სმ-ით მაღლა იდგა ახლად დაგებულ იატაკთან შედარებით (ნახ.15).

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეცდომის მიზეზი აჩქარება იყო. მხოლოდ ძეგლის სრული გახსნა აძლევს რესტავრატორს უფლებას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება; მხოლოდ ყველა მონაცემის ღრმა და კომპლექსური გააზრებითაა დაზღვეული აღსაღვენი ძეგლი ჰქონილი იქნის დამახინჯებისაგან.

საბედნიეროდ, ჩვენ მიერ შეჩრეული იატაკის დონე მაინც მისაღები აღმოჩნდა. იგი ღიად ტოვებდა ბოძების დასავლეთი წყვილის ბაზი-სებს, თანაც ზედმეტად არ იყო ამაღლებული ბოძების ორი დანარჩენი წყვილის საძირკვლებზე და ამდენად ნათლად წარმოგვიდგენდა ბაზილიკის პირვანდელ გეგმას.

ამჯერად ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითებიდან იშვიათად გამოაქვთ სწორი დასკვნები.

ძეგლის გარშემო მიწის დონის დაწევაშ ბაზილიკის სამხრეთ ნაწილში გამოავლინა ვიწრო, გრძელი მინაშენი, რომელიც განივი კედლებით სამ განცალკევებულ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ ნაწილად იყო გაყოფილი, ამათგან აღმოსავლეთი თავის დროზე ოდნავ სცილდებოდა ბაზილიკის აღმოსავლეთი ფასაღის სიბრტყეს (ნახ.14, ფოტო 22).

ტაძრის ამ ნაწილის კედლები იგივე ჭვით არის აგებული, რითაც ტაძრის ძირითადი ნაწილი, მაგრამ წყობა არ არის გადაბმული ტაძრის ძირითად ნაგებობასთან.

ამ მინაშენის დასავლეთი სათავსი ყველაზე გრძელია. აღმოსავლეთისაკენ იგი მთავრდება გეგმაში მართკუთხა ნიშით, მისი დასავლეთი ნაწილი მიწასთანაა გასწორებული, ხოლო შემონახულ ნაწილს კი წყობის ერთი-ორი რიგიღა აქვს შეჩრენილი.

შესაბამის მოვალეობა მისამართის სამართლის მიერ მიმდინარეობის დროის განვითარების მიზანით ასევე სწორკუთხა, მაგრამ შედარებით ღრმა (1,20 მ) ნი-

შით ბოლოვდება. მისი სამხრეთი კედელი მთლიანად ლიაა და, სავარაუდოა, რომ თავის დროზე მას ორთაღოვანი ლიობი ჰქონდა შეუძიგანლაგებული სვეტით.

რაც შეეხება აღმოსავლეთის განაპირა სათავსს, მისგან მხოლოდ უმნიშვნელო, თითქმის არაფრისმთქმელი კედლის ფრაგმენტილა შემორჩა. შესაძლოა, იგი საღიაკვნეს უკავშირდებოდა გასასვლელით, რომელიც მოგვიანებით ნიშად იქნა გადაკეთებული (ფოტო 23).

დასავლეთის მხრიდან, 1876 წლის სამრეკლოს ცოკოლის ქვევით, ასევე აღმოჩნდა მინაშენის საძირკვლის ნარჩენები. მინაშენის სიგრძე ტაძრის სიგანეს უტოლდებოდა, ხოლო სიგანე 4 მ-ს უღრიდა. ამ ნაგებობათა კედლების სიმაღლე იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არაფრიზე მეტყველებდა საკუთარი გეგმის გარდა.

N 11 შურფში, რომელიც ბაზილიკის დასავლეთი შესასვლელის წინ იყო ამოღებული, ამ უკანასკნელის საძირკველსა და XIV საუკუნის სამარხს შორის, სამი მეტრის სილრმეზე, ნაპოვნი იყო ძველი დამაგვირვენებელი ლავგარდნის ერთადერთი ფრაგმენტი, ზომით 9 X 11 სმ., რომელიც წარმოადგენდა კბილანს, შედგენილს ორი ნალისებრი მოყვანილობის მქონე პატარა თაღით (ფოტო 24).

იატაკის გახსნისა და დაღაბლების სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ძველი კედლების წყობის გახსნაც.

XIX საუკუნის შუა წლებში ტაძრის მთელი ინტერიერი მოხატული იყო ზეთის საღებავებით გაჭის ნალესობაზე. კედლების ქვედა ნაწილს გაუყვებოდა ზეთის საღებავით დაფარული საკმაოდ მაღალი საღა პანელი, რომლის ზევით მოთავსებული იყო რამდენიმე სცენა, რომელთა შინაარსის გაშიფრა უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი იყო. არაფრიზი მოგვცა მათმა ფრატოგრაფირებამაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილებით ეს, ფაქტობრივად უკვე დალუპული ფერწერა, მოიხსნა იქ, სადაც ძველი კედლების წყობას ფარავდა [7].

ბათქაშის ფენის სისქე იცვლებოდა 3-იდან 15 სმ-დე და ზოგჯერ 18 სმ-დე კედლების მდგომარეობის მიხედვით. კედლის ძლიერ დაზიანებული უბნები სიმტკიცისა და გაჭის ეკონომიის მიზნით ბრტყლად მიბჯენილი აგურებით იყო შევსებული. ბათქაშის სისქის ზრდასთან ერთად, გაჭის მასის მაღალი დრეკალობის გამო, ზრდებოდა მისი მოშორების სიძნელეც. ბათქაში რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა: ყველაზე თხელი ქვედა ფენა საძირკვლის ზედაპირამდე, ორი ზედა ფენა კი - იატაკის თანამედროვე დონემდე აღწევდა.

იატაკიდან დაწყებულმა და თანდათან გვერდითი ნავების კამარების პირამდე მიყვანილმა ბათქაშის მოშორებამ, VI საუკუნის კედლების რიგითი წყობის ფარგლებში გახსნა დეტალები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძეგლის პირვანდელი სახის აღდგენისათვის.


რაღვანაც არსებობს ლიტერატურული მონაცემები, რომ ტაძარი მოხატული იყო დაახლოებით 1680 წელს, ბათქაშის მოშორებას წინ უსწრებდა ზონდაჟი, რომელიც მხატვარ-რესტავრატორებმა შეასრულეს] ზონდაჟებმა დაადასტურა მხატვრობის არსებობა აფსიდის კედლებზე, კონქში და ამ უკანასკნელის თავზე განლაგებულ ვერტიკალურ შუბლზე.

გახსნის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აფსიდის სარკმლის ნალისებრი ზედა ნაწილის ორივე მხარეს აღმოჩნდა ევქარისტიის სცენის ნაწილობრივ შემონახული ფიგურები - სარკმლის თავზე გამოჩნდა ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობლის ფიგურის ქვედა ნაწილი, აფსიდის ჩრდილო კიდის ზედა ნაწილში კი 1683 წლით [8] დათარიღებული წარწერა. კონქის ზევით განლაგებული ვერტიკალური შუბლი მთლიანად იყო დაფარული იესეს, ხის რთული, მრავალფიგურიანი კომპოზიციით. მთელი ეს მხატვრობა დასერილი იყო XIX საუკუნეში ზედდადებული ბათქაშის შესაჭიდებლად.]

ამ ახლად გახსნილმა მოხატულობამ სრულიად სხვა ჟღერადობა

მიანიჭა ტაძარს (ნახ. 16, ფოტო 25,26).

ამგვარად, იატაკის და-
დაბლებამ და კედლების
გახსნამ მოგვცა უზარმაზა-
რი, უმეტეს შემთხვევაში,
დათარიღებული მასალა
ტაძრის აღდგენისათვის -
არა მარტო მისი პირველა-
დი სახის დასადგენად, არ-
ამედ ყოველი შემდგომი
რესტავრაციის, გადაკე-
თებისა თუ რემონტის გა-
საშიფრად. სამხრეთი ნავი-
ს გარე კედლელში გაიხსნა:
ნალისებრი თალის მქონე აღმოსავლეთი ხედი გახსნის შედევ.



ნახ. 16. ანჩისხატი. განივი ჭრილი.


ნალისებრი თალის მქონე აღმოსავლეთი ხედი გახსნის შედევ.
დიდი ნიშა, XIX საუკუნე-

ში წყობით ამოქოლილი ორი სარქმელი პარალელური ანყოლებით
(ფოტო 27,28) და შესასვლელის ღიობი XVII და XIX სს. გადაკეთე-
ბათა კვალით (ნახ. 16, ფოტო 29,30).


ლასავლეთის კედლელში გავხსენით უზარმაზარი შესასვლელი ღია
ნალისებრი ლუნეტით) (ნახ. 17, ფოტო 31,32).

ჩრდილოეთი ნავის გარე კედლელშიაც აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებუ-
ლი ასეთივე შესასვლელი (ფოტო 33) და სარქმლის ღიობი, რომელ-
იც როგორც მოველოდით, გვიანდელია.

ნავთაშორისი თაღნარის ორივე კიდეში გვერდითი ნავების მხრიდან
ჭველი წყობის ფარგლებში გაიხსნა კონსოლები და მათ თაგზე განლაგე-
ბული ჰირიზონტალური თარო, რომელიც, შესაძლოა, გვერდითი ნა-
ვების გადახურვის სისტემის ნარჩენს წარმოადგენს (ნახ. 19).




ნახ. 17. ანჩისხატი. გრძივი ჭრილი. სამხრეთი ხედი გახსნის შემდეგ.



ნახ. 18. ანჩისხატი. გრძივი ჭრილი.
დასავლეთის ხედი გახსნის შემდეგ.

მთლიანად ძველი აღმონდა აგრეთვე კონქის და აფსიდის წყობაც, გარდა ამ უკანასკნელის ჩრდილოეთი კიდისა, რომელიც XVII საუკუნეში აგურით იყო აღდგენილი (ფოტო 34).

როგორც ზონდირებამ გვიჩვენა, კონქის ვერტიკალური შუბლის უკან აღმონდა ბნელი, ჩრდილოეთი და სამხრეთის მიმართულებით წაგრძელებული სათავსი, რომლის იატაკში კონქის




ნახ. 19. ანჩისხატი. კერძოთი ნავის გადახურვის კამარის კონსტრუქციის ნაშთი.

წყობა იყო ამოსული (ნახ. 17, 20). ძლიერ დანგრეული აღმოჩნდა მთავარი ნავის ძველი კედლები. მათი წყობა ყველაზე უკეთ აღმოსავლეთ კიდეში, სამალავის (სადაც იგი აღწევს დაახლოებით გადახურვის კამარის ღონეს), და ასევე დასავლეთი კედლის ფარგლებშია შემონახული (ფოტო 35).


სამალავის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ, ყველაზე ღაბალ ნაწილში არის შესასვლელი (ფოტო 36) [9]. იგი სუფთად გათლილი ქვებით არის აგებული და გადახურულია უშველებელი არქიტრავით.

ამ სათავსის კედლების ქვედა ნაწილები ინტერიერში, შესასვლელისაგან განსხვავებით, ისეთივე ქვებით არის ნაგები, როგორც ბაზილიკის ძირითადი კორპუსი, მაგრამ კვადრები უხეშადაა გათლილი. კედლის ზედა ნაწილები არაწესიერი მოყვანილობის ქვითა და XVII საუკუნის აგურითაა ნაგები; კამარა აგურისაა.

გასაძრომი, რომელსაც ამ ბნელ სათავსში მიღყევართ, სამკვეთლოს სამხრეთი კედლის ზედა ნაწილში იწყება, იატაკიდან დაახლოებით 3.60 მეტრის სიმაღლეზე ნიშაში, რომლის ზომებია 50×70 სმ. (ნახ. 21). ნიშის უკან აღმოჩნდა მცირე კამერა ნაწილობრივ (32 სმ-ის სიღრმეზე) აღმოსავლეთი კედლის წყობაში შეჭრილი. გეგმაში მისი ზომებია 75×82 სმ., ხოლო სიმაღლე 1.20 მ-ის ტოლია. იგი განათებულია პატარა სარკმლით, რომელიც ფასაღის მხრიდან ქვის აურული ცხაურით არის შენიღბული. თვით საძრომი, რომელიც კამერის სახურავში იწყება, მთლიანად წყობითაა ამოქოლილი.




ნახ.20. ანჩისხატი. მთავარი ნავის გეგმა სამაღავის დონეზე.



ნახ.21. ანჩისხატი.
საძრომი და სამაღავი.

ქედლებზე ინტერიერის მხრიდან ბათ-ქაშის, ხოლო ფასაღის მხრიდან კირის შე-ლესვის მოხსნის, XIX საუკუნის სამრეკ-ლოს დაშლისა და იატაკის დადაბლების შემდეგ მკაფიოდ გამოჩნდა საზღვრები სხვადასხვა ღროის წყობას შორის. მო-ნიშნა ძველი ღიობების კონტურები და იმ მეტად მწირი დეკორის ნარჩენები, რომე-ლიც ოდესლაც ამშვენებდა ტაძარს.

აღმოსავლეთის ფასაღი სხვებზე უკე-თესად შემოინახა (ნახ.22). აქ განახლე-ბულია მხოლოდ გვერდითი ნავების ზედა ნაწილები და მთავარი ნავის ზედა ნაწი-ლის ნახევარზე მეტი. გარდა ამისა, XVII



ნახ.22. ანჩის ხატი.

აღმოსავლეთი ფასადი გახსნის შემდეგ.

საუკუნის გემოვნების შესაბამისად, შეცვლილია სახურავების ქანობი და ლავგარდნების ფორმა [10].

ამ ფასადის სამი სარკმლიდან მხოლოდ ცენტრალურ სარკმელს გააჩნია ნახევარწრიული, ღიობს ოდნავ მოშორებული ჰორიზონტალური გადანაკეცების მქონე თავსართი. ფასადის სიბრტყიდან თავდაპირველად გამოშვერილი თავსართის ქვები მთლიანად ჩამოტეხილია

დეკორაცია ერთად, მაგრამ თვით თავსართის წყობა კარგად იკითხება.

უფრო გვიან, უკვე 1981 წელს, ძველი თბილისის ამ უბნის რეკონსტრუქციის დროს, ხარაჩოებიდან, რომლებიც ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წინ იყო აღმართული, გამოჩნდა ნაშთები, რომელთაც დეკორის ნარჩენებს ვერც კი ვუწოდებთ. უფრო მართებულია ვილაპარაკოთ დეკორის კვალზე [10]. სამხრეთის კედელში გაიხსნა ძველი შესასვლელისა და პარალელური ანკოლების მქონე ორი სარკმლის ღიობი (ნახ. 23).


გახსნის შემდეგ, ამ ძეგლის შესასვლელებს შორის ყველაზე დიდი ზომისა აღმოჩნდა დასავლეთი ფასადის შესასვლელი. მისი არქიტრავის ცენტრალურ ნაწილში მცირე ზომის, ე.წ. ბოლნური ჯვარია ამოკვეთილი. წყობის ნახატით თუ ვიმსჯელებთ, ამ შესასვლელის ღია ნალისებრ ლუნეტს ჰქონდა კედლის სიბრტყიდან გამოწეული თავსართი ჰორიზონტალური გადანაკეცებით. ალბათ, თავის დროზე იგი

კვეთილი ორნამენტით იყო შემკული, მაგრამ აფსიდის სარკმლისაგან იმართება განსხვავებით, ჩვენი ყველა ცდა, დაგვედგინა დეკორის ხასიათი, უშედეგო აღმოჩნდა.


ამავე ფასადზე, ზედა ნაწილში, მიწიდან 11 მეტრის სიმაღლეზე, XVII ს-ის ფენაში აღმოჩნდა ჯვრის ამაღლების ორი ფრაგმენტი. ორივე ფრაგმენტზე ამოიკითხა ხუთი ასო და მეექვსეს ქვედა ნახევარი [8].

ასევე აღმოჩნდა, რომ ამ ძეგლს ცოკოლი არ გააჩნია და მისი ვიწრო, საფეხურის იერის მქონე კედლის გაგანიერება საძირკველს წარმოადგენს.

ბუნებრივია, ძეგლის არსებული მდგომარეობის პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო გვემსჯელა მისი ფასადების კომპოზიციური გადაწყვეტისა თუ ინტიერიერისა და გარე მასების პროპორციების შესახებ. მოხერხდა მხოლოდ ტაძრის მთლიანი სახის ცალკეული, ხში-



ნახ. 23. ანჩისხატი. სამხრეთი ფასადი გახსნის შემდეგ.




ნაბ. 24. ანჩისხატი.
დასავლეთი ფასადი განხილის შემდეგ.

ჩაღ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ელემენტების დადგენა, რომელიც რესტავრაციის პროექტზე მუშაობის პროცესში უნდა გაგვეაზრებინა და მოგვექცია ერთ მწყობრ, თანაც, რაც მთავარია, ყოველმხრივ დასაბუთებულ ისეთ სისტემაში, ნათელს რომ მოჰკოვენდა VI საუკუნის არქიტექტურის შემოქმედებით მიღწევებს, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და საერთო ხასიათს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებული მასალის გარკვეული ნაწილი ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. ეს ითქმის სამხრეთი ნავის ბოძებისა და სარკმლების რაოდენობაზე, რაც გახსნის გარეშეც ადვილი მისახვედრი იყო, მაგრამ მიღებულმა ღოკუმენტურმა მასალამ ბოძების საძირკვლებისა და ბაზების, აგრეთვე პარალელური ანყოლების მქონე სარკმლების, ლავგარდის ნატეხსა და დეკორის ნარჩენების სახით, რესტავრაციის პროექტს შესძინავის დამაჯერებლობა, ურომლისოდაც არქიტექტორ-რესტავრატორის ყველა მიღნება და განჭვრეტა, რაგინდ დამაჯერებელიც უნდა ჩანდეს, ვერ გასცილდება თეორიის სფეროს და ვერ განხორციელდება პრაქტიკაში.

ამგვარად, როგორც ეს თავიდანვე ჩანდა, ძეგლის გახსნამ გვიჩვენა, რომ XVII საუკუნის სამშენებლო ფენა ძალზე მნიშვნელოვანია თავისი მოცულობით და კონსტრუქციული დატვირთვით. იგი ძირითადად 23X23X4 სმ-ის ზომის აგურით არის შესრულებული, სვეტე-



ბისათვის გამოყენებულია დაახლოებით ასეთივე ზომის ლეკალური ავტორი, ხოლო განივი ფასადებისათვის ხელმეორედ გამოიყენეს ქვები ტაძრის ჩამოშლილი ნაწილებიდან, რომლებიც განმეორებითი გათლის შედეგად ზომებში შემცირდა.

ამ პერიოდის ყველა სამუშაო შესრულებულია XVII საუკუნისათვის დამახასიათებელი ფორმებითა და მასალით.

იმ დროისათვის უკვე დანგრეული სამი წყვილი ბოძის ნაცვლად სვეტების მხოლოდ ორი წყვილი აღმართეს. იმის გამო, რომ სვეტების დასავლეთი წყვილისათვის ძველი ბაზები გამოიყენეს, ხოლო მეორე წყვილი დადგეს ბოძების დანარჩენი წყვილის საძირკვლებს შორის, მანძილები ნავთაშორის თაღებს შორის არათანაბარი გამოვიდა.

ნალისებრი ფორმა ამ დროს აღარ იყო მიღებული, მაგრამ განივ კედლებთან კარგად შემონახული ძველი თაღების ნაწილები მანც ჩართეს აღდგენილ თაღებში. ხოლო მთლიანად თავიდან აგებული თაღები, ცენტრალურ ნავში იღებენ იმ დროისათვის დამახასიათებელ შეისრულ ფორმას, გვერდით ნავებში კი აგებენ ასეთივე მოყვანილობის ნახევართაღებს.

ასე მაგალითად, მთავარი ნავის შეისრული თაღი აღმართულია შეკარად ნალისებრი ფორმის მქონე კონქის თავზე. ასევე, სახურავის ქანობს გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ციცაბო დახრა აქვს.

საერთოდ, XVII საუკუნის მშენებელთათვის დამახასიათებელია პრაქტიკული, საქმიანი მიღვომა აღსადგენი ობიექტისაღმი; რაც საღი და სიცოცხლისუნარიანი დახვდათ, მთლიანად შეინარჩუნეს, დანარჩენი კი უკუაგდეს, როგორც უსარგებლო. ამასთან - არავითარი მისწრაფება ყველაფრის ერთ მნიშვნელზე დაყვანისაკენ, ძველის შენილბევისა თუ დაფარვისაკენ. შედეგად შეიქმნა ახალი, თავისებურად მონუმენტური შინაგანი სივრცე, რომელიც, მართალია, რამდენადმე განსხვავდება პირვანდელისაგან, მაგრამ სხვადასხვა სტილის აღრევის მიუხედავად, დიდებული და ჰარმონიულია (ნახ. 16).


რაც შეეხება ბაზილიკის ფასადებს, აქ უდავოდ მიღწევას წარმოადგენს მთავარი ნავის ზედა ნაწილების აღსაღვენად ივივე ქვის და ე.წ. “ქართული აგურის” გამოყენება, რომელიც შესანიშნავად ეხამება ნებისმიერი ფერის ქვას. ბაზილიკის დანგრეული ნაწილებიდან აღებული და ხელმეორედ გამოყენებული ქვა, რომელიც თლით, ურთიერთმორგებითა და ზომებით განსხვავდება უძველესი ნაწილების წყობისაგან, ფერით იგივეა, რაც ხელს უწყობს ძეგლის მხატვრული აღქმის მთლიანობას, ხოლო აგურის წყობას ქვის წყობის გვერდით ყოველთვის მეორეხარისხოვანი როლი განეკუთვნება და არ არღვევს საერთო ჰარმონიას.

სრულიად განსხვავებული იყო ძეგლისადმი მიღვომა XIX საუკუნის სარესტავრაციო სამუშაოების დროს, თუმცა ეს სამუშაოები გაცილებით ნაკლები მასშტაბისაა, როგორც თავისი მოცულობით, ისე კონსტრუქციული მნიშვნელობით. აქ ჩანს XVII საუკუნისაგან პრინციპულად განსხვავებული მიღვომა სიძველისადმი.

ამ პერიოდის მთელი აღმშენებლობითი მოღვაწეობა იქითაა მიმართული, რომ ნებისმიერი გზებითა და საშუალებებით, მლოცველთა თვალს მოარიდონ ყოველივე ძველი და თანამედროვე მასალებით “შეალამაზონ” იგი.

ამ მიზნით სერავენ 1683 წლის კედლის მხატვრობას და თავიდან ხატავენ ტაძარს ზეთის საღებავებით. იატაკს ამაღლებენ 1 მეტრითა და მეტით, რითაც იწვევენ ტაძრის შინაგანი სივრცის ენით გამოუთქმელ დამახინჭებასა და დაკინებას, ფარავენ მას ფერადი, ბრჭყვალა ე.წ. ტომეტის ფილებით, თუმცა ძველი ქვის იატაკი ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული.

კედლებში ძველ სარკმლებს აუქმებენ და ახალ უშველებელ სარკმლებს ჭრიან, ხოლო იატაკის აწევის გამო მნიშვნელოვნად დადაბლებულ კარის ღიობებს დამატებით ავიწროებენ. ამავე მიზეზით, შესასვლელებისა და პასტოფორიუმების თავზე გაიჭრა არქიტრავები და




მათ ზევით ძველი წყობა. დასავლეთის ფასაღზე ძველი წყობა გამონა-
გრულია კვამლსადენების მოწყობის მიზნით. დასავლეთიდან ტაძარს
მიაშენეს მრავალსართულიანი სამრეკლო, რომელმაც დაფარა დიდე-
ბული ძველი შესასვლელი ღია ლუნეტით. ხის კანკელით მთლიანად
მოწყვიტეს აფსიდა ტაძრის მთავარ სივრცეს, მის მთავარ ნავზე დაა-
შენეს სფერული თავის მქონე აგურის პატარა ცრუ გუმბათი და ბო-
ლოს ტაძარი გარედან კირით შეათეთრეს. >

ყოველივე ძველის სრული უარყოფა, დაუოკებელი სწრაფვა ნები-
სმიერი სამუალებებით დაფარონ იგი, წვრილმანი შელამაზების მანია
და მშვენიერის შეგრძნების სრული არქონა - ასეთია XIX საუკუნის
რესტავრაციის დამახასიათებელი ნიშნები. შედეგად მივიღეთ მახინჯი
და ჭრელი შინაგანი სივრცე და არანაკლებ მახინჯი გარეგანი სახე.

ორი ეპოქა - ორი განსხვავებული მიღვოდა ძეგლისაღვი

ვაჯამებთ რა გახსნის შედეგებს, უნდა ითქვას, რომ მიღებულია უზ-
არმაზარი მასალა ანჩისხატის ბაზილიკის პირვანდელი სახის აღდგე-
ნასთან დაკავშირებული, თითქმის ყველა საკითხის გადასაწყვეტად,
მისი ისტორიის ზოგიერთი ეტაპის, იმ უძველესი არქიტექტურული
ფორმების დასადგენად, რომლებიც დღემდე ეჭვს იწვევდა (რამდენა-
დაც სხვა ძეგლებში ისინი არ შემოინახა ან დანგრული და დამახინ-
ჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე), ძველი სამშენებლო ტექნიკის, დე-
კორისა და ა.შ. საკითხთა დასაზუსტებლად და დასახასიათებლად.

IV. პიპლორგრაფია



XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ანჩისხატის ტაძარი ქართულ მატიანეგბში არ იხსენიება და როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთი რამ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მასზე პირველი, ძალზე მწირი ცნობები წერილობით წყაროებში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, მაგრამ ისინი უმეტეს წილად შეეხება თვით ანჩის განთქმულ ხატს, წარწერებს სამრეკლოსა და საეკლესიო ზარზე, თუმცა მოიხსენიება “ანჩის” საყდარიც [11. 418].

ფრანგი მოგზაური ე. შარდენი, რომელიც თბილისში 1671 წელს ჩამოვიდა, ქალაქის აღწერისას ასახელებს მთავარ ქართულ ტაძრებს. ანჩისხატის შესახებ, რომელსაც იგი “ანგესკატს” უწოდებს, შარდენი წერს “მას აგრეთვე საკათალიკოს ეწოდება..., ეს ეკლესია მდინარის პირას მდებარეობს”, მაგრამ შენიშვნებში ეკლესია სწორად არის სახელდებული და აღნიშნულია სამრეკლოზე ქართული წარწერის არსებობა [12. 77-78].

გრავიურაზე, რომელიც მის ნაშრომს ახლავს, წინა პლანზე, სასახლის ნაგებობათა მარჯვნივ, ბაზილიკისათვის დამახასიათებელი სილუეტის მიხედვით, რომელიც ასო E-თი არის აღნიშნული, აღვილად შეიცნობა ჩვენი ძეგლი.

მეორე ფრანგი მოგზაური, ბოტანიკოსი ჟ.დე ტურნეფორი (1656-1708 წწ.), რომელიც თბილისში 1701 წელს ჩამოვიდა, თავისი ნაშრომის ტექსტში ანჩისხატს არ მოიხსენიებს, მაგრამ ქალაქის პანორამაზე ეს ტაძარი გამოსახულია ბაზილიკისათვის დამახასიათებელი მოცულობებით.

XVIII ს. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წწ.), იძლევა ტაძრის მოქლე, მაგრამ ზუსტ აღწერას და მოჰყავს მისთვის ცნობილი ისტორიული

გასალა: "...არს კუალად ანჩისხატი დიღი, უგუმბათო კათალიკოსი და შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ" [13. 334, 335, 439]. მის მიერვე შედგენილ ქალაქის გეგმაზე, ბაზილიკა 6 ნომრით არის აღნიშნული (ფოტო 42).

ცნობილი ფრანგი მეცნიერი - ქართველოლოგი მარი ბროსე (1802-1880 წ.), რომელმაც ანჩისხატის ტაძარი 1848 წელს მონახულა და ძირითადად წარწერებით იყო დაინტერესებული, წერს: "ამ ძეგლის არქიტექტურამ ვერ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება ვერც პროპორციებით, ვერც მოხდენილობით (elegance)". მას მოჰყავს საინტერესო ცნობები ძეგლის გვიანდელი მოხატულობის შესახებ, რომელიც სხვა ქართულ ეკლესიებში ნანას მხატვრობასთან შედარებით უკეთესად მიაჩნია. მოხატულობის ავტორად იგი მიიჩნევს ერთ-ერთს "ორ ახალგაზრდა ოვნატამოვთაგან, რომელიც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ" [14. 28].

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი (1809-1875), თვლიდა, რომ "ანჩისხატის ტაძარი აგებულია VII საუკუნეში, ადარნასეს მეფობის დროს, მას შემდეგ, რაც კათალიკოსად აირჩიეს ბაბილა. ადგილობრივ სასულიერო პირთა წარმომადგენელი" .. ".. არქიტექტურული სტილი ადგილობრივი, ქართული, ძველებური... ეს ეკლესია უგუმბათოა, 4 სქელ ქვის სვეტს ეყრდნობა, რომლებზედაც სამი კამარაა გადაყვანილი. ამათგან შუათანა გვერდითებზე უფრო მაღალია" [15. 24-33].

შემდგომ მას მოჰყავს ხატებზე და სამრეკლოზე მოძიებული წარწერები და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კათალიკოს დომენტის სიბელში მოხსენიებული "ზარის საყდარში", რომელსაც იგი, როგორც თავზე კარის ეკლესიას, ვენახებს სწირავს, ანჩისხატის ეკლესიას გულისხმობს, რომელიც ასევე კათალიკოსის კარის ეკლესიას წარმოადგენს.



დ.ბაქრაძე (1826-1890 წწ.) იმეორებს კათალიკოს ბაბილონის ბი-
ერ VII საუკუნეში ანჩისხატის აგების მოსაზრებას. იგი მოკლედ აღ-
წერს ძეგლს და ამბობს: “ანჩისხატის ეკლესია ტიფლისშია, ქალაქის
ძველ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. თავდაპირველად უგუმ-
ბათო, იგი ეყრდნობა ქვის ოთხ სვეტს, რომლებზედაც გაღაყვანი-
ლია სამი კამარა...” შემდგომ, ისე როგორც ყველა წყაროში, ტექს-
ტის უმეტესი ნაწილი ეძღვნება ხატია და წარწერებს [16. 28-29].

შემდგომი მცირე ნაშრომი, რომელიც უკვე მთლიანად თვით ბა-
ზილიკას ეძღვნება, პ.კარბელოვს (კარბელაშვილს) ეკუთვნის. იგი
გამოიცა ჯერ რუსულ [17], მოგვიანებით კი ქართულ ენაზე [18].

ანჩისხატის წინამძღვარმა, რომელსაც გულწრფელად აინტერე-
სებდა ყოველივე, რაც კი ამ ტაძარს უკავშირდებოდა, თავის ბრო-
შურაში თავი მოუყარა ყველა იმ დროისათვის ხელმისაწვდომ ცნო-
ბას. იმეორებს რა იგი ცნობილ მონაცემებს კათალიკოს ბაბილოს
მიერ ტაძრის აგების თაობაზე, თავის წინამორბედებზე უფრო დაწ-
ვრილებით აღწერს ტაძრის ნაგებობას. მისი შენიშვნები ძეგლის არ-
ქიტექტურასა და დეკორზე ამჟღავნებს გარკვეული დაკვირვების
უნარსა და ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლების ცოდნას.
მაგრამ გვხვდება ისეთი კურიოზებიც, როგორიცაა ტაძრის კედლე-
ბის აღწერა, რომლებიც თითქოსდა “უსწორმასწორო ლოდებითაა”
აგებული. ამ შრომაშიც დიდი ადგილი ეთმობა თვით ხატისა და წა-
რწერების აღწერას. გარდა ამისა, მასში მოტანილია ცნობები აღე-
ქსი-მესხიშვილების ოჯახზე, რომლის წარმომადგენელთა რამოდენი-
მე თაობა XVII საუკუნიდან მოყოლებული ამ ტაძართან იყო დაკა-
ვშირებული. ძალზე საინტერესო ცნობებია დიმიტრი ბაქრაძის შე-
სახებ, რომელსაც 1876 წ. გადაურჩენია XVII საუკუნის სამრეკლო:
თურმე ახალი სამრეკლოს მშენებლობის გამო მისი დანგრევაც ყო-
ფილა განზრახული. იგი გვაწვდის აგრეთვე ზოგიერთ ცნობას ძეგ-

ლის მოგვიანო ისტორიის შესახებ და იმეორებს მოსაზრებას, რომ ლის თანახმად ტაძარს “ზარის ეკლესიასაც” უწოდებდნენ.

ამგვარად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, რაც კი მოიპოვებოდა სპეციალურ ლიტერატურაში XVII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით, ძალზე ცოტას გვამცნობს ამ ნაგებობის პირვანდელ სახეზე და კიდევ უფრო ნაკლებს - მისი აგების თარიღსა თუ ისტორიაზე. მაგრამ 1936 წ. აკად. გ. ჩუბინაშვილი თავის “ქართული ხელოვნების ისტორიაში” [19. 50], V-VI სს. ძეგლებისადმი მიძღვნილ თავში გეგმის ხასიათზე და იმ მცირერიცხვან არქიტექტურულ ფორმებსა და დეტალებზე დაყრდნობით, რომლებიც იმ დროს გაუხსნელად შეიძლებოდა დაგვენახა, ანჩისხატს VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. ამავე დროს იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვახტანგ გორგასლის ვაჟისა და მემკვიდრის - დაჩის მეფობაში, “მოქცევად ქართლისად” - ში მოყვანილი ცნობები იბერიის დედაქალაქ თბილიში წმ. მარიამის ეკლესის შშენებლობის შესახებ, სწორედ იმ ნაგებობას გულისხმობს, რომელიც XVII საუკუნიდან მოყოლებული, მასში ანჩის ხატის გადატანის შემდეგ “ანჩისხატად” მოიხსენიება, თუმცა კვლავ წმ. მარიამის სახელზე არის ნაკურთხი.

აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი თავის “ქართული ხელოვნების ისტორიაში” [20. 107] მოკლედ მოიხსენიებს ანჩისხატსაც. იგი თვლის, რომ ეს ტაძარი ბოლნისის სიონზე გვიანაა აგებული, თუმცა, მისი აზრით, ძეგლი შეიცავს არქაულ ელემენტებსაც გეგმაში მრგვალი ფორმის მქონე სვეტების სახით, რომელიც სირიული ბაზილიკებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო საქართველოში ანჩისხატის გარდა, სამშვილდის ბაზილიკაში გვხვდება, რომელსაც იგი VI საუკუნეს მიაკუთვნებს.


ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ყველა გვი-

ანდელ შრომაში ავტორები მხოლოდ აკად.ჩუბინაშვილის მოსაზრებებს იმეორებდნენ, რაც სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც დიდი წნის განმავლობაში ძეგლი კვლავ შეუსწავლელი იყო.

„შემდგომმა სამუშაოებმა დაადასტურა აკად. გ.ჩუბინაშვილის პიპოთების მართებულობა ანჩისხატისა და „მოქცევად ქართლისად“ - ში მოხსენიებული წმ.მარიამის ეკლესიის იგივეობაზე. მათ აგრეთვე გვიჩვენეს, რომ ძეგლის ზოგიერთი არქიტექტურული ფორმა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც ეს ანჩისხატის პირველ მკვლევარს წარმოედგინა.“

V. წარწერები

ბაზილიკის ერთადერთმა ლაპიდარულმა წარწერამ ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილების სახით მოაღწია. ისინი შემონახულია ჯვრის ამაღლების რელიეფის ორ ფრაგმენტზე და ჩაყოლებულია XVII საუკუნეში აღდგენილი დასავლეთი ფასადის ზედა ნაწილში, მიწის დონიდან დაახლოებით 11 მეტრის სიმაღლეზე, რაც მათ თითქმის შეუმჩნეველს ხდის [21].



ნახ. 25. ანჩისხატი, „ჯვრის ამაღლების“ რელიეფის წარწერა.

აღნიშნული წარწერიდან სრულად შემოინახა მხოლოდ 5 ასო და მეექვსის ქვედა ნაწილი. წარწერა ასომთავრულია. გრაფემების სიმაღლე 5-6 სმ-ია და ერთი ხაზით არიან ჩაჭრილი ქვის სიბრტყეში. წარწერის შემორჩენილ ნაწილს, განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ გააჩნია.

გრაფემათა შესრულების არქაული ხასიათი აშკარად მეტყველებს მათ სიძველეზე. ეს არის ჯერ კიდევ თავშეკრული და უკვე მუცელგან-სილი გრაფემა - **ქ**, ასევე ჯერ კიდევ მარყუებგაუხსნელი გრაფემა - **რ** [22, 32, 33].

მართალია, წარწერა, განსხვავებით უძველესი ქართული წარწერებისაგან, არ არის რელიეფური ასოებით შესრულებული, მა-

გრამ ამ შემოხვევაში შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ არსებობს V-VI სს. დათარიღებული ე.შ; “ბარნაბას ჯვრის” წარწერა [22. 83,84], სადაც დასაწყისი შესრულებულია ჩაკვეთილი ასოებით, ხოლო დასასრული - რელიეფურით; მეორე მხრივ, და რაც მთავარია, რელიეფური წარწერა “ჯვრის ამაღლების” სცენასთან ერთად, ნამდვილად დაარღვევდა ამ როტულ და სიმეტრიულ კომპოზიციას.

გრაფემათა ერთი ჯგუფი მოთავსებულია ჯვრის გამოსახულებიან ქვაზე. იგი შედგება სამი ასოსაგან:

პ- მხედრული მ

ჭ- მხედრული ფ

ც- მხედრული ა

გრაფემათა მეორე ჯგუფი შემორჩენილია მარჯვენა, ანგელოზის გამოსახულებიან ფილაზე. იგი ამოკვეთილია ქვის ქვედა ნაწილის ცენტრში. პირველი ასოდან გადარჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი, რომლითაც შეიძლება დასრულდეს შემდეგი ასოები:

ს- მხედრული ს

ჴ- მხედრული ჵ

შ- მხედრული შ

წ- მხედრული წ

გრაფემათა პირველი ჯგუფი შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც “შეფისა” ან “შეფესა”.

რაც შეეხება გრაფემათა მეორე ჯგუფს, მისი პირველი ასო, ალბათ, განეკუთვნებოდა წინამდებარე, უკვე დაკარგულ სიტყვეს, მომდევნო ორი - შესაძლოა იყოს შემდეგი სიტყვების დასაწყისი: “შეიწყალე”, “შეხეწიე”, “შეწევნითა”.



თავდაპირველად წარწერამ, რომელიც არ შეიცავდა არც ქტირტობის ანის გინაობას, არც მეფის მოხსენიებას, ვისი მმართველობის ხანაშიც შეიძლება გვევარაულა ტაძრის აგება - ერთგვარად იმედი გაგვიცრუა, თითქოს მხოლოდ პალეოგრაფიული ანალიზის მქშვეობით შეგვეძლო შენობის დათარიღება. მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ეს რამდენიმე ასო შეიცავს უძვირთასეს ინფორმაციას. თვით ფაქტი, წარწერაში მეფის ტიტულის მოხსენიებისა, უდავოს ხდის, რომ იგი შესრულებული უნდა იყოს არა უგვიანეს 523 წლისა, ე.ი. მანამდე ვიდრე ირანი გაუქმებდა სამეფო ხელისუფლებას საქართველოში [23. 106].

ამგვარად, თუ მხედველობში მივიღებთ მემატიანის ცნობას იმის შესახებ, რომ დაჩის მეფობის ხანაში თბილისში აშენდა „წ. მარიამის“ ეკლესია [24. 722], აგრეთვე, აკად. გ.ჩუბინაშვილის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ეს ეკლესია იდენტიფიცირებულია ბაზილიკასთან, რომელიც 1675 წ. აღდგენითი სამუშაოების შემდეგ აკურთხეს ღვთისმშობლის სახელზე და ამიერიდან იგი მოიხსენიება როგორც ანჩისხატი [19. 50] - ნათელი გახდება, რომ აღნიშნული წარწერა ადასტურებს როგორც მემატიანის ცნობას, ასევე მეცნიერის ვარაუდს და იგი შეიძლება წაკითხულ იქნას შემდეგი სახით:

/უფალო/ მეფესა /დაჩის/ შეხეწიე. (კვალრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია წარწერის აღდგენილი ნაწილები).

ამგვარ წაკითხვას არ ეწინააღმდეგება აგრეთვე ასოთა განლაგება რელიეფის ქვემოთ - წარწერის შემორჩენილ ნაწილებს შორის ქვის ზედაპირი დაზიანებულია, მაგრამ ეს მანძილი საკმარისია იმისათვის, რომ აქ მოთავსდეს ოთხი ასო, რომლისგანაც შედგება მეფის სახელი.

წარწერაში სიტყვა „შეფის“ არსებობა ეწინააღმდეგება XIX საუკუნეში დამკვიდრებულ აზრს, რომ ტაძარი აგებულია ბაბილო კათალიკოსის მიერ VII საუკუნეში, აღარნასეს მმართველობის პერიოდში [25. 28-29; 15. 17. 6,7]. აღარნასესთვის მეფის ტიტულის მისადაგების შესახებ მემატიანე გვაუწყებს: “... სხუა ყოველი ქართლი

დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან და მეფობისა სახელი ვერცხა „ამან იკადრა...” [26. 226].

შეორე ლაპიდარული წარწერა, რომელიც ბაზილიკას ეხება, ჩაყოლებულია XVII ს. აგებული სამრეკლოს დასავლეთი ფასადის წყობაში. იგი ამოკვეთილია ოთხრი ფერის ერთმანეთის თავზე მდებარე ორ ქვაზე. წარწერა მხედრული ასოებითაა შესრულებული. თითოეული სიტყვის შემდეგ დასმულია ორი წერტილი. დაქარაგმების ნიშნები არ არის, მაგრამ ზოგიერთი სიტყვა შემოკლებულია:

“ჩუენ: ქრისტეს: მიერ: კურ

თხეულმან: ბატონიშვილმან:

კ/ათალიკო/ზმან: ღომენტი: აღვაშენე: სამრ:

ეკლო: და: განვახლე: საყდარი: ესე:

სულისა: ჩვენისა: საოხად: მეფობასა:

ქართველთასა: შანავაზისსასა: ქ/ორონიკონ/სა ტნიგ

ღ/მერ/თ/მა/ნ: განაგრძოს: მეფობა: მათი:

წარწერა გვაუწყებს სამრეკლოს აგებისა და ტაძრის განახლების თარიღს - 1675 წელს. ტაძრის სახელწოდება არც აქ არის მოხსენიებული.

ანჩისხატის მესამე წარწერა ფრესკულია, გახსნილი და წაკითხული მხატვარ-ჩესტავრატორის შალვა აბრამიშვილის მიერ [27].

წარწერა მოთავსებულია აფსიდის ჩრდილოეთი კუთხის ზედა ნაწილში. ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნული წარწერა, ისიც მხედრულია, თუმცა ასოები ისე საგულდაგულოდ არ არის გამოყვანილი. სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი წერტილის სპუალებით, სიტყვაში - “კათალიკოსი” არის ქარაგმის ნიშანი:

“ქ: ჩუენ: ქარ/თ/

ლისა კ ზმა

ძემან

/ა/ მილახორი/ი/ი

ოთამ ნიკო/ლოზმა/
 /ც/ოდვათა ჩ/ვენთა/
 შესანდობლად
 მეფობასა გიორგისა
 ქორონიკონსა ტა

კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვარი, რომელიც აირჩიეს დომენტ-ის გარდაცვალების შემდეგ, ცნობილია, როგორც მხატვართა მფარ-ველი და რიგი მოხატულობის დამკვეთი [28. 149, 150; 17,15; 29].

აფსიდში შემონახულია ტრაპეზის ქვა. იგი სწორკუთხა მოხაზუ-ლობისაა, დაბალი ბაზითა და ზემოდან გადახურული 23 სმ. სიმაღლ-ის კვადრატული ფილით. ამ ფილის დასავლეთ და სამხრეთ მხარეს მიკრული იყო ძლიერ დაზიანებული ქაღალდის ჭვრები, მკრთალი მე-ლნით შესრულებული, იდენტური წარწერებით (ჭვრები გადაეცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს). დასავლეთ-ის ჭვარი, მარჯვენა და ქვედა მკლავებით და მკლავთა გადაჭვარედი-ნების აღვილიდან დიაგონალურად გამოზრდილი ისრისებური წანაზა-რდებით შედარებით უკეთესად არის შემონახული, ხოლო მისი მარ-ცხენა და ზედა მკლავები აღარ არსებობს.

ქაღალდი მკვრივია, გაყვითლებული, წარწერა მხედრული, მხოლ-ოდ ისრისებურ წანაზარდებზე ასომთავრული ასოები. წარწერა გა-წაფული ხელით, საგულდაგულოდ არის გამოყვანილი. იგრძნობა კა-ლიგრაფიული სკოლა, რომლის წარმომადგენლებიც აქტიურ მოღვა-წეობას ეწეოდნენ XVII საუკუნის დასაწყისიდან. ამ სარბიელზე გან-საკუთრებით გამოიჩინებოდნენ ალექსი-მესხიშვილთა და მაღალაძეთა დინასტიები [17. 82]:

ოთხ ისრისებურ წანაზარდზე ასომთავრულით შესრულებულია შემდეგი: ზედა მარცხენა მხარეს - **ჭრი** ჭვარი; ზედა მარჯვივ - **ჭრის** ქრისტეს; ქვედა მარცხენა მხარეს - **ჭრის** ა ძლევად; ქვე-



და მარცხნივ - **გლეხაზ** მტერთახ.

ძირითადი წარწერა, ჭვრის ზედა და მარცხნა მკლავების განად-
გურების გამო, არასრულია.

.....დედოფლისა ღვთის მშობელი /სა/

.....ყოვლად სანატრელისა საქართველოს კათალიკოზ
პატრიარქის

ბატონიშვილის

ანტონისათა მე

ფობასა თეიმუ

/რაზისა/ პორფიროვანის

აქათ ჩ/ღმვ/

1746


მარმარილოს ფილაზე, ურთულესი ასომთავრულით შესრულებუ-
ლი ბოლო, მეხუთე ლაპიდარული წარწერა აღმოჩნდა - 1958 წ. XIX
ს. სამრეკლოზე. პ.კარბელაშვილის [17. 43,44] ცნობის მიხედვით,
წარწერიანი ქვა მოთავსებული იყო ანჩისხატის სემინარიის შესასვ-
ლელის თავზე. 1795 წ., აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად დანგ-
რეული სემინარიის, წარწერიანი ქვა გადატანილ იქნა ეკლესიის სამ-
კვეთლოში, ხოლო შემდეგ იგი მოხვდა ახალ სამრეკლოზე [30].

ქვა წაგრძელებული ფორმისაა, წაკვეთილი ბოლოებით. წარწერა
სამსტრიქონიანია. თითოეული სტრიქონი ჩაწერილია წაგრძელებულ
სწორკუთხედში, რომლის ფონი ჩაღრმავებულია. ასოების და ქვის
ზედაპირი ერთ სიბრტყეშია. ასოები სტილიზებული და დახვეწილია.
მარჯვნივ მითითებულია თავი შესაქმედან ხოლო მარცხნივ - სემინა-
რიის გახსნის თარიღი:

შესაქმე

28-17

„ვითარ საშინელ არს ადგილი ესე. და არა არს სხვა ესე გარ-
ნა



ნახ. 26. ანჩისხატი.

წარწერა ქაღალდის ჯვარზე.


შე პერიოდში. სსნიდნენ რა სასწავლებლებს, სემინარიებს, აკადემიებს, იწერდნენ და ასურათებდნენ წიგნებს, ამით თავისი წვლილი შე-ჰქონდათ ქართული კულტურის გადარჩენისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით დიდი სამუშაო გასწიეს მათ ამ მხრივ ანჩისხატის ეკლესი-აში.

სახლისა ღმრთისაფულებელი არს ბჭეი ცათაო მეტია ფობასა თეიმურაზისა 17^o-55

და ძისა მისა ირაკლი-სა პატრიარქობასა ანტონისა”.

ძეგლზე აღმოჩენილი 5 წარწერიდან მხოლოდ ორი მიეკუთვნება ტაძარს და ერთი - 1683 წლის მოხა-ტულობას. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეყვანა და-ნარჩენი ორი წარწერაც, რომელიც აშკარად მეტყვე-ლებს სასულიერო პირთა მოღვაწეობაზე ისლამის მო-დალების, ქვეყნისათვის მძი-

VI. ძეგლის ისტორია



ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლების ისტორია ძირითადად ძველ მატიანეებსა თუ სხვა ისტორიულ საბუთებში იშვიათ სა და მეტისმეტად ლაკონიურ მოხსენიებებს, ლაპიდარულ წარწერებს, (ერთნიცა და მეორენიც შენობათა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის მოგვეპოვება) და იმ მონაცემებს ეფუძნება, რომელთა “ამოკითხვა” თვით ძეგლზე შესაძლებელი მისი შესწავლის დროს. უძველესი ძეგლების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, შედარებით უკეთ არის გაშუქებული ფაქტები - დაკავშირებული მათ გვიანდელ გადაკეთებებთან, აღდგენასთან თუ შეკეთებასთან.

ასეთივე მდგომარეობა იყო ანჩისხატის ბაზილიკაზეც, მანამდე, ვიდრე აკად. გ.ჩუბინაშვილი დაადგენდა მის იგივეობას წმ.მარიამის ეკლესიასთან, რომელიც ააგო მეფე დაჩიმ, ვახტანგ გორგასალის ვაჟმა და მემკვიდრემ [19. 50], ვერავითარ პირდაპირ მითითებებს ანჩისხატის ეკლესიის აგების თარიღსა და აღმშენებლის ვინაობაზე მატიანეებში ვერ პოულობდნენ.

სამრეკლოს დასავლეთის ფასაზე შემონახული ადრევე ცნობილი წარწერა მხოლოდ 1675 წ. ტაძრის აღდგენას გვაუწყებს.

ამრიგად, აკად. ნ.ჩუბინაშვილის მიგნების წყალობით, (რომლის სიზუსტე შემდგომში დადასტურდა ძეგლზე შემონახული უძველესი ლაპიდარული წარწერის ანალიზით) [8] , ზუსტად დადგინდა აშენების თარიღი, ქტიტორის ვინაობა და ძეგლის პირვანდელი დასახელება.

ცნობა წმ.მარიამის ეკლესიის შესახებ, მოყვანილი “მოქცევად ქართლისახ”-ს მატიანეში, აღმოჩნდა ამ ტაძრის ერთადერთი ხსენება თერთმეტ საუკუნეზე მეტი პერიოდის განმავლობაში და, ამრიგად, ჩვენთვის უცნობია მთელი მისი ისტორია VI საუკუნის დასაწყისიდან XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე.




დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ეკლესიაში გაშენების იზიარა ქალაქს დამტყვდარი ყველა უბედურება. განსაკუთრებით ტრაგიკული უნდა ყოფილიყო 1226 წელი, როცა თბილისი აიღო და დაანგრია ჯალალედინის ჯარმა. თემურლენგის მრავალგზის შემოჭრას საქართველოში მოყვა თბილისის 1440, 1477 და 1488 წწ. აოხრება. არც შემდეგი საუკუნეები იყო ია-ვარდით მოფენილი. XVII საუკუნე-მდე საქართველო თურქეთსა და სპარსეთს შორის ბრძოლის ასპარეზად რჩებოდა და ამ ბრძოლის ქარცეცხლს არაფერი გადაურჩა ხელუხლებელი [31].

მხოლოდ XVII საუკუნეში შეიქმნა ჩვენი ქვეყნისათვის შედარებით წყნარი არსებობის პირობები და თუმცა ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ ითიციალურად ისლამი ელიარებინათ, სწორედ ამ დროს შეძლო მარიამ დედოფალმა აღედგინა ისეთი ძეგლები, როგორიცაა სვეტიცხოველი, ბოლნისისა და ურბნისის ბაზილიკები, ხოლო კათალიკოსმა დომენტიმ კი ანჩისხატი.

კათალიკოსად კურთხევის შემდეგ უფლისწული დომენტი (1659-1675) დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი საკათალიკოსოს კარ-მიდამის მოწესრიგებას - ტაძრის აღდგენასა და სამრეკლოს მშენებლობას. პ.კარბელაშვილი თვლის, რომ სამრეკლო მხოლოდ აღადგინეს, მაგრამ არც თვით სამრეკლო, არც მასზე შემორჩენილი წარწერის ტექსტი ამას არ ამართლებს [17. 43, 44].

XVII საუკუნის აღდგენითი სამუშაოების მოცულობითა და მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ამ დროისათვის ტაძარი ჩამოშლილი ნავთაშორისი ბოძებით, გადახურვის დანგრეული კამარებით, და მთავარი ნავის ძლიერ დაზიანებული კედლებით უნდა მდგარიყო.

სარქესტავრაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ტაძარი აკურთხეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე [19. 50], რაც კიდევ ერთხელ აღასტურებს ტაძრის პირვანდელი სახელწოდების შესახებ აკად. გ.ჩუბინაშვილის შეხედულების სისწორეს. იმ პერიოდშივე ტაძარ-



ში გადასვენეს საყოველთაოდ განთქმული “ხელთუქმნელი ხატი უფლისა”, წამოღებული თურქების მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი ანჩის კათედრალიდან და შეძენილი კათალიკოს დომენტის მიერ [17. 13,14].

ამის შემდგომ ისტორიულ საბუთებში პირველად გამოჩნდა ამ ტაძრის ახალი სახელწოდება – ”ანჩისხატი”.

არსებობდა აზრი, რომ ტაძარს “ზარის ეკლესიაც” ეწოდებოდა [17. 5]. პ.კარბელაშვილის მოსაზრებით, ეს სახელწოდება შეიძლება წარმოშობილიყო VIII-IX სს, არაბთა ბატონობის პერიოდში, როდე-საც მხოლოდ ამ ტაძარს, როგორც კათალიკოს-პატრიარქის კარის ეკლესიას, ჰქონდა პრივილეგია, ზარების რეკვით ემცნო ხალხისათვის ღვთისმსახურების დასაწყისი [17. 41].

ცნობები იმაზე, თითქოს 1680 წელს კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის, ხოლო განმეორებით 1814 წელს, დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის დაკვეთით, ზეთის საღებავებით განაახლეს ძველი მოხატულობა, მთლად ზუსტი არ აღმოჩნდა. გახსნამ გვიჩვენა, რომ კედლის მოხატულობის ძველი ფენა შესრულებულია, და არა ზეთის საღებავებით განაახლებული, კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის დაკვეთით 1683 წელს და რომ მას განმეორებითი აღდგენის არავითარი კვალი არ ამჩნევია.

ტაძარი ახლად იქნა მოხატული ზეთის საღებავებით XIX საუკუნის 40-იან წლებში, ალბათ, მართლაც დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის (1778-1862 წ.). დაკვეთით, ეს მოხდა უკვე იატაკის დონის ამაღლების შემდეგ, რაზეც ნათლად მიგვითითებს იატაკს ზევით საკმაოდ მაღალი სადა პანელის არსებობა და ბიბლიური სცენების განაწილება ამ უკანასკნელის თავზე.

სწორედ ეს მოხატულობა დახვდა პ.კარბელაშვილს, როცა იგი 1898 წ. ანჩისხატის ტაძრის დეკანოზად დანიშნეს.

ცნობილი ქართველოლოგის მარი ბროსეს აზრით, მხატვრობა,

რომელიც მან ანჩისხატის ტაძარში იხილა, ეკუთვნოდა ერთ-ერთს ორ მმა ოვნატამოვთაგან, რომლებმაც პეტერბურგის სამხატვრო აქ-აღმიაში მიიღეს განათლება [14].

მაგრამ, ვინაიდან აკადემიაში ოვნატამოვთაგან მხოლოდ ერთი მმა - აგაფონი სწავლობდა, (მეორე მმა - იაკობი - ასაკის გამო აკადემიაში არ მიიღეს), სავარაუდოა, რომ სწავლის დამთავრებისა და თბილიში დაბრუნების შემდეგ 1844 წ. [32. 185, 186] სწორედ მას შეს-თავშა დეკანოზმა დიმიტრიმ ანჩისხატის ინტერიერის მოხატვა.

თავისი სტილით ეს მოხატულობა კარდინალურად განსხვავდება ძველი ქართული კედლის მხატვრობისაგან, მათ შორის - 1683 წ. შესრულებული ამავე ტაძრის მოხატულობისაგან და, უდავოდ, ეკუთვნის აღამიანს, რომელიც იცნობს XIX საუკუნის რუსი და ევროპელი მხატვრების ნამუშევრებს.

სავარაუდოა, რომ ამავე პეტრიოდში დააშენეს ცენტრალურ ნავს პატარა ცრუ გუმბათიც.

1855 წ. ტაძარში დადგეს ხის მოწუჭურობებული კანკელი [17. 41], რომელმაც ქართული ტრადიციის საპირისპიროდ, ყრუ კედლით გამიგნა აფსიდა ტაძრის მთავარი სივრცისაგან.

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის შუა წლებში ტომეტის ფილებით დააგეს იატაკი, ტაძარმა თითქმის მთლიანად დაკარგა მსგავსება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან.

1876 წელს დასავლეთის ფასალთან ააგეს აგურის მრავალსართულიანი შელესილი სამრეკლო, რომელსაც შესასვლელი ჰქონდა მთავარი ნავის დასავლეთ კიდეში იმთავითვე მოწყობილ ხის პატრონიკედან.

დაბოლოს, ეკლესიაში, მისი გათბობის მიზნით, ღუმელები დაღვეს, რაც თავისთავად ნაკლებად საინტერესო იქნებოდა, რომ არა კვამლ-სადენების მოწყობილობა. დასავლეთი ფასადის ძველ წყობაში სრულიად ბარბაროსულად გაანგრიეს ორი ფართო ვერტიკალური ლარი,



რომელიც მოგვიანებით გარედან ამოშენეს ე.წ. “სტანდარტული” აგურით.

1958 წელს დაიწყო ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები, რომელთა ძირითადი ნაწილი თბილისის 1500 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმისათვის დამთავრდა, დანარჩენი სამუშაოები კი შემდგომი, ერთი წლის განმავლობაში შესრულდა.

ამის შემდეგ ძეგლი ჩართეს ქალაქის დათვალიერების ტურისტულ მარშრუტში.

1981 წელს ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან სულ რამო-დენიმე მეტრის დაშორებით, ქვაბულიდან მიწის ამოღების დროს, რომელსაც ქალაქის მესვეურების მითითებით ექსკავატორით ოხრი-ღნენ საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების კონფერენციარ-ბაზის საძირკვლისათვის, XVII საუკუნის აგურით ნაგები რაღაც შე-ნობის მძლავრი კედლები გამოჩნდა. მისი მდებარეობით თუ ვიმსჯელ-ებთ, ეს უნდა ყოფილიყო კათალიკოს დომენტის სასახლე, აგებული ტაძრის ჩესტავრაციისა და სამრეკლოს შენების თანადროულად [33. ფოტო 41,42]. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ გაეწინდათ და შეესწავლათ ეს ოდესლაც სამსართულიანი შენობა, რომლისგან-აც ჩვენამდე მხოლოდ ქვედა ორმა სართულმა მოაღწია, და მესამე სა-რთულად მასზე ზემოხსენებული კონფერენციარბაზი დაეშენებინათ, მიწაყრილი კათალიკოსის სასახლის გარშემო მისი მეორე სართულის დონემდე აწიეს და ეს უაღრესად საინტერესო ძეგლი, რომლის პირ-ვანდელი და გვიანდელი სახე არაერთხელ დააფიქსირეს მოგზაურებ-მა, მხატვრებმა თუ ფოტოგრაფებმა [39], კვლავ მიწისქვეშ აღმოჩნ-და, თანაც ამჯერად უფრო ღრმად, ვიდრე ადრე იყო.

ერთადერთი, რაც მოვახერხეთ - აღვაღვინეთ სართულშორისი გა-დახურვა კედლებში შემონახული კოჭის ბუდეების მიხედვით, მაგრამ, რამდენადაც შემდგომში სასახლის ნაშთი გადახურეს ე.წ. “სიმკარებ-ით”, დაფარეს მიწის ფენით და შემდეგ ზევიდან მობელტეს, თან მას

უხეადაც რწყავდნენ, ხის კოჭები დალპა, ხოლო ნესტი კვლავაც ანა-
დგურებს XVII საუკუნის ჩვენამდე მოღწეულ ამ ერთადერთ თბილი-
სური სასახლის კედლებს.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ე.წ., მთავარი არქი-
ტექტურული სამმართველოს “სარესტავრაციო საქმიანობის” სრუ-
ლი უსუსურობა, რომელიც არ უწევდა ანგარიშს არც ძეგლ გეგმარე-
ბას, არც ძეგლი ქალაქის ძეგლებს და ისტრაფოდა მხოლოდ და მხოლ-
ოდ გარეგნული ეფექტისა და იატფასიანი წარმატებისაკენ.

VII. „თმინდა მარიამის“ (ანჩისხატის) კელასის პირვადები სახის აღდგენა

წმინდა მარიამის ეკლესიის აღდგენის გრაფიკულ პროექტს საფუძვლად დაედო მისი გახსნის მონაცემები და VI საუკუნის დასაწყისის სხვა ძეგლების შედარებითი ანალიზი. ამ სამუშაოს შესრულება აუცილებელი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო. პირველ რიგში, ეს იყო ახლად ჩატარებული კვლევისას მიღებული შთაბეჭდილებების შეჯამება, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენები ამგვარ ძეგლის ტიპზე, რომელთაც ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული, თან გადაკეთებისა და აღდგენების გამო დამახინჯებული სახით მოაღწიეს. სრული აღდგენის პროექტი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მომავალი სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების სწორი შერჩევის საფუძველი უნდა გამხდარიყო და იმის საშუალებად და გარანტად ქცეულიყო, რათა ძეგლის არც ერთი დეტალი არ დარჩენილიყო უფრადოდ, სანამ იყო არ იქნებოდა ბოლომდე გაზრებული, ღრმად შესწავლილი და სამომავლოდ რუდუნებით შენარჩუნებული.

მოუხედავად ძეგლის გახსნისა და გამოკვლევის შედეგად მიღებული უზარმაზარი მასალისა, მისი უძველესი სააღმშენებლო ფენის დანაკარგები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და VI საუკუნის ბაზილიკის პირვანდელი სახის აღდგენასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ აღსაღები ძეგლის მონაცემებით ვერ მოხერხდა. ეს, ბუნებრივია, მოითხოვდა იმ ძეგლების ზედმიწევნით, დეტალურად შესწავლასაც, რომლებსაც ანალოგიისათვის იყენებდნენ, რაც ასევე არ იყო ადვილი, რადგან ეს უკანასკნელნიც, თავის მხრივ, მოითხოვდნენ გახსნასა და შესწავლას. ამიტომ, თუმცა სამუშაოს ძირითადი ნაწილი, ზოგად ხაზებში, ანჩისხატის გახსნის შემდეგ მაღლევე დამთავრდა, მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა გაცილებ-

ით გვიან მოხერხდა [35].

ბუნებრივია, რომ ანალოგიის საფუძველზე გადაწყვეტილი საკითხები, თეორიის სფეროში უნდა დარჩენილიყო, რამდენადაც მათი პრაქტიკული განხორციელება დაუშვებელია იმ გამონაკლისის გარდა, როცა ეს გზა ძეგლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა.

ამეამად, ჩვენ წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ძეგლის გახსნის პროცესში არა ჩვენთვის სასურველი, არა-მედ რეალური სურათის დანახვა; ამისათვის აუცილებელი იყო მეცნიერებაში უკვე ჩამოყალიბებული და მიღებული სახეებისა და სქემების გავლენისაგან განთავისუფლება და იმის დანახვა და დაჭრება, რასაც ახალი მასალა გვაძლევდა, რამდენად მოულოდნელი და ზოგჯერ არასასურველიც ყოფილიყო იგი.

ეს უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესტავრატორისათვის, რამდენადაც საკუთარი კვლევის შედეგების პრაქტიკაში განხორციელების აუცილებლობა მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამიტომ, ყოველი მისი დასკვნა ღრმად დასაბუთებული და მრავალგზის შემოწებული უნდა იყოს, ხოლო მონაცემები ძალზე დიდი სიზუსტითა და საჭირო სისრულით ფიქსირებული და მისაწვდომი მათი გაცნობის ყოველი მსურველისათვის.

წმინდა მარიამის ეკლესიის პირვანდელი სახის აღდგენის სამუშაოს უნდა მოეცვა ყველა საკითხი, დაკავშირებული როგორც გეგმის გადაწყვეტასთან, ასევე შიდა სივრცის და გარე მასების სტრუქტურასთან, ფასადების კომპოზიციურ გადაწყვეტასთან, კონსტრუქციასთან და დეკორთან.

რამდენადაც ანჩისხატის ბაზილიკაში გახსნილი ზოგიერთი არქიტექტურული ფორმები და დეტალები, ასევე დეკორის ელემენტები, გვხვდება არა მხოლოდ ბაზილიკებში, არამედ ამ ეპოქის სხვა ტიპის ძეგლებშიაც, თითოეული ამ საკითხის განხილვისას არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ბაზილიკების მაგალითით, არამედ სადაც ეს აუცი-

ლებელია სურათის უფრო სრულად გაშუქებისათვის, შეძლებისდაგვარად მაგალითების მაქსიმალურ რაოდენობას მოვიწველიერთ. ეს კი საშუალებას მოგვცემს მეტი დამაჯერებლობა შევძინოთ ამა თუ იმ დასკვნის სისწორეს.


როგორც ცნობილია, ბაზილიკა, როგორც საკულტო შენობის ტიპი, უცხო იყო საქართველოს წინაქრისტიანული მონუმენტური არქიტექტურისათვის [36]. ამისდა მიუხედავად, ტაძრის ეს ტიპი სწრაფად გავრცელდა მთელ ქვეყანაში, როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილებში [37]. ასევე იყო სირიაში, კაპადოკიაში, სომხეთში და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, ამ თემას ხორციელებას საკუთარი სამშენებლო თუ შემოქმედებითი მიღწევებისა და ტრადიციების თანახმად განახორციელებდა.

ბაზილიკური ტიპის ტაძრების ასეთი პოპულარობა საქართველოში ყველაფრის მიუხედავად, აღბათ იმანაც განაპირობა, რომ ნაგებობის ეს ტიპი ტაძრის ზომის (კერძოდ მისი სიგანის) ტექნიკურად გაზრდის შედარებით იოლ საშუალებას იძლეოდა. იმის გამო, რომ ბაზილიკებში გრძივი ღერძის გასწვრივ სივრცე სამაღალა დანაწევრებული და თითოეული ნავის გადახურვა ცალ-ცალკე ხდება, ტაძრის ტევადობის ორჯერ გადიდება შესაძლებელია კამარის ღიამეტრის ზრდის გარეშე.

გეგმა

წმინდა მარიამის (ანჩისხატის) ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები დავიწყეთ მისი გეგმისა, გადაწყვეტისა და შილა სივრცის სტრუქტურის ანალიზით, რაც ქართულ არქიტექტურაში ძირითადად განსაზღვრავს ძეგლის გარე მასების მოცულობასა და პროპორციებს.

როგორც გახსნამ გვიჩვენა, ანჩისხატის ბაზილიკის ყველა გარე კე-



ნახ. 27. ანჩისხატი.

ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი.

დელი დაახლოებით გვერდითი ნავების თაღების ძირამდე და მთავარი ნავის კედლების ზოგიერთი ნაწილებიც კი (ძირითადად ამ უკანასკნელის აღმოსავლეთ და ნაკლებად დასავლეთ კიდეებში) პირვანდელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ბაზილიკის გეგმის ძირითადმა მონახაზმა, ჩვენამდე უცვლელი სახით მოაღწია (ნახ. 14).

ასევე ქველი აღმოჩნდა გეგმაში ნალისებრი აფსიდა, გარდა ჩრდილოეთი კუთხისა, რომელიც XVII საუკუნეში აგურით აღადგინეს და პასტოფორიუმების, რომლებიც მას ჩრდილოეთიდან და სამხრე-

თიდან ებჯინება და გვერდითი ნავებიდან აქვს შესასვლელები. გარკვეულ ეჭვს ბაღებდა ამ სათავსების სხვადასხვა სიგანე, მაგრამ ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის შესწავლამ და ინტერიერის მხრიდან პასტოფორიუმების სარკმლების განლაგებამ ზუსტად აღმოსავლეთი კედლების შუა ნაწილში არ დააღასტურა ეს ეჭვები (ნახ. 27).

ალბათ, ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის ასეთი დაგეგმარება განპირობებული იყო იმ დროს არსებული, მაგრამ დღეს უკვე ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით.

ძველი ნავთაშუა ბოძების სამი წყვილის საძირკვლების გახსნამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენები ბაზილიკის გეგმაზე,


ხოლო ბოძების დასავლეთი წყვილის იმთავითვე ნაპოვნმა ბაზისებშა დამატებითი, თუმცა არასრული მასალა მოგვცა ბაზილიკის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის თაობაზე. ჩვენს წინაშე ბუნებრივ-ად დაისვა კითხვა ამ ბოძების კვეთის ფორმის შესახებ. ბაზისების და-სავლეთი წყვილი, შემონახული *in situ* არის სრულიად საღა კვადრა-ტები, ზომით 140×140 სმ და $43-45$ სმ-ის სიმაღლით. იმის გამო, რომ XVII საუკუნეში ისინი თავისი პირდაპირი დანიშნულებით გამო-იყენეს (დღეს მათზე სვეტების დასავლეთი წყვილი დგას), მათ ზედა-პირზე ძველი ბოძების მოყვანილობის ამოკითხვა უკვე შეუძლებელია.

ქართულ ბაზილიკებში ბოძების ფორმა საკმაოდ მრავალფეროვა-ნია, მაგრამ ყველაზე ხშირად ჯვრისებრი კვეთის მქონე გვხვდება (ბო-ლნისი, ურბნისი, ნატკორა, ზღუდერი, ნუნისი, ახშანი, რკონი, ზემო ალვანი), რაც ქართული ბაზილიკებისათვის ყველაზე დამახასიათებ-ლად ითვლება [38. 9,10].


მართკუთხა და კვადრატული კვეთის მქონე ბოძები გვაქვს კაწა-რეთში, კონდოლში და ჟალეთში, ხოლო T-სებრი ხირსაში, ვაზისუბა-ნში, ყუმში. არის მრგვალი კვეთის სვეტებიც - თიანეთის სიონში და სამშვილდის კომპლექსის ბაზილიკაში, ასევე ჭერ კიდევ შეუსწავლელ მუკუწნის ბაზილიკაში [39].

მოგვიანებით ბაზილიკების ბოძების კვეთი ძალზე რთულდება და გუმბათქვეშა საყრდენებისას ემსგავსება (პარხალი, ოთხთა ეკლესია, სანაგირე).

ანჩისხატის კვადრატულ ბაზებზე, სავარაუდოა, კვადრატული ან ტოლმკლავიანი ჯვრისებრი კვეთის მქონე ბოძები მდგარიყო. განივ კედლებთან შემონახული ნავთაშორისი თაღების სიგანიდან გამომდი-ნარე, რომელიც 92 სმ-ს უტოლდება, გეგმაში კვადრატული ბოძების კვეთის ფართობი უნდა ყოფილიყო $0,92 \times 0,92 = 0,85$ კვ.მ. ჯვრისე-ბრი ბოძის კვეთის სიბრტყე კი ორჯერ დიდი იქნებოდა ($0,92 \times 0,92$) $\times 0,92 \times 0,24 \times 4 = 1,73$ კვ.მ. (ნახ.28).



პირველ ვარიანტს,
თუმცა იგი მარტივი და
ლოგიკური ჩანს, რამდე-
ნიმე ნაკლი გააჩნია: 1.
მისი კვეთის ფართობი
მეტისმეტად მცირეა ას-
ეთი დიდი ძეგლისათვის.




ნახ.28. ანჩისხატი. ბოძების კვეთის ვარიანტები.

მაგალითად, ურბნიში იგი 1,76 კვ.მ-ს უტოლდება ბოძების ოთხი
წყვილის არსებობის პირობებში, ბოლნიში 1,483 კვ.მ ხუთი წყვილი
ბოძების მქონე ტაძარში, კაწარეთში 1,66 კვ.მ ბოძების 4 წყვილში. 2.
სრულიად საღა ბაზისებისათვის 24 სმ-იანი გაფართოება მეტისმეტად
დიდია. 3. განაპირა თაღები 24 სმ-ით უფრო მცირეა შუათანებზე.

ჯვრისებრი კვეთის მქონე ბოძების ვარიანტს ზემოაღნიშული ხა-
რვეზები არა აქვს. გარდა ამისა, თუ თვალს მივაღევნებთ ე.წ.
“გრძელ” ბაზილიკებში ბოძთამორისი მანძილისა და თვით ბოძის სი-
განის არსებულ შეფარდებას, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ძეგლი	ბოძების რაოდენობა	თარიღი	ბოძთაშროის მანძილის ბოძის სიგანესთან შეფარდება
1. კაწარეთი	4 წყვილი	V ს.	1.40
2. ბოლნისი	5 წყვილი	V ს.	1.79
3. ურბნიში	4 წყვილი	V ს.	1.90
4. ანჩისხატი	3 წყვილი	VI ს.	3.10 I ვარიანტი
5. ნაფერა	3 წყვილი	VI ს.	2.00 II ვარიანტი
6. ხუნისი	3 წყვილი	VI ს.	1.82
7. ჭონდოლი	2 წყვილი	VI ს.	1.85
8. ვაზისუბანი	2 წყვილი	VI-VII ს.	2.08
9. ხირსა	4 წყვილი	VI ს.	2.10
10. ახშაანი	2/I წყვილი	VI ს.	2.50

წმინდა მარიამის (ანჩისხატის) ეკლესიაში ეს შეფარდება კვადრა-



ნახ. 29. ანჩისხატი. გეგმა, აღდგენილი კვრისებრი კვეთის მქონე ძოძებით.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ წმინდა მარიამის ეკლესიისათვის ბოძების ყველაზე შესაბამისი კვეთი არის ტოლმკლავიანი ჭვარი (ნახ. 29).

შოდა სივრცე

წმინდა მარიამის ეკლესიის შიდა სივრცის აღსაფენად ჩვენს ხელ-თა გვაჟეს აღდგენილი გეგმის მონაცემები და ძველი კედლების ჩვენა-მდე მოღწეულ წყობაში შემონახული მთელი რიგი დეტალები. უპირ-ველეს ყოვლისა ეს არის დაბალი აფსიდა, მის ზევით აღმართული ვე-რტიკალური შუბლით და უკან განლაგებული ბნელი, ძნელად მისად-გომი სათავსო-სამალავით (ნახ. 16 და 20).


ასეთი დაბალი აფსიდები გვხდება არა მხოლოდ სამნავიან და სა-მეკლესიიან ბაზილიკებში (ბოლნისი, V ს., აკაურთა, V ს., კაწარეთი V ს., ურბნისი, V ს., ახმეტის ღვთაება, VI ს., რკონი VII ს., თიანე-თის სიონი, VIII ს., ვანათი, V ს., ჭერემის მამა-დავითი VI ს., რუის-

ტული კვეთის მქონე ბოძე-ბისათვის 3.1 ტოლია, რაც სრულიად ამოვარდნილია საერთო სურათიდან, ხოლო ჭვრისებრი კვეთის ბოძებისათვის იგი 2.0 ტოლია, რაც სრულიად ბუნე-ბრივია VI საუკუნის ძეგლისათვის, მითუმეტეს, რომ კვეთის ეს ფორმა ყველაზე უფრო დამახასიათებელია ჭართული ბაზილიკებისათვის.

პირის ყველაწმინდა, VI ს., და ალბათ ხირსა, V ს.) [4. 327], არამ-
ედ დარბაზულ ეკლესიებშიც, როგორიცაა ჭერემის “წვეროდაბალი”
(V ს.) [40] და მისარონი - ნოქალაქევში (VI ს.) [41]. დაბალ აფსიდ-
ას ყოველთვის გააჩნია კონქის თავზე განლაგებული მაღალი შუბლი,
რომელიც მთავარი ნავის გადახურვის კამარას აღწევს.

იმ შემთხვევაში როცა დაბალი აფსიდა შვერილია, იგი ტაძრის
მთავარი კორპუსისაგან დამოუკიდებლად არის გადახურული, გეგმა-
ში ნახევარწრიულ-ნახევარკონუსური სახურავით (ბოლნისი, ბოლბე,
ყუმი), ხოლო მრავალწახნაგოვანი - პირამიდულით (აკაურთა, თიანე-
თის სიონი, 40 წამებულის ეკლესია ნოქალაქევში). მაგრამ როდესაც
დაბალი აფსიდა ჩაწერილია გარეთა კედლების მართკუთხედში, კონ-
ქის თავზე, ვერტიკალური შუბლის უკან, როგორც წესი, განლაგებუ-
ლია ბნელი სათავსი-სამალავი, რომლის ზევით გრძელდება მთავარი
ნავის ეკლესიის კამარა და ამ გზით განივი
ფასადების ერთნაირი სილუეტები იქმნე-
ბა, (კაწარეთი, ურბნისი, ანჩისხატი, რკო-
ნი, “წვეროდაბალი”, მამა-დავითი ჭერემ-
ში, ახმეტის ღვთაება, რუისპირის ყველა-
წმინდა) [42].

ანჩისხატის კონქსა და აფსიდას კიდევ
ერთი საინტერესო დეტალი აქვს, რომე-
ლიც პირველად 1958 წელს, ძეგლის ანა-
ზომის გადათეთრებისას შევმჩნიეთ. ეს
დეტალი მაშინ იმდენად უცნაურად მოგ-
ვეჩვენა, რომ კონქი ხელმეორედ ავზომ-
ეთ. აღმოჩნდა, რომ აფსიდის კედლები
გვერდით იმპოსტებზე ქვის წყობის ერთი
რიგით უფრო მაღლა აღის და ამის შემდ-
ებ გადადის კონქის მრუდზე. გეგმაში აფ-



ნახ. 30. აფსიდის გეგმისა და
კონქის აგებულების თავისე-
ბურება ზოგიერთ უძველეს
ძეგლში.




სიღის კედლის ორივე ბოლო კუთხეებიდან 60 სმ-ის მანძილზე ურთია-
ერთპარალელურია და მხოლოდ შემდეგ იწყებს ნალისებრი მრუდის
შემოხაზვას (ნახ.30).

მოგვიანებით მსგავსი ფორმები დაღვინდა VI საუკუნის ზოგი სხვა
ძეგლისთვისაც - ჭერების “წვეროდაბალისა” და მამა-დავითის ეკლე-
სიებში, ურბნისის ბაზილიკის გეგმაში [43] და ვანათის სამეკლესიიან
ბაზილიკაში [44]. (ე.წ. ნაშვერები ჩანს მხოლოდ ვანათის სამეკლესი-
იანი ბაზილიკის გეგმის ნახაზზე, გრძივ კვეთში კი აფსიდის კედლის
ვერტიკალური მონაკვეთი ნაჩვენები არ არის).

ეს ტექნიკური ხერხი, ალბათ, მნიშვნელოვნად ააღვილებდა ტრი-
უმფალური თაღის ქვების გათლასა და დაწყობას.

ნავთაშორისი არკატურის აღსაღვენად ჩვენ ხელთა გვაქვს აღდგენი-
ლი გეგმა და ძველი ნავთაშორისი არკატურის თაღების ნარჩენები, რო-



ნახ. 31. ანჩისხატი. გრძივი ჭრილი. სამნერეთი ზედი.
რესტავრაციის პროექტი.

მღებიც შემონახულია ინტერიერის განივ კედლებთან (ნახ. 29, 31).

განივ კედლებთან განლაგებულ იმპოსტებსა და ყოველი რიგის სამ ბოძს უნდა დაყრდნობოდა ოთხ-ოთხი თალი. ნალისებრი მოყვანილობის თაღები 140 სმ-ის ტოლი რადიუსით მოხაზული ცენტრიდან, რომელიც ძველ იმპოსტებზე 35 სმ-ით მაღლა არის განლაგებული, თანხვდება ძველი თაღების ნაჩენების მოხაზულობას (ნახ. 31).


ანჩისხატის ბაზილიკის შიდა სივრცისა და გარე მასების გრაფიკული რეკონსტრუქციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ნავების სიმაღლის, მათი კამარების გადახურვისა და სახურავების ფორმისა და კონსტრუქციის განსაზღვრა.

ამ როული პრობლემის გადასაჭრელად, რის გარეშეც ძეგლის რეკონსტრუქციის დამთავრება შეუძლებელია, სამწუხაროდ, არ გვაქვს მზა მაგალითები იგივე ეპოქის ბაზილიკების, ძროის მიერ დაუზიანებელი პირვანდელი კამარების სახით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ძეგლზე შემორჩენილი კამარების გადახურვის ნაშთების დეტალური ანალიზის შედეგად მაინც მოხერხდა იმის გარკვევა, რა არქიტექტურული ფორმების გამოყენება იყო შესაძლებელი იმ ეპოქაში და რა განსაზღვრავდა ამა თუ იმ ფორმის გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

დღეს ანჩისხატის, ურბნისისა და ბოლნისის ბაზილიკების კამარები გადახურულია XVII საუკუნეში აღდგენილი შეისრული ფორმის ნახევარკამარებით.


აკად. გ.ჩუბინაშვილი თვლიდა, რომ ამ გადახურვების ყველაზე მოსალოდნელი ფორმა არის ნახევარწრიული კამარა შუა ნავისა და ნახევარკამარები გვერდითი ნავებისა [44. 110, 11].

მართლაც, ბოლნისის სიონში კარგად ჩანს, რომ ბოძების პილასტრები მიმართული გვერდითი ნავებისაკენ, უწყვეტლივ გრძელდება არკატურაზე მაღლა [45]. ამ პილასტრების იმპოსტები განლაგებულია 1.30 მეტრით ზევით როგორც ნავთაშორისი არკატურის პილა-



ნახ. 32. ბოლნისის სიონი. გრძივი ჭრილი სამხრეთ ნავზე.

ჩრდილოეთი ხედი.



ნახ. 33. ბოლნისის სიონი.

გვერდითი ნავის ნახევარკამარა,
აღდგენილი XVII საუკუნეში.

სტრებზე, ასევე გვერდითი ნავის გარე კედლების პილასტრების იმპოსტებზე, ე.ი. ისეთ სიმაღლეზე, რომ ნახევარკამარები, დაყრდნობილი საბრჯენ ნახევართაღებზე, არ ფარავდეს ნავთაშორის არკატურას (ნახ. 32, ფოტო 45). XVII საუკუნეში ეს პილასტრები აამაღლეს აგურის წყობით და დააღდგეს ქვის ახალი იმპოსტები. იმპოსტები დახრილია, ალბათ იმ მიზნით, რომ უფრო მტკიცე დასაყრდენი შეუქმნას შეისრული ფორმის მქონე საბრჯენ ნახევარკამარებს (ნახ. 32, 33, ფოტო 45, 46).


უკვე სხვადასხვა დონეზე განლაგე-

ბული იმპოსტების არსებობის თვით ფაქტი და ზედა იმპოსტების იმგვარი განლაგება, რომ მათ არ დაფარონ ნავთაშორისი არკატურა, ნათლად შეტყველებს, რომ ბოლნისის ბაზილიკას გვერდით ნავებში შეიძლება ჰქონოდა ნახევარკამარა მხოლოდ ნალისებრი მოყვანილობის საბრჭენ ნახევართალებზე (ნახ. 34).


ასეთი ფორმის ერთი თაღი განმეორებულიც კი არის ქვასა და აგურში (როგორც XVII საუკუნეში აღდგენილი ყველა ნაწილი) სამხრეთი ნავის აღმოსავლეთ კიდეში. მაგრამ, შესაძლოა ორქანობიანი

სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით, XVII საუკუნის მშენებლებმა კვლავ მიმართეს მათთვის ჩვეულ შეისრულ ფორმას, რომელიც პარმონიულად ერწყმოდა მთავარი ნავის ახალ გადახურვას (ფოტო 46).

უძველესი ბაზილიკების გვერდითი ნავების გადახურვა სრული კამარით რომ შეუძლებელია, ყველაზე უკეთ კაწარეთის სამების მაგალითზე ჩანს. იმის მიუხედავად, რომ ამ ძეგლის როგორც გარეგანმა სახემ, ისე ინტერიერმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა [46], მისი კედლების ძირითადი ნაწილი გადახურვის კამარების პირამდე, აგრეთვე ნავთაშორისი არკატურები, ძველია. ასევე ძველია სარკმლების უმრავლესობა და რიგი სხვადასხვა დროის დეტალებისა, რაც საშუალებას გვაძლევს სრულად გავიაზროთ თითოეული მათგანის დანიშნულება და შექმნის დრო. გვერდითი ნავების გრძივ კედლებში, ინტერიერში, დღემდე შემონახულია კონსოლების უმრავლესო-




ნახ. 34. ბოლნისი. გვერდითი ნავის კამარა. V ს. კონსტრუქციის აღდგენი.




ნახ. 35. კაწარეთის სამება. სამხრეთი ნავის გრძივი ჭრილი.
ჩრდილოეთი ხედი.

ბა, რომლებსაც სხვადასხვა ღროს და სხვადასხვა დონეზე ეყრდნობოდა გვერდითი ნავების საბრჯენი თაღები [47]. ეს კონსოლები ორ რიგადაა განლაგებული: ორი ქვედა უშუალოდ ძველი ბოძების კაპიტელების დონეზეა ჩამაგრებული, ზედა კონსოლი კი ბოძების ღერძზეა განლაგებული, მხოლოდ არკატურის ზევით (ნახ. 35 და 36).

კონსოლების ასეთი სიმრავლე შეიძლება აიხსნას მხოლოდ გვერდით ნავებში სხვადასხვა ღროს კამარების სხვადასხვა დონეზე მოწყობ-



ნახ. 36. კაწარეთი. სამხრეთი ნავის გრძივი ჭრილი. სამხრეთი ხედი.




ნახ. 37. კაწარეთი.

სამხრეთი ნავის განვითარები
V, VII-VIII და XIV ს.
კამარების აღდვენით.

ის აუცილებლობით. პირველ ჭრიებში ამ თემაზე
აქე მიუთითებს კამარები, რომლითაც
ნავები დღეს არის გადახურული. მათ
გააჩნია საბრჯენი თაღები, რომლებსაც
გარე კედელთან კონსოლი არა აქვს
(ნახ. 37). აკად. გ. ჩუბინაშვილის აღწე-
რით, ეს თაღები: “უსწორმასწოროა,
ნახევარწრიული, რიყის ქვით ჩამოსხმუ-
ლი მცოცავის შთაბეჭდილებას ტოვ-
ებს. ისინი შებრტყელებულ საბრჯენ
თაღებს ეყრდნობა” [48. 136].


მაგრამ იმის მიუხედავად, რომ საბ-
რჯენი თაღები “ჩაბრტყელებულია” და
კამარა “მცოცავის” შთაბეჭდილებას
ტოვებს, ამ კამარაზე მოწყობილი XIV
საუკუნის სახურავი თითქმის მთლიან-
ად ფარავს ნავის ქველ სარკმლებს (ნახ. 35 და 37). ამგვარად, სრუ-
ლი კამარა, დაყრდნობილი კონსოლების ზედა წყვილზე, არ შეიძლე-
ბა იყოს პირვანდელი, ხოლო საბრჯენი თაღების კამარა დაყრდნობი-
ლი კონსოლების ქვედა წყვილზე, დაფარავდა ქველ არკატურას
(ნახ. 37). კამარის ჩამოსხმული არსებობაზე მიუთითებს არა მარტო იმ-
პოსტების ქვედა წყვილები, არამედ საბრჯენი თაღების ნაშთები, რო-
მლებიც ოდესალაც კონსოლებს ეყრდნობოდა (ნახ. 35, 36). ასეთი კა-
მარა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშვა, როცა ქველი
არკატურის ქვეშ ააგეს მეორე, უფრო დაბალი, რაც აკად. გ. ჩუბინა-
შვილის ჩრით, შეიძლება VII-VIII სს. მოხდა [4.59].

ბუნებრივია იბადება კითხვა, რას წარმოადგენდა V საუკუნის კა-
მარა, რომელიც არც ნავთაშორის არკატურას ფარავდა და არც მთა-
ვარი ნავის სარკმლებს? ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტა არ-



ნახ. 38. ანჩისხატი. განივი ჭრილი.
აღმოსავლეთი ხედი. აღდვენის პროექტი.

ის სწორედ ნახევარგამარტო რომლის საბრჯენი თაღი ყურდნობოდა გარე კედლის კონსოლს და არკატურის ზევით განლაგებულ ზედა კონსოლს. ასეთი კამარა (როგორც ეს კარგად ჩანს ნახ. 37) არ დაფარავს ძველ არკატურას, ხოლო მასზე მოწყობილი სახურავი არ მიეფარება მთავარი ნავის სარკმლებს.



ნახ. 39. ჭრილი გვერდით ნავზე.
აღდვენა.

ანჩისხატის ბაზილიკაში სურათი რამდენადმე განსხვავებულია. აქ გვერდითი ნავების გარე კედლებს არა აქვთ პილასტრები, არც საბრჯენი თაღების დასაყრდნობი კონსოლები ქვედა ბოლოებზე, მხოლოდ ნავთაშორისი არკატურების ორივე მხრიდან, ძველი წყობის ფარგლებში, კონსოლები ისეთ სიმაღლეზეა შემოჩენილი, რომ მათზე დაყრდნობილი საბრჯენი ნახევართაღების ზედა ბოლოები არ ფარავს არკატურას. მათ თავზე განლაგებული ჰიორიზონტალური თაროს დანიშნულება კი, ალბათ, იმაში მღვიმარეობდა, რომ დაცვა გადახურვა ნესტისაგან (ნახ. 19,38).


ნახევარწრიული კამარების მოწყობა ანჩისხატის გვერდით ნავებზე შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ

ის უბრალოდ ვერ თავსდება აღმოსავლეთი ფასადის ძველი წყობის გაბარიტებში. გარდა ამისა, ასეთი კამარის სახურავი, გაგრძელებული მთავარ ნავზე, იჭრება არა მხოლოდ უკანასკნელის კამარაში, არამედ მის კონქშიც კი (ნახ.39).

ჩაც შეეხება ურბნისის ბაზილიკას, მასში ნავთაშორისი ბოძების პილასტრები, მიმართული გვერდითი ნავებისაკენ, ისევე როგორც ბოლნიში, ისეთ სიმაღლეზეა ასული, რომ საბრჯენი ნახევართაღის ზედა ბოლო არ ფარავდეს არკატურას (ნახ.40, მარცხენა მხარე). სარკმლები,

სამხრეთი მინაშენის გამო ისევე როგორც ანჩისხატში, გაჭრილია საკმაოდ მაღლა. ყველა ამ მონაცემის ერთობლიობა კი მხოლოდ ნახევარკამარის მოწყობილობის შესაძლებლობას იძლევა (ნახ.40, მარცხენა ნახევარი).

ამგვარად, კაწარეთის, ბოლნისის, ურბნისის და ანჩისხატის გვერდითი ნავების გადახურვის ნაშთების ანალიზის შედეგებით მხოლოდ ნახევარკამარების მოწყობაა შესაძლებელი (ნახ.37, 39, 40, 42). ამავე ღროს, არც ერთ ამ ძეგლზე არ ხერხდება აღდგენა გვერდითი ნავების სახურავებისა მთავარ ნავზე გაგრძელებით, საშივე ნავისათვის



ნახ. 40. ურბნისი. განაკვეთი.

1. გვერდითი ნავის აღდგენა ნახევარკამარით და მთავარი ნავის კამარის აღდგენა მაქსიმალურად დაბალ დონეზე.
2. გვერდითი ნავის აღდგენა სრული კამარით და ყველა ნავისათვის საერთო ორქანობიანი სახურავის მოწყობის ცდა.



საერთო ორქანობიანი სახურავის მოწყობით, რამდენადაც აფსიდის კონქები ვერ თავსდება ამ უკანასკნელის ქვეშ.

ნახევარკამარები, გარდა ზემოჩამოთვლილი ბაზილიკებისა, უნდა ჰქონოდა სოფ. ხირსის ბაზილიკას (რომელიც მოგვიანებით გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს). მასში გვერდითი ნავების მხრიდან, არკატურის თავზე, ღლესაც ჩანს ნავთაშორისი ბოძების ღრეულებზე განლაგებული მოკლე პილასტრები - კონსოლები. სავარაუდოა, რომ უძველეს დროს მას ეყრდნობოდა გადახურვის კამარების საბრჯენი ნახევართაღები, რომლებიც, ამგვარად, არკატურებს არ დაფარავდა.

უდავოა ისიც, რომ სწორედ ნახევარკამარებით უნდა ყოფილიყო გადახურული გვერდითი ეკლესიები ვანათის ნასოფლარის (ბოლნისის რაიონი) ერთ-ერთ უძველეს სამეკლესიიან ბაზილიკაში [44. 111] და ჭერების წვეროდაბალის ეკლესიაში” [4. 188-189], რომლებშიც ღია ლუნეტებიანი შესასვლელები, კონსოლები ფასადებზე და მთავარი ეკლესის სარკმლები ისეთ ურთიერთმიმართებაშია, რომ გამორიცხავს სრული კამარის გამოყენებას გვერდითი ნაწილებისათვის.

ძეგლებზე, რომლებშიაც თავიდანვე ნახევარკამარები იყო მოწყობილი, მათ მონგრევასა და შეცვლას ნახევარწრიული კამარებით ყოველთვის სდევდა რაღაც შეუსაბამობანი - მაგალითად, სახურავი ფარავდა მთავარი ნავის სარკმლებს, ანდა იქმნებოდა დადაბლებული არკატურის მოწყობის აუცილებლობა, როგორც ეს მოხდა კაწარეთში და თელავის ღვთაებაში.

საკითხის გარკვეულწილად კომპრომისულ გადაწყვეტად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. “შცოცავი” კამარის გამოყენება ნახევარწრიულის ნაცვლად, რომელიც უკეთესად თავსდება ძეგლი ბაზილიკის სუსტად დახრილი ერთქანობიანი სახურავის გაბარიტებში. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ყველაწმინდას ეკლესია ზეგანში და ე.წ. “ღეკანოზური” ვარდისუბნის მახლობლად [49. 5-18].

მაინც რით იზიდავდა აგრერიგად V-VI საუკუნის ხუროთმოძღვ-

ართ ისეთი არასრულყოფილი კონსტრუქცია, როგორიცაა, ნახევარკამარა?

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დიდი ზომის შესასვლელები ღია ლუნეტებით, უშველებელი სარკმლები და მაღალი ბოძები არ ტოვებდნენ ნახევარწრიული კამარის მოსაწყობად აუცილებელ კედლის ყრუ ზოლს.

მაგრამ, დროთა განმავლობაში ამ ბაზილიკებში თავს იჩენს არკატურის სიმაღლის შემცირების გარკვეული ტენდენცია. ასე მაგალითად, ბოლნისში არკატურის სიმაღლე 8,5 მ. აღწევს, კაწარეთში 7,7 მ., ურბნისში - 7,1 მ., ანჩისხატში - 6,7 მ., რკონში - 5,3 მ., გაზისუბანში - 4,3 მ., გორიჯვარში მისი სიმაღლე მხოლოდ 3 მეტრია.

არკატურები სულ უფრო და უფრო დაბლდება, ხოლო ამის ხარჯზე იჩრდება მათ თავზე განლაგებული ყრუ ზოლის სიმაღლე. კაწარეთში სარკმლები პრაქტიკულად თაღებზეა შემდგარი (ნახ.37), ვაზისუბანში მათსა და არკატურას შორის 3,7 მ. სიმაღლის ყრუ კედლია, ხოლო ახშაანში ამ კედლის სიმაღლე უკვე 4 მეტრს აღწევს. რასაკვირველია, ორი უკანასკნელი ბაზილიკა უკვე არ საჭიროებს ნახევარკამარებს, რამდენადაც ყრუ კედლის მაღალი ზოლი არკატურის თავზე სავსებით საკმარისია სრული კამარის მოსაწყობად. მნიშვნელოვანია, რომ დადაბლების ტენდენცია გრძელდება და ნავთაშორისი არკატურა ნავების გამარტინებელი ფაქტორიდან თავის საპირისპირო ელემენტად იქცევა. მისი დაბალი და უკვე მცირერიცხოვანი ლიონები უბრალო გასასვლელებადაა გამოყენებული. ზოგჯერ ბაზილიკის ერთ-ერთი კედელი ერთგასასვლელიან ყრუ კედლად იქცევა, როგორც არის მატანის ცხრაკარაში [4. 49], ახმეტის ღვთაებასა [4. 73,55] და ბაიხოში [4. 91].

ნახევარწრიული კამარა, რომელმაც ნახევარკამარა შეცვალა, კიდევ უფრო უწყობს ხელს თითოეული ნავის თავისითავში ჩაკეტვას, აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია ისეთი თავისებური სივრცის მქონე




სტრუქტურამდე, როგორიცაა სამეკლესიიანი ბაზილიკა, ეს უკანასკნელი საქართველოში საუკუნეების მანძილზე შენდებოდა ნამდვილი ბაზილიკების პარალელურად.


ახლა მხოლოდ მთავარი ნავის სიმაღლის საკითხი რჩება გასარკვევი, რომელიც კაწარეთისა და ანჩისხატის ბაზილიკებისათვის სულ მარტივადაა გადაწყვეტილი. თვით ფაქტი, ანჩისხატში მთავარი ნავის ძველი კედლებისა, ხოლო კაწარეთში გრძივ კედლებზე შერჩენილი ძველი სარკმლების არსებობისა, უკვე გამორიცხავს საერთო ორქანობიანი სახურავის მოწყობის შესაძლებლობას.

რაღაც კაწარეთში მხოლოდ კამარის ფორმაა შეცვლილი, შეისრული კამარის ნახევარწრიულით შეცვლა სავსებით წყვეტს ამ პრობლემას (ნახ. 37).

რაც შეეხება ანჩისხატის მთავარი ნავის სიმაღლეს, ამ ძეგლმა აღმოსავლეთ ნაწილში შეინარჩუნა კედლების ძველი წყობა გვიანდელი კამარის ძირამდე. აქაც სრულიად საკმარისია კამარის მხოლოდ ფორმის შეცვლა, მითუმეტეს, რომ შემორჩენილი კედლების სიმაღლე



ნახ. 41. ბოლონის სიონი. მთავარი ნავის ვრძივი ჭრილი. 1985 წლის ანაზომი.



ნახ. 42. ბოლნისის სიონი. განვითარებული ტერიტორია. ხედი აღმოსავლეთისაკენ. აღდგენა.

თავისუფლად იძლევა სარკმლების მოწყობის შესაძლებლობას (ნახ.38).

გაცილებით უფრო რთულად არის მთავარი ნავის სიმაღლის საკითხი ბოლნისისა და ურბნისის ბაზილიკებში.

ბოლნისის სიონზე 1985 წ. ჩატარებული დეტალური კვლევისა და არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვის შედეგად [50] გამოიჩინა შემდეგი:

1. მთავარი ნავის კედლებისა და კამარების მთელი წყობა ნავთაშორისი არკატურების ზევით ახალია ისევე, როგორც ახალია თაღების დასავლეთი წყვილის წყობა (ნახ.41, ფოტო 47).


2. ნავთაშორისი სვეტების მთავარი ნავისაკენ მიმართული ყველა იმპოსტი დადგმულია XVII საუკუნეში ახალი ვარცლისებრი პატარა კამარების საყრდენებად (ფოტო 48, 49, 50).

3. ეს იმპოსტები ძველისაგან გამოიჩინა თლის ტექნიკით, ფორმით, ზომითა და დაყენების დონით და სულაც არა ჰქონიან იმ ერთიან შეკრულ კონსტრუქციულ კვანძს, როგორიც 1939 წლის ანაზომშია

ნაჩენები (ფოტო 49, 50, 51, 52).

4. ამ იმპოსტებზე მდგარი საბრჯენი თაღების ქვედა ბოლოები, არ შეიძლება იყოს პირვანდელი და არც თავის აღვილზე იმყოფება. ეს თაღის ქვები მეტისმეტად თხელია V საუკუნის ძეგლისათვის. სიცარიელე ამ იმპოსტებსა და კედელს შორის XVII საუკუნის აგურითაა ამოვსებული. მათ არ გააჩნიათ ამ ეპოქის ძეგლების თაღების საწყისი ქვებისათვის აუცილებელი ფორმა (ნახ. 34, 42), და, რაც მთავარია, ცენტრალური ნავის გადახურვის კამარის საბრჯენი თაღების დაყრდნობა შესაძლებელია მხოლოდ ნავთაშორის არკატურებს ზევით განლაგებულ იმპოსტებზე. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოხდეს მთავარი ნავის გადახურვა თუნდაც ყველაზე დაბალ დასაშვებ დონეზე, ნავთაშორისი ბოძების პილასტრები, მიმართული მთავარი ნავისაკენ, არკატურის ზევით უნდა აღიოდეს (ნახ. 41, 42). ეს გარემოება კი უკვე მთავარი ნავების კედლების ამაღლებას მოითხოვს. ამ უკანასკნელთა სიმაღლის დასახუსტებლად უნდა გადავწყვიტოთ ძეგლის განათების პრობლემები, რამდენადაც კედლების სიმაღლე მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, მოეწყობა თუ არა გრძივ კედლებში სარკმლები.

შესაძლოა, კაწარეთის, ურბნისისა და ანჩისხატის ბაზილიკებისათვის, რომელთა გვერდითი ნავების კედლებს სარკმლები გააჩნია, ამ პრობლემის უარყოფითი გადაწყვეტა მისაღებიც ყოფილიყო. მაგრამ სწორედ კაწარეთმა შემოინახა მთავარი ნავის კედლებში თითო სარკმელი ყოველი თაღის ზევით. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ანჩისხატშიაც ზუსტად ასეთივე სურათი გვექნებოდა, ხოლო ბოლნისი, რომლის გვერდითი ნავების გრძივ კედლებში სარკმლები არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩებოდა განათების გარეშე. მით უმეტეს, რომ მისი მთავარი ნავის ყველაზე დაბალ დასაშვებ დონეზე გადახურვისათვისაც კი, კედლების თითქმის 3 მ-ით აწევაა საჭირო. ძალზე საეჭვოა, რომ ისეთ დიდ ხელო-




ვანს, როგორიც უდავოდ იყო ბოლნისის ხუროთმოძღვარი, ძეგლის მხატვრული ლირებულების თვალსაზრისით ასეთი უხეში შეცდომა დაწევა. ამ შემთხვევაში ხომ ყოველგვარ აზრს კარგავდა ყველა მისი ძალის ხმევა ამ ძეგლის ინტერიერის შესამკობად [51].

რაც შეეხება ურბნისის ბაზილიკას, მასში დღემდე შემორჩინავთა-შორისი ბოძების ძევლი პილასტრები და მათ შორის მთავარი ნავის კედლები, რომლებიც არ კატურის თავზე 1,6 მ-ით აღის. ეს უდავოდ, მიუთითებს, იმაზე, რომ ურბნისის ტაძარი ტიბიური ქართული ბაზილიკაა. ამავე პერიოდის ყველა სხვა ბაზილიკის მსგავსად მასაც, მთავარი ნავის გრძივ კედლებში ჰქონდა სარკმლები, რომლებიც კარგად ანათებდა ტაძრის ინტერიერს. ეს არის ე.წ. “claire voie” ფართოდ გავრცელებული მთელი ქრისტიანული ოლმოსავლეთის ძველ ბაზილიკებში [52]. შესწავლილ ქართულ ბაზილიკებს შორის ერთადერთი, რომელიც თავიდანვე ყველა ნავისათვის საერთო ორქანობიანი სახურავით გადახურეს, არის X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის ტაძარი ზედა ვარძიაში [53]. იგი წარმოადგენს არა სამნავიან, არამედ ორნავიან ბაზილიკას სამხრეთის მინაშენ-კარიბჭით, რომლის თავზე სამალავია მოწყობილი. ნახაზების გარეშე სამალავის ამოცნობა ძნელია. ამ ძეგლის მშიმე, თითქოსდა გართხმული სილუეტი მოულოდნელია ძველი ქართული ბაზილიკებისათვის.

მას შემდეგ, რაც ნათელი მოეფინა ძველი ბაზილიკების შიდა სივრცის აგებულების ზოგად საკითხებს, სურათის სისრულისათვის აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ ამ ძეგლის დანარჩენი არქიტექტურული ფორმები იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რომელი მათგანია ჭეშმარიტად დამახასიათებელი ქართული არქიტექტურის უძველესი პერიოდის ძეგლებისათვის.

სარგმლები



ყველა ტიპის უძველესი ნაგებობის ერთ-ერთ ძალზე დაშახასიათებელ ელემენტს სარკმელი წარმოადგენს. მისი ზომა, ფორმა და დეკორი, შენობის სხვა ნაწილებთან ერთად, ღროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა.

V საუკუნისა და VI საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლების სარკმლების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს, დიდი ზომების გარდა, პარალელური ანკოლები წარმოადგენს.

აფსიდების სარკმლები, ჩვეულებრივ, ყველაზე დიდი ზომისაა, მაგრამ მათ ბევრად არც დანარჩენები ჩამოუვარდება.

ჩვენ ღრომდე პირვანდელი სახით სარკმლების არც ისე დიდი რაოდენობაა შემორჩენილი. მათი უმეტესობა გადააკეთება ახალი ღრომის გემოგნებით და ზოგჯერ ისე ოსტატურადაც, რომ ღლებისათვის ყოველთვის ვერ ვახერხებთ მათი პირვანდელი ფორმისა და ზომების დადგენას.

ამჟამად ძველებური დიდი სარკმლები პარალელური ანკოლებით გადაუკეთებლად, ან თუნდაც ამოსაცნობი სახით, შემდეგ ძეგლებზეა შერჩენილი:

I. ანჩისხატის ბაზილიკა, VI ს. დასაწყისი. სულ 5 სარკმელია შემორჩენილი - 3 ალმოსავლეთისა და 2 სამხრეთის ფასაზე. ამათგან, აფსიდის სარკმლის სიგანე 103 სმ-ია, სიმაღლე კი 285 სმ. (ნახ. 45. ფოტო 52, 53). აფსიდის სარკმლის თავი ნალისებრია, პასტოფორიუმების სარკმლებისა - ნახევარწრიული, ხოლო სამხრეთის ფასადების სარკმლებისა - ბრტყელი [54].

2. “ორმოც წამებულთა” ბაზილიკა ნოქალაჭევში, V ს. აფსიდის ცენტრალური სარკმელი (გახსნის შემდეგ) სიგანეში 143 სმ-ია, სიმაღლეში 255 სმ. გარდა ამისა, აფსიდში 2, ხოლო ტაძრის დანარჩენ ნაწილებში - კიდევ 4 პარალელური ანკოლების მქონე სარკმელია [41].

3. უჩარმის ციხე, V ს. მეორე ნახევარი. კოშკებისა და სასახლის

სარკმლები სიგანით დაახლოებით 100-125 სმ-ია, სიმაღლეით 230 სმ. სარკმლის თავები ნალისებრია [4. 515 55; 11. 56].


4. ბაზილიკა სოფ. აკაურთაში, V ს. მეორე ნახევარი. თითქმის მთლიანად შემონახულია 3 სარკმელი. აფსიდის სარკმელს ნალისებრი თავი აქვს. მისი სიგანე 92 სმ-ს უტოლდება, ხოლო სიმაღლე - 205 სმ-ს [57. 27-34; 58] (ფოტო 55).

5. კაწარეთის „სამების“ ბაზილიკა, V ს. მეორე ნახევარი. შემონახა 15 ძველი სარკმელი. აქედან მთავარი ნავის 10 სარკმელი შემონახულია ყოველგვარი გადაკეთების გარეშე: XVI საუკუნეში 3 აღმოსავლეთისა და 2 სამხრეთის სარკმელი ფასადის მხრიდან დაავიწროება ახალი მოპირკეთების მეშვეობით, მაგრამ ამ სარკმლების პარალელური ანყოლები გარკვევით ჩანს ინტერიერში. აფსიდის სარკმელი სიგანით 112, სიმაღლით კი - 260 სმ-ია. მთავარი ნავის დასავლეთი სარკმელი გვიანდელია, იგი ძალზე ვიწროა ფასადის მხრიდან, მაგრამ მისი ანყოლები ძლიერ ფართოვდება ინტერიერისაკენ [4. 56,65; 59].

6. სოფ. ხირსას ბაზილიკა, V ს. ბოლო - VI ს. დასაწყისი. აფსიდის გვიანდელი სარკმელი, როგორც ნიშაში, ისე ზის ძველი სარკმლის ჭრილში [4. 327]. მისი მიახლოებითი ზომებია 115 X 300 სმ-ზე.


7. ზღუდერის ბაზილიკა. უძველესი ფენის სარკმელი დღეს დანგრულია, მაგრამ გვაქვს 1941 წლის ანზომი და ფოტოსურათები [57. 38-46], სარკმლის ზომები დაახლოებით 100 სმ X 290 სმ.

8. „ბოლნისის სიონის“ ბაზილიკა, V ს. ბოლო. ძლიერ გადაკეთებულია. ძველი სარკმლებიდან მხოლოდ ბაპტისტერიუმის სარკმლები შემორჩა, ისიც ფასადის მხრიდან აღდგენილი ზედა ნაწილებით. შემონახულია აგრეთვე სამხრეთი ნავის აღმოსავლეთი სარკმლის ჩრდილოეთი მხარე. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთი სარკმელი წყობითაა ამოქოლილი. აფსიდის სარკმელი, როგორც ფასადის (ქვა დავით ეპისკოპოსის წარწერით მისი ღიობის ზედა ნაწილს ფარავს), ასევე



ინტერიერის მხრიდან, (საღაც იგი მობათქმებულია და მოხატული), იმდენად გადაკეთებულია, რომ მის პირვანდელ ზომებსა და ფორმაზე რაიმეს თქმა ძნელია.

9. ზემო ნიჭოზის ბაზილიკა, V ს. დასასრული. ამჟამად დიდი გუმბათოვანი ტაძარი. შემორჩენილია V ს. ბაზილიკის ნაწილები და აფსიდის სარკმელი, რომელიც მოგვიანებით დაავიწროეს, მაგრამ განს-



ნახ. 43. V ს.- VI ს. პირველი ნახევრის ეკლესიების სარკმლები.



ხვავებული ფორმა მისცეს. ამ სარკმლის მიახლოებითი ზომებია 134 სმ. სიგანეში და 255 სმ - სიმაღლეში [60.12] (ფოტო 56).

10. ურბნისის ბაზილიკა, V ს. ამჟამად უკვე ძნელი დასაღენია ბაზილიკის აღმოსავლეთი ფასადის აფსიდის სარკმლის პირვანდელი გაბარიტები, იმდენად დიდი ოსტატობითაა შესრულებული მისი დავიწროება. მაგრამ, საკმარისად დიდი ზომის ღრიჭო ნახევარწრიული თავით, წარმოქმნილი ძველი ღიობის მომრგვალებულ თავსა და ამ ძველ ღიობში ჩაღმულ, გაცილებით უფრო ვიწრო, სარკმლის თავს შორის, ნათლად მეტყველებს მომხდარ ცვლილებებზე. აფსიდის სარკმლის გარდა, ამ ძეგლის გვერდით ნავებში პარალელური ანყოლების მქონე კიდევ 7 სარკმელია [61.1; 62].

11. თელავის ღვთაების ბაზილიკა, VI ს. დასაწყისი. ამ ძეგლის ფასადიდან ბათქაშის ჩამოხსნის შემდეგ გამოირკვა, რომ აფსიდის ძველი სარკმელი მოგვიანებით წყობით დაავიწროეს [63].


12. სამეკლესიიანი ბაზილიკა “შამა-დავითი” ჭერემის მახლობლად, V-VI სს. (სავარაუდოა, არა უგვიანეს VI ს. პირველი ნახევრისა). აფსიდის სარკმლის ზომებია 451 სმ X 155 სმ(ფოტო 57).

13. ვანათის სამეკლესიიანი ბაზილიკა ბოლნისის მახლობლად VI ს. აფსიდის სარკმელს პორჩონტალური თავი აქვს, სიგანით იგი 73, ხოლო სიმაღლით - 170 სმ [49. 2-12].

14. “თეთრი გიორგის” სამეკლესიიანი ბაზილიკა, ე.წ. “დეკანოზური” ვარდისუბნის მახლობლად. აფსიდის სარკმელი სიგანით 50 სმ-ია, სიმაღლით - 215 სმ. მთავარი ეკლესიის 6 სარკმელს პარალელური ანყოლები აქვს [4. 327; 64].

15. “წვეროდაბალის” დარბაზული ეკლესია გარშემოსავლელით ჭერემში, V ს. მეორე ნახევარი. შემორჩენილია აფსიდის სარკმელი 60 სმ X 172 სმ და სამხრეთით ორი სარკმლის ქვედა ნაწილები, აგრეთვე პარალელური ანყოლებით [65] (ფოტო 58).

16. დარბაზული ეკლესია “ღუბე” ყვარლის მიდამოებში, V-VI სს.



ამჟამად აფსიდის სარკმელი შევიწროებულია ფასადის მხრიდან ახა-
ლი წყობის გარშემო მკაფიოდ იკითხება პირვანდელი ღიობი 100 სმ
X 300 სმ ზომისა. სამხრეთის კედელშიც ასეთივე დავიწროებული სა-
რკმელია [60. 12].

17. დვანის გუმბათოვანი ეკლესია VI ს. მესამე მეოთხედი. აფსი-
დის სარკმელს პარალელური ანყოლები და ნალისებრი თავი აქვს.

18. წმ. სტეფანეს სამეკლესიიანი ბაზილიკა იყალთოში. აფსიდის
სარკმელს აქვს პარალელური ანყოლები და ფასადის მხრიდან მოკლე
თარაზული გადანაკეცების მქონე თავსართი, შემქული ჩალიჩით.

19. დაბოლოს, პარალელური ანყოლების მქონე უძველესი სარკმ-
ლის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დაგასახელოთ სარკმელი, უფ-
ლისციხის გამოქვაბულთა კომპლექსის ე.წ. “თამარის დარბაზში” (1
ათასწლეული), რომლის გრაფიკული აღდგენა ემყარება სამხრეთი
კედლის ფრაგმენტებსა და გარე კედლებზე სარკმელის არშიის ნარჩე-
ნებს, რომლებიც თავის პირვანდელ აღგილზე მდებარეობენ [66].

ამ სარკმლების თავები ჩვეულებრივ ნალისებრი, იშვიათად, ნახე-
ვარწრიულია. იმ შემთხვევაში კი, როცა ძეგლს გვერდითი ნავების
გრძივი კედლების გაყოლებით დამატებითი სათავსები აქვს, ან იგი
სამეკლესიიანია, გვერდითი სათავსების გადაზურვასა და კამარების
ძირებს შორის არასაკმარისი აღგილი რჩება ნალისებრი თავის მქონე
სარკმლისათვის, რომელიც უფრო მაღალ პროპორციებს მოითხოვს,
სწორკუთხა სარკმლებს აკეთებდნენ (ანჩისხატი, ურბნისი და რუსპი-
რის ღვთისმშობლის მთავარი ეკლესია) [67. 130-144].

მაგრამ, გარკვეული მომენტიდან სარკმლების გეგმა იცვლება, თა-
ვიდან ფასადის მხრიდან ძალზე უმნიშვნელო დავიწროების გზით, რაც
ანყოლების შვეული მდგომარეობიდან სულ რამდენიმე გრადუსით გა-
დახრას იწვევს.

სარკმლის ღიობის შევიწროებას, თუმცა იგი ძალზე მცირე იყო,
უცილობლად გავლენა უნდა მოეხდინა ტაძრის განათებაზე.



საკითხავია, როდის დადგებოდა გარდატეხის მომენტი, რომელიც სარკმლის ფორმის პრინციპულ შეცვლას გამოიწვევდა? ზუსტად და-თარიღებულ ძეგლებს შორის, რომელთაც პარალელური ანყოლების მქონე სარკმლები გააჩნია, ყველაზე უფრო გვიანდელი არის ანჩისხა-ტის ბაზილიკა - “წმ. მარიამის” ძველი ეკლესია, აგებული VI საუკუ-ნის დასაწყისში, ხოლო ყველაზე უფრო ადრინდელი, რომლის სარკმ-ლის ანყოლები უკვე ოდნავ დახრილია, არის მცხეთის ჭვარი, აგებუ-ლი VI ს. დასასრულს.

ვაზისუბნის ბაზილიკაში ანყოლები დახრილია 5° , VI ს. მცხეთის ჭვარში - 6° ნინოწმინდის გუმბათოვან ეკლესიაში (VI ს.) - 7° ; ქვემო ბოლნისის სამეკლესიიან ბაზილიკაში (VI ს.) - 8° ; სამწევრისის გუმ-ბათოვან ტაძარში (VII ს.) - 6° ; წრომის გუმბათოვან ტაძარში (VIII ს.) - 8° ; ჭერების წმინდა ბარბალეს დარბაზულ ეკლესიაში (VI ს.) - $6\text{--}9^{\circ}$; აკვანების დარბაზულ ეკლესიაში (VI ს.) - 12° , ვაჩნაძიანის სამეკლე-სიიან ბაზილიკაში (VIII ს.) - 8° ; რკონის ბაზილიკაში (VII ს.) - 12° , ხოლო რაც შეეხება ისეთი მცირერიცხოვანი ტიპის ნაგებობებს, რო-გორიცაა ვანათისა და დეკანოზურის სამეკლესიიანი ბაზილიკები, აგ-რეთვე აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია [68. 17], რომლებში-აც ერთდროულად გამოყენებულია როგორც პარალელური, ისე და-ხრილი ანყოლების მქონე სარკმლები, სავარაუდოა, რომ გარდატეხ-ის ეპოქაში არის აგებული, როცა ახალი ფორმები ის იყო შემოდიო-და ხმარებაში, ხოლო ძველ ფორმებზე ყველამ ერთბაშად ვერ თქვა უარი; უკანასკნელი ძეგლის შემთხვევაში კი, ყველაზე სავარაუდოა, საქმე გვქონდეს სამცხე-ჭავახეთის ძეგლებისათვის დამახასიათებელ არქაიზაციისთან.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სარკმლების ფორმის შეცვლა ტაძრის გათბობის სურვილთან იყოს დაკავშირებული. ფანჯრის ღიო-ბი ხომ კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებდა დიდ ზომებს. უფრო საფიქრე-ბელია, რომ ხუროთმოძღვართა წინაშე ტაძრის ინტერიერის განათე-

ბის წმინდა მხატვრული ამოცანა იღგა. ტექნიკური თვალსაზრისით დახრილი ანყოლებისა და კონსური თავის მქონე სარკმლის აფება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე პარალელურანყოლებიანი სარკმლისა. ხოლო მარტივი ფორმებიდან უფრო რთულ ფორმებზე გადასასვლელად ძალზე სერიოზული მიზეზი იყო საჭირო.


სარკმლის ღიობის გარეთა პირის დავიწროების პროცესი, როგორც ჩანს, დაწყებული, აღბათ, VI საუკუნის შუა წლებიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, ქართული არქიტექტურის განვითარების მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა, სანამ სარკმელი არ გადაიქცა ვიწრო და მაღალ ღიობად.

ეს პროცესი, აღრინდელი ძეგლიდან დაწყებული უფრო გვიანდლამდე ცხადია, ვერ განვითარდებოდა და არც ვითარდებოდა სწორხაზოვნად და თანაბრად, მაგრამ სარკმლის დავიწროების საერთო ტენდენცია უწყვეტი იყო და პარალელური ანყოლების მქონე სარკმლები VI საუკუნეზე გვიან ქართულ ძეგლებში აღარ გვხვდება.

დროთა განმავლობაში თითქმის ყველა დიღმა სარკმელმა მოდერნიზაცია განიცადა ან ღიობის უბრალო წყობით დავიწროებით, ან დიღი ღიობის ორნამენტირებული ჩარჩოთი ამოქოლვით, რომელსაც შუში ვიწრო ღიობს უტოვებდნენ.

მერე და მერე ახალი წყობა ზოგიერთ ძეგლში მოძველდა, ჩამოიშალა და ძველი სარკმლების ნაწილმა პირვანდელი სახე მიიღო. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია იმგვარად გადაკეთებული ძველი სარკმელი, რომ მათი პირვანდელი ფორმის გაშიფრა უკვე შეუძლებელია. გადაკეთებებით შენიდბულნი და დროის მიერ წამლილნი, ისინი ამახინჯებენ ძველი არქიტექტურის განვითარების სურათს.

ამგვარად ემსახურებოდა ყოველი ეპოქა თავის ესთეტიკურ იდეალებს, და ცვლიდა ტაძრის ინტერიერის განათებას, ხოლო უძველესი ეპოქა, რომელიც უპირატესობას აძლევდა დიდ სარკმლებს პარალელური ანყოლებით და იყენებდა მათ როგორც საკულტო, ისე ციხე-



სიმაგრეებისა და სასახლეების ყველა ტიპის ნაგებობებში, აღმარ, სა-
ერთოდ არ სცნობდა დახრილი ანყოლების მქონე სარკმლებს, ისევე
როგორც ისტორიის მოგვიანო პერიოდებში აღარავინ დაბრუნებია
პარალელური ანყოლების მქონე სარკმლებს, ყოველ შემთხვევაში -
საკულტო არქიტექტურაში.

შესასვლელები ღია ნაღისებრი ფორმის მეორე დანართი

ანჩისხატის ბაზილიკის სამი ძველი შესასვლელიდან ორს ღია ნა-
ლისებრი მოყვანილობის მქონე ლუნეტი აქვს. ორი ამგვარი შესასვ-
ლელი მოეპოვება VI. ბოლნისის სიონს [48. 21,22. სურ.13,23,25].
VI ს.-ის ურბნისის ბაზილიკის სამხრეთი კარის ლუნეტის ღიობი დღეს
მოგვიანო წარწერიანი ქვების წყობითა ამოვსებული [61-]. ვანათის
(VI ს.) [44] და რუისპირის “ყველაწმინდის” (ლვთისმშობლის) [67]
ბაზილიკას (VI ს. მეორე ნახევარი) და ჭერემის “წვეროდაბალის” და-
რბაზულ ეკლესიას (VI ს.) [4. 188-190], აგრეთვე აქვს ფართო შე-
სასვლელები ნალისებრი მოყვანილობის მქონე ღია ლუნეტით, (უკა-
ნასკნელში ლუნეტი ამოვსებულია თლილი ქვის წყობით უკვე მას შე-
მდეგ, რაც თაღის წყობამ დეფორმაცია განიცადა).

უფრო გვიანდელ ნაგებობებში ლუნეტი კარგავს კონსტრუქციულ
მნიშვნელობას და შესასვლელის თავზე მოთავსებულ დეკორაციულ
ნიშად იქცევა, როგორც ამას ვხედავთ ალანძას დარბაზული ტიპის
VIII საუკუნის ეკლესიაში [69], ზღუდერის მცირე ეკლესიაში (ქარე-
ლის რაიონი) [70], ზედა თმოვგვში (შემორჩენილია მხოლოდ სამხრე-
თის კედელი, ჩართული XI ს. სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილოეთ კე-
დელში) და სირგოს ეკლესიაში [71].

როგორც ძეგლების მოყვანილი თარიღებიდან ჩანს, ისეთი არქი-
ტექტურული ფორმის გამოყენების პერიოდი, როგორიცაა შესასვ-

ლელი ნალისებრი ღია ლუნეტით, V-VI საუკუნეებით არის შემოფარგლული.

მართალია, ღია ლუნეტიანი შესასვლელის გამოყენების კიდევ ერთი მაგალითი გვაქვს ყიზილ დერესის ეკლესიაში (აგარა, ასპინძის რაიონი, VIII ს.), მაგრამ ამ ლუნეტს ნალისებრი კი არა, კვერცხისებრი მოყვანილობა აქვს და, საფიქრებელია, რომ მისი გამოყენება ამ მოგვიანო ძეგლში სამცხე-ჭავახეთის ძეგლებისათვის დამახასიათებელი არქაიზაციის კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ვეაზე პვეთილობა

ანჩისხატის ბაზილიკის კვეთილი დეკორი ძალზე მწირია. ტაძრის ინტერიერი მას საერთოდ მოკლებულია, თუ არ ჩავთვლით იმპოსტების სადა პროფილს (პატარა თარო და სუსტი ბატიყელა).

რაც შეეხება ქვაზე კვეთილ დეკორს, რომელიც ოდესლაც ამკობდა ტაძრის ფასალს, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა ცალკეულმა ფრაგმენტებმა და ქვების ზედაპირზე შერჩენილმა კვალმა.

ამის მიუხედავად, ძეგლის გახსნისა და შესწავლის შედეგად მიღებულმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა ზოგად ხაზებში აღგვედგინა თითქმის მთელი მისი პირვანდელი დეკორი და ძეგლის გახსნილი წყობის ანალიზზე დაყრდნობით გაგვესაზღვრა განცალკევებული ფრაგმენტების პირველადი განლაგება.

ამგვარად, ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა: დამაგვირგვინებელი ლავგარდნის ნამსხვრევი, “ჯვრის ამაღლების” კომპოზიციის ორი ფრაგმენტი, აფსიდის სარკმლის თავსართის კვალი და მცირე ზომის “ბოლნური” ჯვარი დასავლეთი შესასვლელის არქიტრავზე (ამ უკანასკნელის თავსართის დეკორი კი მთლიანად დაკარგულია).

დამაგვირგვინებელი ლავგარდნის, აფსიდის თავსართისა და “ჯვრის ამაღლების” კომპოზიციის გრაფიკული აღდგენისა და მისი

პირვანდელი მდებარეობის დადგენის შემდეგ, ჩვენი წარმოდგენული წმ.მარიამის ეკლესიის ჭეშმარიტი იერსახის შესახებ, აღმერაც ოდის ესლაც დაამშვენა იბერიის ახალი დედაქალაქი, მნიშვნელოვნად გამდიდრდა და ინტერიერის მონაცემებთან ერთად თავისი აღგილი დაიკავა ამ ნაგებობის ჩეკვების გრაფიკულ პროექტში.

ლავგარდანი

დამაგვირგვინებელი ლავგარდნის, ამ უმნიშვნელოვანესი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტის ფორმამ და დეკორმა ევოლუციის საკმაოდ რთული გზა განვლო.

ანჩისხატის ტაძარს აღრეული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის დამახასიათებელი ე.წ. “თაროს” ტიპის ლავგარდანი ჰქონდა. თავის-თავად, ამგვარი ფორმა საკმაოდ კონსერვატიულია და მან V-დან X საუკუნემდე იარსება. ოლონდ დეკორი და ფრონტონზე მისი თარაზული გადანაკეცების ხასიათი თანდათან იცვლებოდა, რადგან მყისვე ეხმიანებოდა ყველა ცვლილებას, რომელსაც არქიტექტურის განვითარების საერთო რიგში ჰქონდა აღვილი.

გ.მარსაგიშვილის [68.17] მიერ შედგენილი ცხრილი შენობის ამ ნაწილის ევოლუციის საკმაოდ რთულ სურათს იძლევა. გვიანი შუა საუკუნეების ძეგლების ლავგარდანთან შედარებით, ე.წ. “თაროს” ტიპის ლავგარდანი ტაძრის ამ ნაწილის ყველაზე სადა და ლოგიკური კონსტრუქციისაა და იგი 20-25 სმ-ის სისქის მქონე ღიღი ბრტყელი ფილებისაგან შედგება (მათი ზომები შენობის სიღიღეზე დამოკიდებული). ფილებს აწყობდნენ თარაზულად გრძივ ფასადებზე, დაახლოებით 20 სმ-იანი ნაშვერით. ლავგარდნის თარაზული ნაწილის ორივე განაპირო ფილას ისე აწყობდნენ, რომ კუთხის ორივე მხარეს თანაბარი ნაშვერი წარმოქმნილიყო; გრძივ ფასადებზე გადასული ლავგარდნის მხარეები, ხაზს უსვამს ფრონტონის ფუძეს. მათ თავზე, მაგრამ უკ-



ვე დახრილად, ისეთივე ნაშვერით ეწყობოდა ფრონტონის ლავგარდზე ნის ფილები.


ლავგარდნის ფილები ძველ ძეგლებში მეტისმეტად ფართოა. წყობის წონასწორობისა და სიმტკიცისათვის ფილის კედელზე დადებული ნაწილი, სულ ცოტა, ორჯერ უფრო განიერია მის შვერილ ნაწილთან შედარებით.

დაზიანებულ ძეგლებში, რომლებსაც ლავგარდანი არ შერჩენია, კედლის პირვანდელი სიმაღლის უშეცდომო, ზუსტი აღდგენა შესაძლებელია დამახასიათებელი ფორმის ბუდის მიხედვით, რომელსაც თაროს ტიპის ლავგარდანი ტოვებს.

განივ ფასაღზე გადასული ლავგარდნის თარაზული ნაწილის სიგრძე, ჩვეულებრივ, ლავგარდნის კუთხის ფილის სიგანის ტოლია. მაგრამ უფრო გვიანდელ ძეგლებში, იმ შემთხვევაში, როცა ფასაღის კომპოზიციური გაღაწყვეტა მოითხოვდა ფილის ამ თარაზული მონაკვეთის ნაკლებ სიგრძეს, ზედმეტ ნაწილს უბრალოდ ჩამოთლილნენ გარკვეულ სიღრმემდე და ამ ადგილს ფასაღური წყობით ამოავსებდნენ.

ერთ-ერთ შურთში ნაპოვნი ანჩისხატის ტაძრის კარნიზის ნატეხი წარმოადგენს ორი მომიჯნავე ნაღისებრი თაღის შემაერთოებელ “კბილს” (ნახ.44). თუმცა მისი ზომები სულ 9 X 11 სმ. იგი გვაძლევს მონაცემებს, რომელთა მიხედვით ძალზე ზუსტად შეგვიძლია აღვადგინოთ მისი თავდაპირველი ფორმა. არ დგინდება მხოლოდ ზედა თაროს სიმაღლე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ანალოგიების მოშველიებით უნდა ვაჩვენოთ.

ამგვარად, ლავგარდნის ნატეხის მონაცემებზე დაყრდნობით, იგი აღდგენილია ნაღისებრი მცირე თაღების რიგის სახით, რომელთა დიამეტრი 13,5 სმ. ცენტრებს შორის მანძილი 18,5 სმ, ხოლო კბილანის სიგანე 8,5 სმ. ორი ერთმანეთისაკენ დახრილი ვიწრო სიბრტყე ყოველ თაღს გარს უვლის და პლასტიკურად ხაზს უსვამს მის ფორმას. თაღებსა და ზედა თაროს შორის შექმნილი სამკუთხედები შე-



ნახ. 44. ანჩისხატი.

დამაგვირგვინებელი ღავვარდნის აღდგენა.

ღრმავებულია სა-
მი ერთმანეთისაკეთი
ენ მიმართული სი-
ბრტყით. თაღების
შიდა ზედაპირი
ოდნავ კონუსუ-
რია (ნახ. 44).

ურბნისის ბა-

ზილიკაში ნაპოვნი კარნიზის ქვის ნატეხი, [61. 124] თითქოს ავსებს ანჩისხატის ფრაგმენტს. იგი ორი მეზობელი თაღის ზედა ნახევარს წარმოადგენს და ზომებითა და თაღების დამუშავების ხასიათით, თი-
თქმის მთლიანად თანხვედრილია ანჩისხატის ფრაგმენტთან.

ვ.დოლიძე [72. 42], იხილავს რა კარნიზების დეკორის განვითარე-
ბის ხაზს, მისი გამოყენების პერიოდს სამ ძირითად ეტაპად ჰყოფს: VI-
VII, VIII-IX-X და XI სს. ამ სქემის თანახმად საღა თაღების მოტივი
საუკუნეების მანძილზე განიცდის საკმარისად რთულ ევოლუციას, მკა-
ფიოდ მოხსიული და ღრმა თაღების რიგიდან რთული კომპოზიციები-
საკენ, რომლებიც უკვე საკმაოდ განსხვავდებიან აღრეული ნიმუშები-
საგან.

ანჩისხატის ბაზილიკის კარნიზი ყველაზე უფრო ახლოსაა გ.დოლი-
ძის ტაბულის პირველი სვეტის პირველ ორ ძეგლთან - მცხეთის ჯვა-
რსა (VI ს.) და თეთრი წყაროს ეკლესიასთან (VI და VII სს. მიჯნა).
პირველთან მას აახლოვებს ისეთი იშვიათი დეტალი, როგორიცაა
თაღების შიდა ზედაპირის კონუსური მოყვანილობა, ხოლო მეორეს-
თან - თაღებსა და ზედა თაროს შორის წარმომობილი სამკუთხა მო-
ნაკვეთების დაყოფა სამი ერთმანეთისაკენ დახრილი სიბრტყით.

მაგრამ ამ ორ ნიმუშში, ანჩისხატისა და, ალბათ, ურბნისისაგანაც
განსხვავებით, კბილანების ძირი უკვე ხაზგასმულია დამატებითი ჰო-
რიზონტალური ღარით. ეს დეტალი ღროთა განმავლობაში კიდევ



უფრო გართულდება და დაგრძელდება.

საფიქრებელია, რომ ანჩისხატის ლავგარდანი ღროით წინ უნდა უსწრებდეს ტაბულაში მოტანილ ნიმუშებს, რაც დასტურდება კიდევ-აც ამ ლავგარდნის დათარიღებით (VI საუკუნის დასაწყისი).

ლავგარდანი ზემო ნიქოზის დიდი გუმბათოვანი ტაძრისა (V ს. მეორე ნახევარი), რომელიც გადაკეთებულ ბაზილიკას წარმოადგენს, ისევე როგორც აფსიდის სარკმელი თავსართითურთ უდავოდ უძველეს სააშშენებლო ფენას განეკუთვნება. მას ისევე, როგორც ყველა ზემოჩამოთვლილ ლავგარდანს, აქვს ნალისებრი პატარა თაღების რიგი, მაგრამ ანჩისხატისა და ურბნისის ლავგარდნებისაგან განსხვავებით, მისი საფასადო სიბრტყე თითქმის საღაა, მხოლოდ თაღების მოხაზულობას იმეორებს არც თუ ღრმა, ვიწრო ღარი.


ამგვარად, ზემო ნიქოზის, ურბნისის და ანჩისხატის თაღოვანი კარნიზები, თანმიმდევრობით, ქმნიან კარნიზების ჯგუფს, რომლებიც ვ.დოლიძის ტაბულაში მოტანილი კარნიზების წინამორბედია.

აფსიდის სარკმლის თავსართი

აფსიდის სარკმლის თავსართის დეკორი დიდი ხნის განმავლობაში სრულიად განადგურებულად ითვლებოდა.

1981 წ. ძველი ქალაქის ამ ნაწილის კეთილმოწყობის სამუშაოების დროს, ანჩისხატის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წინ აღმართეს ხარახი და ის, რაც სულ არ ჩანდა ქვემოდან, ახლო მანძილიდან და ხელსაყრელი განათების წყალობით შესამჩნევი გახდა და მოგვცა ძალზე საინტერესო მასალა აფსიდის სარკმლის თავსართის დეკორის აღსადგენად.

ძალიან განიერი და მაღალი, პარალელური ანყოლების მქონე აფსიდის სარკმლის ნალისებრი ზედა ნაწილი 6 ქვისაგან შედგება. კლიტის ვიწრო ქვა დევს არა ცენტრში, არამედ ოდნავ მარჯვნივ (ნახ. 45).



ნაზ. 45. ანჩისხატი. აფსიდის სარკმლის თავსართი. სქემატური აღდგენა.

თავსართი, რომელიც ოდესუბლივი აც გამოშვერილი იყო კედლის სიბრტყიდან და რომლის სიგანე სულ 21 სმ. იყო, სარკმლის თავს 38 სმ-ის დაშორებით უკლის. მას მოკლე, თარაზული გადანაკეცები აქვს ნალის ცენტრის და არა მისი ჭუსლების ღონებზე. ოდესლაც კედლის სიბრტყიდან გამოწული თავსართი დღეს მთლიანად ჩამოტეხილია, აღგიღ-აღგიღ კედლის სიბრტყებზე უფრო ღრმადაც.

მაგრამ თავსართის ნარჩენების დეტალური დათვალიერების შედეგად გამოირკვა, რომ მისი ძირის გასწვრივ როგორც მრუდზე, ისე ჰორიზონტალურ გადანაკეცებზე შეიძლება გავარჩიოთ ნალისებრი მოყვანილობის გლუვი ლაქები, რომლებიც გვაგონებს ნალისებრი ღრმა თაღების უკანა კედლებს; ასეთი თაღები ქართული ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების აღრეული პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მოტივს წარმოადგენდა, რომელსაც ლავგარდნების და თავსართების შესამკობად იყენებდნენ (ფოტო 54).

თარაზულ გადანაკეცებზე ორ-ორი ასეთი ლაქაა, ხოლო თავსართის მრუდხაზოვან ნაწილს ჩაც შეეხება, იმის გამო, რომ მასზე მეზობელი თაღების რამდენიმე მოკლე მწკრივი, შემორჩა მათ შორის მანძილის გაზომვით დადგინდა მრუდის გასწვრივ მათი განაწილების საერთო რიტმი და, ამდენად, საერთო რაოდენობაც, რომელიც 15-ის ტოლია.

ამგვარად, თუ თავსართის გადანაკეცებზე ორ-ორი თაღია, ხოლო

მის ნახევარწრიულ ნაწილზე 15, სულ მათი რაოდენობა 19 ყოფილა. პირველი, მეორე (მარცხენა გადანაკეცხე) მეოთხე, მეხუთე, მეექვე, მეცხრე, მეათე, მეჩვიდმეტე (მრულზე), მეთვრამეტე და მეცხრამეტე (მარჯვენა გადანაკეცხე); თაღების შემორჩენილი უკანა კედლები ზუსტად ჯდება თავის აღგილზე აღდგენილი სქემის გამოხაზვის შედეგად, რაც ნათელყოფს ამ სქემის მართებულობას.

ამგვარად ის, რაც დაკარგულად ითვლებოდა, ნაწილობრივ გადარჩა და ზედმიწვევნითი შესწავლისას მოგვცა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა სარკმლის თავსართის დეკორის პირველადი სქემის გრაფიკული აღდგენისათვის.

რამდენადაც უძველესი სარკმლების დიდ ნაწილს თავსართები ან არ ჰქონდა, ან არ შემორჩა, ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია.

წმ. მარიამის (ანჩისხატის) ეკლესიის სარკმლის თავსართის უახლოესი პარალელია ზემო ნიქოზში V ს. მეორე ნახევრის ბაზილიკის აფსიდის სარკმლის თავსართი. მოგვიანებით, ბაზილიკა გუმბათოვან ტაძრადაა გადაკეთებული. ეს თავსართი, ანჩისხატის თავსართის მსგავსად, მნიშვნელოვნად არის დაშორებული სარკმლის ღიობის კიდეს და ასევე მოკლე თარაზული გადანაკეცხებით ხასიათდება. ანჩისხატის გადანაკეცხებზე აქვს ორ-ორი, ხოლო მრულზე 15 თაღი. ნიქოზს, შესაბამისად, 3-3 და 17. ჩვენ არ ვიცით, როგორ იყო დამუშავებული თავსართის ზედაპირი ანჩისხატში, ხოლო ნიქოზში ყოველ თაღს დამატებით შემოვლებული აქვს წვრილი, ღრმად ჩაჭრილი ღარი.

“ჯვრის ამაღლების” პომარზიცია


ანჩისხატში “ჯვრის ამაღლების” რელიეფური კომპოზიციის მხოლოდ ორი ფრაგმენტია შემორჩენილი. ერთი - მედალიონში ჩაწერილი ტოლ-მკლავებიანი ჯვრის გამოსახულება; მეორე - მარჯვენა ანგელო-

ზის გამოსახულება. ფრაგმენტი მარცხენა ანგელოზის გამოსახულებით დაკარგულია, მაგრამ პირველ ფრაგმენტზე ნათლად ჩანს ორივე ანგელოზის ხელები, რომელსაც ჯვრიანი მედალიონია შემოჭობილი (ნახ. 25). ორივე ფრაგმენტი დღეს XVII ს. წყობაშია ჩაყოლებული, ტაძრის დასავლეთის ფასაღზე.

“ჯვრის ამაღლების”, “ქრისტეს ამაღლების”, “ღვთისმშობლის განდიდების” სიუჟეტები საკმაოდ ხშირად გვხვდება VI-VII სს.

ეკლესიებსა და სტელებში, რომლებსაც ბევრი საერთო ნიშანიც აქვთ.

ეკლესიებში ისინი სამნაწევრიანია, მთავარი ღერძის მიმართ სიმეტრიული და აქვთ რელიგიური მნიშვნელობა [73. 149-153; ტაბ. 24, 25]. ჩვეულებრივ ისინი განლაგებულია როგორც გარე, დამოუკიდებელი, ისე განათებული სათავსებიდან (კარიბჭებიდან, ეკვდერებიდან და სხვა გვერდითი სათავსებიდან) ტაძრის მთავარ სივრცეში შესასვლელების თავზე. მაგალითად, მცხეთის ჯვარში (VII ს. ბოლო) მთავარი შესასვლელის თავზე ამოკვეთილი რელიეფი დაცული იყო ლია კარიბჭით, ხოლო მეორე მცირე ზომის შესასვლელს კარიბჭე არ გააჩნდა. ქვემო ბოლნისის სამეკლესიიან ბაზილიკაში (VII ს. შუა წლები) ორივე რელიეფი განთავსებულია გვერდითი ეკლესიდან მთავარში შესასვლელების თავზე. ოეთრი წყაროს დარბაზულ ეკლე-



ნახ. 46. ანჩისხატი.
სამხრეთი შესასვლელის აღდგენა.

სიაში (VI ს.) რელიეფი მოთავსებულია შესასვლელის თავზე, რომელიც ეკვდერს ტაძართან აერთებს. ეძანის დარბაზულ ეგლეზიში (VI ს. შუა წლები) - გარედან შესასვლელის თავზე.

ჩაც შეეხება ანჩისხატის ბაზილიკის რელიეფს, ამჟამად მისი ფრაგმენტები მათთვის სრულიად შეუფერებელ აღგილას იმყოფება, თუნდაც იმიტომ, რომ არც წარწერა, არც ჯვრის მქლავების დამაბოლოვებელი ვარდულების დამუშავება ასეთ სიმაღლეზე (11 მ) სულ არ ჩანს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა ამ რელიეფის თავდაპირველი აღილის შესახებ. ანჩისხატში სამი ძევლი შესასვლელია - სამხრეთისა (კარიბჭიდან ბაზილიკაში გამავალი), დასავლეთის და ჩრდილოეთისა, რომლებიც პირდაპირ გარეთ გადის. ორ უკანასკნელს აქვს ნალისებრი მოყვანილობის ღია ლუნეტები, აქედან გამომდინარე, რელიეფი მხოლოდ სამხრეთის შესასვლელის თავზე შეიძლებოდა ყოფილიყო განლაგებული (ნახ. 46).

ამ ძლიერ დაზიანებული და შემდგომ ორჯერ გადაკეთებული შესასვლელის გახსნამ, რომლის თავზე XIX საუკუნეში გაჭრილი იყო უზარმაზარი სარკმელი, გვიჩვენა, რომ კარის ღიობის გარშემო შერჩენილი ძევლი წყობა არ გვაძლევს უფლებას ვიგულისხმოთ კარის თავზე არა თუ ღია ლუნეტი, არამედ განსატვირთავი ღრიჭოც კი, რომელიც გვაქვს აკაურთაში, ბოლნისის სიონსა და ქვემო ბოლნისში. მან აგრეთვე გვიჩვენა, რომ არქიტრავის ქვა, განლაგებული კარიბჭის ზღურბლიდან 282 სმ-ით ზევით, 64 სმ-ის სიმაღლისა იყო. მარცხნიდან იგი კედლის წყობაში 55, მარჯვნიდან კი 45 სმ-ით შეღიოდა. რამდენადაც ჯვრის მეღალიონის ღიამეტრი 63 სმ-ია, იგი მშვენივრად ეტეოდა არქიტრავზე, რომლის სიმაღლე 64, ხოლო სიგრძე 272 სმ. იყო.

რაღგან ბაზილიკის სამხრეთი შესასვლელის წინ ეკვდერი იმყოფებოდა, ეს რელიეფი, ჯვრის მონასტრის ღიდი სამხრეთი შესასვლელ-

ის რელიეფის, ქვემო ბოლნისის ორივე რელიეფის და თეთრი წყაროს რელიეფის მსგავსად, დაცული იყო ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებისაგან. თუ კი კარიბჭის ღოობის გარშემო შეწითლებული წყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი უნდა დაზიანებულიყო XVII საუკუნემდე მომხდარი ხანძრისაგან, შესაძლოა, მტრის ერთ-ერთი შემოსევისას. მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით იგი, ალბათ, რამდენიმე ნაწილად დასკდა, რომელთაგან XVII საუკუნის რესტავრაციის დროს მხოლოდ ორი ფრაგმენტილა შემორჩა. ალბათ, იგივე ხანძარმა გაანადგურა არქიტრავის მეორე ქვაც, განლაგებული პირველის პარალელურად ინტერიერის მხრიდან. წყობაში მხოლოდ მისი დასავლეთი კიდეა შემორჩენილი.

როგორც გადარჩენილი ფრაგმენტები გვიჩვენებს, ანჩისხატის რელიეფს არ გააჩნდა არც ჩარჩო, არც ჩაღრმავებული ფონი. იგი გამოშვერილი იყო არქიტრავის ფასადის სიბრტყიდან.

რელიეფის გადარჩენილი ნაწილი ისე ძლიერაა დაზიანებული (ჭვრისა და მედალიონის ზედა ნაწილი უხეშად არის ჩამოთლილი, ხოლო ანგელოზის მთლიანად ჩამოტეხილი აქვს ფრთხები და სახე), რომ მისი სრული სტილისტური ანალიზი შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ბოლოებისკენ ოდნავ გაფართოებული მკლავების მქონე ჭვრის ფორმა ახლოა ბრდაძორის მცირე სტელის ქვარის მოვანილობასთან (VI საუკუნის ბოლო მეოთხედის დასაწყისი) [74. 37, 38, 39].

ანგელოზის ფიგურა თარაზული და უძრავია. გრძელ სამოსელში გახვეული მისი სხეული მოცულობით გამოსახულებას წარმოადგენს. მკაფიოდაა გამოსახული ზურგის და მუცლის გაზნექვა. სამოსელის ქობიდან ჩანს წვერებით ქვევით მიმართული ტერფები. სრულიად სადა ტანსაცმელს არავითარი ნაკეცები და სამკაული არ გააჩნია. შესაძლოა იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ იყო დამუშავებული ანგელოზის თმა და ფრთხები, რომლებიც ყოველთვის ზედმიწევნ-




ით დეტალიზაციას მოითხოვს, შემორჩენილი ნაწილი, რაღაც განსაკუთრებული, თითქმის ასკეტური სისაღავის და სტატუარობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ფორმების განზოგადება გარკვეული მონუმენტალობის შეგრძნებასაც ბალებს. როგორც ჩანს VI საუკუნეში შეისრულებული ეს რელიეფი აგრძელებს ფორმების მოცულობითი გაღმოცემის ტრადიციას, რითაც შორდება ქვემო ბოლნისის, თეთრი წყაროსა და ეძანის “ამაღლების” რელიეფებს.

ზასაღები და საერთო მასები

უძველესი ბაზილიკების არქიტექტურული ფორმების, დეტალებისა და კონსტრუქციების ზევით მოტანილმა ანალიზმა სამუალება მოგვცა ზოგად ხაზებში დაგვეზუსტებინა “წმ.მარიამის” ეკლესიის ფასადის კომპოზიციური გადაწყვეტა.

(ამ ძეგლის ფასადების კომპოზიციური გადაწყვეტის სქემა ძალზე



ნახ. 47. ანჩისხატი. აღმოსავლეთი ფასადის აღდგენა.


ლაკონიურია, დეკორი კი მწირი. მაგრამ მსხვილი, შესანიშნავად გათლილი და კარგად მორგებული, თბილი ყვითელი ფერის ქვებით აგებული კედლების სიბრტყე თავისთავად მეტყველია.

აღმოსავლეთი ფასადის მთავარ კომპოზიციურ ლაქას სარკმლები ქმნის, ხოლო

მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინევა აფსიდის სარქმელი. პირვანდელთან შედარებით შეცვლილია სახურავების ქანობი და ლავგარდანი (ნახ. 47).


დასავლეთის ფასადის მთავარ კომპოზიციურ ლაქას ქმნის ღია ლურჯ-ტიანი უზარმაზარი შესასვლელი (ნახ. 48).

რამდენადაც სამხრეთის ეკვდერი თითქმის მთლიანადაა დანგრეული (ძელი სათქმელია, როგორი იყო მისი ფასადის გადაწყვეტა), ამდენად, წმ. მარიამის ეკლესიის სამხრეთი ფასადის სრული აღდგენა შეუძლებელია. დაბეჭითებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ როგორც გვერდით, ისე მთავარ ნავებს ოთხ-ოთხი სარქმელი ჰქონდა. ძველი ბაზილიკების ფორმი-



ნახ. 48. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადი. აღდგენა.

დან გამომდინარე, ამ ძეგლის სამხრეთის ფასადი, როგორსაც, ამასთანავე, სამხრეთის ეკვდერი გააჩნია, არ შეიძლებოდა ერთ სიბრტყეში ყოფილიყო გადაწყვეტილი, არამედ სამ თანდათანობით დამორჩიმორებულ სიბრტყეში. 49 ნახაზე ნა-



ნახ. 49. ანჩისხატი. სამხრეთი ფასადი. აღდგენა.

ჩვენებია სამხრეთი ფასადი ჭრილით სამხრეთის ეკვდერზე. ნაგებობას ასრულებდა ღრმა ნალისებრი თაღებით შეშეული და-
მაგვირგვინებელი ლავგარდანი. იგი ერთდროულად მონუმენტალო-
ბასა და ცხოველხატულობას ანიჭიბდა ტაძარს.

მოხდენილი მოცულობები, სხვადასხვა სიბრტყეში აგებული საბუ-
რავისა და კედლების გადაბმის რიტმი მაღალმხატვრულ ღირსებას
ანიჭებდა ტაძარს, რომელიც უდავოდ, VI საუკუნის თბილის-ქალაქ-
ის მშვენებას წარმოადგენდა.



VIII. რესტავრაციის გეთოდის არჩევა და ნატურაზი გაცემის მიზანები

სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები

თითოეული ძეგლისათვის სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდის არჩევა პროექტზე მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია, რამდენადაც ამზეა დამოკიდებული აღსაღვენი ძეგლის მომავალი იერსახე.

სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდის განმსაზღვრელ ფაქტორებს უდავოდ განეკუთვნება: ძეგლის სიძველე, მისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა, აღვილმდებარეობა, გამოყენების ხასიათი, ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ. თითოეული ეს ფაქტორი გარკვეულ გავლენას ახდენს სარესტავრაციო სამუშაოების მიმართულებაზე, რაგვარობასა და მოცულობაზე, ხოლო მათი კომპლექსი ქმნის იმ რეალურ წინაპირობას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს რესტავრაციის მეთოდის შერჩევას და იმ სამუშაოთა ნუსხას, რომელნიც ნატურაში უნდა განხორციელდეს. ამ მხრივ ანჩისხატის ბაზილიკის მახასიათებელია დიდი სიძველე - იგი ქართლის დედაქალაქის ყველაზე აღრინდელი საკულტო ნაგებობაა და საერთოდ, ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლიც. არანაკლებ დიდია ძეგლის მხატვრული ღირებულება. ეს არის, უდავოდ, მეტად თავისებური და ბრწყინვალე ნიჭის მქონე ხუროთმოძღვრის ნაწარმოები. რამდენადაც ძეგლმა შემოინახა ამ ჯგუფის სხვა ბაზილიკებში დაკარგული უძველესი ფორმები, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის. ამიტომ თითქოსდა გამართლებული უნდა ყოფილიყო ბაზილიკის სრული აღღვენა VI საუკუნის დასაწყისისათვის არსებული სახით. მაგრამ, ბაზილიკის უძველესი ნაწილების დანაკარგის პროცენტი იმდენად მაღალი, ხოლო XVII

საუკუნის სამშენებლო ფენის რაოდენობრივი და კონსტრუქციული მნიშვნელობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ VI საუკუნის ძეგლის ნატურაში სრული აღდგენის საკითხი არც კი დამდგარა. არ დამდგარა იმიტომ, რომ ამისათვის მოვიხდებოდა ყველა ნავთაშორისი სვეტის და მათზე დაყრდნობილი თაღელის სრული დანგრევა. ასევე უნდა დანგრეულიყო მთავარი ნავის კედლების უდიდესი ნაწილი, ყველა დანარჩენი კედლების ზედა ნაწილები და სამივე ნავის გაღამხურავი კამარები.

აღებული შემთხვევისათვის ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იყო ძეგლის დაახლოებით იმ სახით დატოვება, რომელიც მან მიიღო XVII საუკუნის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ და ჩვენამდე მოლწეული მისი უძველესი ნაწილების, რაც შეიძლება სრულად ჩვენება.

ამგვარად, 1958 წელს ანჩისხატის ბაზილიკისათვის მიღებულ იქნა კონსერვაციისა და ნაწილობრივი რესტავრაციის მეთოდი, ხოლო ნატურაში შესრულებული სამუშაოების შემადგენლობა საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, განისაზღვრა მხოლოდ შესასვლელების, სარკმლებისა და ნიშების ლიობების პირველადი სახის აღდგენით, VI საუკუნის წყობის დაზიანებული ნაწილების გამაგრებითა და კონსერვაციით, იატაკისა და ძეგლის გარშემო მიწის დონის დაღაბლებით პირველდელ ნიშნულამდე. გადაწყდა ასევე 1683 წლის მხატვრობის გახსნა და გამაგრება, სახურავის შეკეთება და ძეგლის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ძალზე ძნელი აღმოჩნდა მასალის შერჩევა წყობის უძველესი ნაწილის აღსაღვენად. ანჩისხატის ბაზილიკისათვის, რომელიც არაერთხელ შეაკეთეს ქვითა და სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურითაც, ამ მასალის სწორად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

რასაკვირველია, კარგია, თუ კი ძეგლში, როგორც გაღამლილ წიგნში, შესაძლებელია ყოველი ქვის დადების თარიღის ამოკითხვა. მა-

გრამ ძეგლი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების ნაწარმოებია, რომლის უსასრულო და განუსჯელი დანაწევრება სრულიად დაუშვებელია, ხოლო რესტავრირებულ ძეგლში შენაჩინებული მხატვრული შთაბეჭდილების ერთიანობა, ორმაგად ფასეულია. ამიტომ, ბაზილიკის უძველესი ნაწილების გამაგრებისა და აღდგენისათვის ისეთი ქვის გამოყენება გადაწყდა, რომლის სტრუქტურა და ფერი დისონანს არ შეიტანდა ჩვენამდე მოღწეული ნაგებობის საერთო კოლორიში.

საამისოდ ყველაზე უფრო შესაფერისი აღმოჩნდა ფელზიტური ტუფი აირუმის კარიერიდან (სომხეთი), რომელიც განლაგებულია საქართველოსთან სასაზღვრო რაიონში და საღაც შედარებით იოლ-ად შეიძლებოდა საჭირო ზომის ქვების მოპოვება.

ძველსა და ახალ ქვებს შორის ფერსა და სტრუქტურაში არსებული გარკვეული განსხვავება ნათლად მეტყველებს მათი გამოყენების სხვადასხვა ღრმობა, მაგრამ ძეგლის მხატვრული სახის მთლიანობა არ ირლვევა.


ძეგლის დეტალური ფიქსაცია გახსნამდე და გახსნის შემდეგ და ყოველივე იმის დაწვრილებით ჩვენება, რაც გაკეთდა ახალი 1958-1960 წწ. სარესტავრაციო სამუშაოების პროცესში, ძალზე ზუსტად ასახავს სამუშაოების მთელ პროცესს, რომელიც ამ ძეგლზე ჩატარდა [35].

IX. დანართი

1981 წ. ახლად ნაკურთხი წმ. მარიამის ეკლესიის (ანჩისხატის) ტერიტორიის კეთილმოსაწყობად ჩატარდა მიწის სამუშაოები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი წარმოდგენა ამ ძეგლის სამხრეთი ეკვდერის აღმოსავლეთი ნაწილის შესახებ.

მათ გვიჩვენეს, რომ 1958 წლის კვლევითი სამუშაოების პროცესში გახსნილი სამხრეთი ეკვდერის აღმოსავლეთი ნაწილი სინამდვილეში წარმოადგენს გეგმით კვადრატულ სათავსის მხოლოდ ნაწილს. ეს სათავსი ორჯერ უფრო განიერია, ვიდრე ეკვდერის დანარჩენი ნაწილი. აღმოსავლეთიდან მას აქვს ორი ღრმა, გეგმით მართკუთხა ნიშა, ხოლო მთავარ ნაგებობასთან შედარებით გამოწეულ დასავლეთ კედელში - შესასვლელი (ნახ.50).

თავის დროზე ამ შენობის სამხრეთის ნაწილი არ იყო ბოლომდე



ნაზ. 50. ანჩისნაფი.

გეგმა სრული გაწმენდის შემდეგ.

გაზეულილი, რაღაც პირ-
დაპირ მასზე საცხოვრებე-
ლი სახლი იდგა, რომელიც
შემდეგ დაანგრიეს. ამას-
თანავე, მართკუთხა ნიშებ-
ის გამყოფი კედლის სუფ-
თა წყობა, რომელიც ეკვ-
დერის დანარჩენი ნაწილის
გარე კედლებთან ერთ ხზე-
ზე მდებარეობდა, დასრუ-
ლებული კომპოზიციის
შთაბეჭდილებას ქმნიდა.

ტაძრის ახლად გახსნი-
ლი ნაწილის წყობის მხო-
ლოდ ერთი ან ორი რიგია

შერჩენილი და ეს წყობა ტაძრის ძირითადი ნაწილის წყობის იდენტურია. ეს ნანგრევები მხოლოდ ნაგებობის გეგმაზე გვაძლევს წრომოდგენას.

ახლა ძნელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა ფუნქციას ასრულებდა ეს ახლად გახსნილი სათავსი.

შესაძლოა, თვით მისი განლაგება ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ბოლნისის სიონის ანალოგიური მდებარეობის მქონე ორაფსიდიანი სათავსის მსგავსად იმაზე მიუთითებს, რომ აյ ნათლობის რიტუალი სრულდებოდა.


აღსანიშნავია, რომ ჭერემის “წვეროდაბალის” ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერის წინ ნაპოვნი იყო ქვის ემბაზის ფრაგმენტები, რაც ერთგვარად აღასტურებს ამ მოსაზრებას.

დამოწერებული ლიტერატურა:

၁၂၁

1. ცრუუგმბათი ნაჩევნებია მხოლოდ განივ ჭრილზე (ნახ. 4).
 2. 1958 წლის ახორცია ჩატარებულია არქიტექტორ-რესტავრატორების - რ.გვერ-დწიოთელის, ა.გოგელიას, გ.ჯაფარიძის და გ.ჭეიშვილის მიერ.
 3. შურებებისა და ზონდაუების მასალები ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
 4. Г.Чубинашвили. Архитектура Кахетии. ТБ., 1959.
 5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდსაბჭოს ოქმი. 1958 წ.
 6. შურებების შემდგომ გაღრმავებაზე ჩვენ უარი ვთქვით, რამდენადაც სიჩქარეში, აქედან ამოლებული მიწის გროვები იქმნებოდა იმის სპილროება, რომ დაიროვეოდა ერთიანობა და სისუფთავე ამ შესანიშნავად მოწყობილი დრენაჟისა, რომელიც დღემდე უზაღლდ მუშაობს.
 7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდსაბჭოს 1958 წლის 8 აპრილის ოქმი.
 8. აღნიშნული წარწერის შესახებ იხ. თავი “წარწერები”.
 9. სამალავში შედწევა მოგვიხდა ხვრელით, რომელიც აღმოსავლეთის კედელში, გვიანდელი წყობის ფარგლებში გაკეთდა.
 10. იხ.თავი “ქაზბეკვეთილობა”.
 11. ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959.
 12. J:Chardin. Vjyage du chevalier Chardin en Perse et futres, paus d'Orient. Paris. 1811.
 13. ქართლის ცხოვრება, I, 1971. თბ., „საბჭოთა საქართველო“.
 14. M.Broset, Voyage archeologique dans la Georgie et L'armenie. Rapport V. St. Petersbourg, 1850.
 15. П.Иоселиани. Описание древности города Тифлиса. Тифлис. 1866.
 16. Д.Бакрадзе. Кавказ в археологическом отношении. Тифлис. 1875.
 17. П.Карбелов. Древний Анчисхатский собор в Тифлисе. Тифлис. 1899.
 18. პ.კარბელაშვილი. ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილიში. ტფილისი, 1902.
 19. გ.წუბინიშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. 1936.
 20. Ш.Амирранашвили. История Грузинского искусства. I. Москва. 1950.
 21. ძეგლის შემდგომმა შესწავლამ ცხადყო, რომ ორივე ფრაგმენტი წარმოადგენს ბაზილიკის სამხრეთი შესასვლელის არქიტრავის ნაწილებს. თავდაპირველად წარწერა მდგრადულად იატაკის ღონისძან 2,75 მ-ის სიმაღლეზე და შესანიშნა-

- ვად მოიხილებოდა ეკლესიაში შემსვლელთა მიერ.
22. ქართული წარწერების კორპუსი, I. თბ., 1980.
23. Н.Бердзенишвили, Д.Дондуа, Н.Думбадзе, Т.Меликишвили, Ш.Месхия, И.,Ратиани. История Грузии. Тб., 1958.
24. Е.Такаишвили. Описание рукописей Общества распространения грамотности. Тифлис. 1906-1912.
25. Д.Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Тифлис, 1875.
26. ქართლის ცხოვრება. ტ.І. თბ., 1955.
27. Ш.Абрамишвили. Раскрытие стенописей памятника Анчискхати. Отчет 1958 г. Архив института "Сакреставрация".
28. Ш.Амиранашвили. История Грузинского искусства. I. Тбилиси. 1944.
29. ფ.დევდარიანი. ანჩისხატის გულანის შეკვეთი-კათალიკოსი ნიკოლოზ ამილა-ხვარი. ქეგლის მეგობარი N 57. თბ. 1981.
30. წარწერიანი ქვა გადაეცა ს.ჯანმიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს.
31. ნ.ბერძენიშვილი, ვ.დონდუა, შ.მესხია, პ.რატიანი. საქართველოს ისტორია. თბ., 1958.
32. ი.ბალახშვილი. ქველი თბილისი. თბ. 1951.
33. იხ.ვახუშტი ბატონიშვილის რუკა და ქველი ქალაქის პანორამა, შესრულებული მოგზაურ შარდენის მიერ (ფოტო 41,42).
34. 41,43,44 ფოტოებზე ჩანს, რომ XVII საუკუნეში და უფრო გვიანაც, სასახლე მდინარის პირას იყო განლაგებული, ხოლო ტაძარი ნაპირიდან უკან იყო დაწეული. 1883 წლის წყალდიდობის შემდეგ სასახლის წინ დიდი მტრები გაჩნდა, რომელზედაც ჯერ საცხოვრებელი სახლები ააგეს, შემდეგ კი სანაპირო მოაწყვეს.
35. Р.Гвердцители. Отчеты исследовательских и реставрационных работ 1958-1960 гг. Научное обоснование проекта реставрации. Архив института "Грузреставрация".
36. В.Беридзе. Грузинская культовая архитектура IV - VI в. Материалы II международного симпозиума по грузинскому искусству. Тб., 1977.
37. П.Закарая. Базилики Западной Грузии. Материалы IV международного симпозиума по грузинскому искусству. Тб., 1983.
38. Ф.В.Деихман. О развитии базилик со столбами. Материалы II международного симпозиума по грузинскому искусству. Тб., 1977.
39. მუკუჩანში სვეტები აგებულია არა მთლიანი, არამედ ნატეხი ქვით და შეათ-



ქარებულია.

40. ამ ძეგლის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი წარმოადგენს არა-“საქრესტავრაციის” ბაზილიკას, არამედ დარბაზული ტიპის ეკლესიას გვერდითი მინაშენებით.
41. 1977 წლის ანაზომი, შესრულებული მ.ანდრიაძის მიერ, ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
42. გამონაკლისია დარბაზული ეკლესია მისარონი ნოქალაქევში, რომელსაც არა აქვს სათავსი კონქის თავზე, დაბალი აფსიდა კი გადახურულია ორქანობიანი სახურავით ტაძრის მთავარი სიგრძისაგან დამოუკიდებლად.
43. ჭერემისა და ურბნისის ეკლესიების ანაზომები ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
44. Г.Н.Чубинашвили. Вопросы истории искусства. I. Тб., 1970. ე.წ. ნაშევ-რები ჩანს მხოლოდ ვანათის სამკულესიინი ბაზილიკის გეგმის ნახაზზე, გრძივ კვეთში კი აფსიდის კედლის ვერტიკალური მონაკვეთი ნაჩვენები არ არის.
45. 1985 წლის ანაზომი. ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივი.
46. XIV ს-ის აღდგენითი სამუშაოების დროს თლილი ქვით მოაპირეობს ყველა ფასაღი, გარდა მთავარი ნავის გრძივი კედლებისა, რომლებმაც პარალელური ანყოლების მქონე თავის სარკმლებთან ერთად, ჩვენამდე პირვანდელი სახით მოაღწია.
47. ამ კონსოლების არსებობას, რომელთა ნაწილს შეუნარჩუნებია მათზე დაყრდნობილი საბრჭენი თაღების ნაფლეთები, აღნიშნავს აკად. გ.ჩუბინაშვილიც თავის ნშრომში - “კახეთის არქიტექტურა”.
48. Г.Н.Чубинашвили. Болницкий Сион. Тбилиси, Известия Института Языка, истории и материальной культуры IX, 1940.
49. დ.ჯანიშვილი. ვარდისუბნის თეთრი გიორგის სახელობის ეკლესია “დეკანური”, ძეგლის მეგობარი, 60. თბ., 1982.
50. 1985 წ. ანაზომი, შესრულებული არქიტექტორ-რესტავრატორების - თ.ნემ-საძის, მ.ანდრიაძის, რ.გურამშვილის და ნ.შელიავას მიერ. ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
51. 42 ნახაზზე (მარჯვნივ) ნაჩვენებია მთავარი ნავი, მაქსიმალურად დაბალ, შესაძლებელ, სიმაღლეზე გადახურული, ხოლო მარცხნივ - იგივე ნავი, გადახურული სარკმლების მოსაწყობად აუცილებელ სიმაღლეზე.
52. J.Lassus. Sanctuaires chretiens de Surie. Paris. 1947.
53. ც.გაბაშვილი. ზედა ვარძია. თბ., 1958.
54. 1958-59 წწ. ანაზომი, შესრულებული რ.გვერდწითელის, შ.აბრამიშვილის,



- ა.გოგელიას, გ.ჭაფარიძის, გ.ჭეიშვილის მიერ. ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
55. К.Н. Мелитаври. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. II. Тб., 1972. гვ. 11. ტაბ.3.
56. ი.ციცემვილი. უჯარმა. თბ., 1982.
57. ლ.ჩხეულიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ქეგლი. ქართული ხელოვნება 2. თბ., 1948. გვ.27-34.
58. ლ.კალმახელიძის, თ.ნემსაძის, ა.ჭიკაძის 1976 წ. ანაზომი. ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივი.
59. ვ.წილოსანის 1949 წ. და გ.ჭაფარიძის, მ.დგალის და ვ.ცინცაძის 1956 წ. ანაზომები ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივი.
60. Р.Меписашвили и В.Цинцадзе. Архитектура нагорной части Грузии - Шида Картли. ТБ., 1975. гვ. 12. ფოტო 3.
61. 3.ზაქარაია. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ., 1965.
62. ღ.ჭიკაძის, მ.კასრაძის, თ.გაბუნიას და ღ.ღუმბაძის 1985 წლის ანაზომი, ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
63. ქეგლის გახსნა მოხდა 1982 წლის რემონტის დროს, არქიტექტორ-რესტავრატორ გ.გაგნიძის ხელმძღვანელობით.
64. ლ.კალმახელიძის, ზ.ჭუფარაშვილის და თ.ნემსაძის 1979 წ. ანაზომი. ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
65. ზ.ჭუფარაშვილის, რ.ცხადაძის, მ.კასრაძის, ა.ჭიკაძის 1980 წ. ანაზომი. ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
66. რ.გვერდწითელი, გ.სალია. უფლისციხე. ე.წ. თამარ მეფის დარბაზის სამხრეთი კედლის რესტავრაციის პროექტი. 1981. ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივი.
67. ი.ელიშბარაშვილი. რუსპირის ყველაწმინდის ეკლესია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბ., 1984.
68. გ.მარსაგიშვილი. აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია. ქეგლის მეგობარი N 60. თბ., 1982. გვ. 13-20.
69. 1982 წლის ანაზომი. შესრულებული არქ. ზ.ჭუფარაშვილის, ლ.კალმახელიძის, ზ.სეხნიაშვილის, მ.მაღრაძის მიერ. ინახება ინსტიტუტი “საქრესტავრაციის” არქივში.
- 1985 წ. ქეგლის ნაწილობრივი გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს არის არა სამეცნიერო ბაზილიკა, არამედ დარბაზული ეკლესია სამკეთლოთი, სამხრეთის მინშენით და შესაძლოა, უფრო გვიანდელი გარშემოსავლელი. მისი გა-



- ნლაგება და არქიტექტურული ფორმები ისეთი, როგორიცაა პარადელური ანუოლების მქონე სარკმლები, კარი, ნალისებრი ფორმის მქონე დია ლურეტის ით, დაბალი აფსიდა და კონქის თავშე მოწყობილი სამალავი, დეკორის ხასიათი და განსაკუთრებით, ადგილმდებარეობა V ს. ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთით, შესაძლოა, იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ნაგებობა, წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ორ ეკლესიათაგან, რომელიც მეუე ვახტანგ გორგასალმა ააგო.
70. ანაზომი შესრულებულია 1969 წელს არქიტექტორ რ. გვერდწითელის, თ. ნებ-საძის, ი. ვარსაძეშვილის და ზ. სეხნიაშვილის მიერ (ინსტიტუტ „საქრესტავრაციის“ „არქივი“);
ცნობები ზღუდერის მცირე ეკლესის შესახებ მოგვაწოდა არქიტექტორ-რესტავრატორმა პ. ნუცუბიძემ.
71. 1944 წლის ანაზომი, ავტორი - არქიტექტორი რ. გვერდწითელი.
72. გ. დოლიძე. გარბანი. თბილისი. 1958.
73. Г. Чубинашвили. Памятники типа Джвари. ТБ., 1948.
74. Н. Г. Чубинашвили. Хандиси. Тб., 1972.

ფოთოსერათების სია

1. შავთელის ქუჩა. ანჩისხატის ტაძრის XVII ს. სამრეკლოს დასავლეთი ფასადი.
2. ანჩისხატის XVII ს. სამრეკლო. ხედი ეზოს მხრიდან.
3. ანჩისხატის ტაძარი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
5. ანჩისხატის ტაძარი. სამხრეთი ფასადი.
6. ანჩისხატის ტაძარი. აღმოსავლეთი ფასადი.
7. ანჩისხატის ტაძარი. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთისაკენ.
8. ანჩისხატის ტაძარი. ინტერიერი. ხედი დასავლეთისაკენ.
9. ანჩისხატის ტაძარი. ინტერიერი. XIX ს. მხატვრობა.
10. ანჩისხატის ტაძარი. ინტერიერი. XIX ს. მხატვრობა.
11. ანჩისხატი. ინტერიერი. ხედი დასავლეთისაკენ აღდგენამდე.
12. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადის ფრაგმენტის მდგომარეობა აღდგენამდე.
13. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადის ზედა ნაწილი.
14. ანჩისხატი. სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნაწილი.
15. ანჩისხატი. ჩრდილოეთი ფასადის მთავარი ნავის აღმოსავლეთი ნაწილი.
16. ანჩისხატი. ქვეს იატაკი, გახსნილი ჩრდილო-აღმოსავლეთი სვეტის წინ.
17. ანჩისხატი. VI ს. ბაზიჩე დაშენებული XVII ს. სვეტი.
18. ანჩისხატი. კედლის ნიშა სამხრეთ ნაკეში, გახსნილი იატაკის დადაბლების დროს.
19. ანჩისხატი. აღმოსავლეთი შესასვლელი სადიაკვნეში გახსნის პროცესში.
20. ანჩისხატი. აღმოსავლეთი შესასვლელი სამკვეთლოში გახსნის პროცესში.
21. ანჩისხატი. აღმოსავლეთი შესასვლელი სამკვეთლოში აღმოსავლეთი ფასადის მხრიდან, გახსნის პროცესში.
22. ანჩისხატი. სამხრეთი მინაშენის გარე კედლების ნაშთი, გახსნილი მიწის დონის დადაბლების შემდეგ.
23. ანჩისხატი. სამხრეთი მინაშენის წყობის ნაშთი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან.
24. ანჩისხატი. დამაგვირგვინებელი ლავგარდნის ფრაგმენტი.
25. ანჩისხატი. ინტერიერი. ხედი აფსიდაზე 1683 წ. მხატვრობის გახსნის შემდეგ.
26. ანჩისხატი. ინტერიერი. 1683 წ. კედლის მხატვრობა კონქის შუბლზე, გახსნის შემდეგ.

27. 28. ანჩისხატი. ინტერიერი. VI ს. სარკმლები, ამოშენებული XIX საუკუნეში.
29. ანჩისხატი. ინტერიერი. სარკმელი, გაჭრილი XIX საუკუნეში სამხრეთის შესავლელის თავზე.
30. ანჩისხატი. ინტერიერი. სამხრეთი შესასვლელი გახსნის პროცესში.
31. ანჩისხატი. ინტერიერი. დასავლეთი შესასვლელი გახსნის პროცესში.
32. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადი. შესასვლელი გახსნამდე.
33. ანჩისხატი. ინტერიერი. ნაწილობრივ გახსნილი ჩრდილოეთი შესასვლელი.
34. ანჩისხატი. ინტერიერი. XIX ს. მხატვრობის ნიმუში.
35. ანჩისხატი. სამაღავის ინტერიერი, ხედი დასავლეთისაკენ. ქვედა მარჯვენა კუთხეში მოჩანს კონქის ამაღლება.
36. ანჩისხატი. სამაღავის ინტერიერი შესასვლელით. მარცხენა ქვედა კუთხეში მოჩანს კონქის წყობა.
37. ანჩისხატი. გვრის ამაღლების რელიეფის ფრაგმენტი.
38. ანჩისხატის სამრეკლო. სამშენებლო წარწერა.
39. ანჩისხატი. 1683 წლის მხატვრობის წარწერა.
40. ანჩისხატის სემინარიის წარწერა.
41. შარდენის გრავიურა, ანჩისხატის უბანი (XVII ს. 70-იანი წლები).
42. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის რუკა. N6-ით აღნიშნულია ანჩისხატი.
43. ჩერნეცოვის 1831 წ. ჩანახატი, თბილისის პანორამა.
44. ანჩისხატი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ერმაკოვის ფოტო.
45. ბოლნისი. თაღთაშორისი ბოძები. გვერდითი ნავისაკენ მიმართული პილასტრი უწყვეტად აღის თაღედზე მაღლა.
46. ბოლნისი. სამხრეთის ნავი. სიღრმეში მოჩანს პირვანდელი ნახევარკამარა. დანარჩენი ნახევარკამარები შეისრულებული ფორმისაა.
47. ბოლნისის სიონი. მთავარი ნავი. ინტერიერი.
48. ბოლნისის სიონი. ნავთაშორისი ბოძების კონსტრუქცია. თაღედების იმპოსტები V საუკუნისაა, დანარჩენი იმპოსტები - XVII ს.
49. ბოლნისის სიონი. ინტერიერი. ბოძების სამხრეთი რიგი, პირველი (აღმოსავლეთიდან) ბოძი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
50. ბოლნისის სიონი. ინტერიერი. ჩრდილოეთი რიგის მეხუთე ბოძი.
51. ბოლნისის სიონი. ინტერიერი. ბოძების სამხრეთი რიგი, პირველი (აღმოსავლეთიდან) ბოძი.

52. ანჩისხატი. აღმოსავლეთის ფასადი, აფსიდის სარკმელი.
53. ანჩისხატი. აფსიდის სარკმლის თავსართის დეკორის ნაშთი.
54. ნოქალაქევი. “ოჩმოც მოწამეთა ბაზილიკა”, გვიან შევიწიროებული აფსიდის სარკმელი.
55. აკაურთას ბაზილიკა. სამხრეთი ფასადის სარკმლები ამოქოლილი გვიანდელი წყობით.
56. ზემო ნიქოზის დიდი გუმბათიანი ტაძარი. მოგვიანებით გადაკეთებული აფსიდის სარკმელი.
57. ჭერემის “მამა-დავითი”. ინტერიერი. აფსიდის სარკმელი.
58. ჭერემი. წევროდაბალი. აფსიდის სარკმელი.



ՏԵՂՄԱՆԻ
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ




3

4







5



6






7




8

აშშის ხელო






11



12



13

14



116

მეცნიერება
ისტორია



15




16



17



18




19



20



21



22




23




24




25



26



27




28

123

124




30



29

ანტიკური




31




32


125
TOMES
THEATRUM
MUNDANUM




33



34



35





127
128
129
130



37

38





၁၃၄

ପ୍ରମାଣ କିମ୍ବା
କିମ୍ବା । ୧୦
କିମ୍ବା । ୧୧


39

40





41



42

130




43

44



131




132

46




45



47



133




134



49

50



51




52


135




53



54



55



56



57

58



სარჩევი

I. წინასიტყვაობა	3
II. ძეგლის მდგომარეობა სარესტავრაციო	
სამუშაოების დაწყებამდე	6
III. ძეგლის გახსნა და გამოკვლევა	15
IV. ბიბლიოგრაფია	36
V. წარწერები	41
VI. ძეგლის ისტორია	48
VII. "წმ.მარიამის" ეკლესიის (ანჩისხატის)	
პირვანდელი სახის აღდგენა	54
გეგმა	56
შიდა სივრცე	60
სარკმლები	76
შესასვლელები ღია ლუნეტებით	83
ქვაზე კვეთილობა	84
ლავგარდანი	85
აფსიდის სარკმლის თავსართი	88
"ჯვრის ამაღლების" კომპოზიცია	90
ფასადები და საერთო მსები	94
VIII. რესტავრაციის მეთოდის არჩევა და ნატურაში	
განხორციელებული სარემონტო-სარესტავრაციო	
სამუშაოების შემადგენლობა	97
IX. დანარათი	100
დამოწმებული ლიტერატურა	102
ტექსტში მოყვანილი ფოტოების სია	107

ჩიტობი

ნაშრომი აწყობილი და დაკაბადონებულია
საქართველოს ქადაგის დაცვის დეპარტამენტში

რედაქტორ-გამომცემელი - მერაბ ბოჭოიძე
ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი - ნორა თიბიშვილი
კომპიუტერული მომსახურება - თამაზ ჩხეიძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

სამეცნიერო ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა
და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის



არქიტექტორ-რესტავრაციის რესუდან გვერდწითელი (1909-1994წ.) ერთ-უკინო თვალსაჩინო წარმომადგენლიდან ქართველი ხუთმოძღვრული მუმკინრეობის კვლევართა იმ თაობის რომელიც სპარეზზე გამოვიდა 'X ს-ის 40-იან წლებში.

ქნი რესუდანი იყო პრაეციალურად მოღვაწე მეცნიერი-მულებარი, ომლის პროფესიონალი და ხელმძღვანელი რესტავრებულია ის კალა, მას, ლომ, საერთ და სათავდაცვო დახილა კუპარა მქონე ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლები.